

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პულტურის კვლევათა ინსტიტუტი


ირაკლი ჩხაიძე

ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური  
პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში

პულტურის კვლევათა დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ნინო ჩიქოვანი



თბილისი  
2016

## შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. დამოუკიდებლობის გარიურაჟზე – პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან.....	29
1.1. ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები: “თერგდალეულები” და პირველი ნაციონალური პროექტი.....	29
1.2. დისიდენტური მოძრაობიდან ეროვნულ მოძრაობამდე – საქართველო .....	33
1970-1980-იან წლებში.....	33
თავი 2. ქართული ნაციონალიზმის ახალი ეტაპი: საქართველო 1988-1992 წლებში .....	42
2.1. არაფორმალური მოძრაობიდან ხელისუფლებამდე (1988-1990).....	42
2.2 ეროვნული მოძრაობა ხელისუფლების სათავეში – წინააღმდეგობრივი ნაციონალური პროექტის მახასიათებლები (1990-1992).....	59
თავი 3. სამოქალაქო ნაციონალიზმის კონტურები (1992-2003).....	104
3.1. რადიკალიზმიდან სტაბილურობისკენ – საქართველო 1992-1995 წლებში ....	104
3.1.1. ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებები – კანონი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუცია.....	139
3.2. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ – საქართველო 1995-2003 წლებში .....	144
3.2.1. ადაპტაცია დასავლურ სამყაროსთან.....	147
დასკვნა.....	157
გამოყენებული ლიტერატურა.....	169

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა. მე-19 საუკუნიდან დღემდე მან საერთაშორისო სისტემაში რევოლუციური ცვლილებები განაპირობა – განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ერი-სახელმწიფოების ფორმირებაში, ცენტრალური და ოფორსავლეთ ევროპული იმპერიების რდვევაში, მეორე მსოფლიო ომის გაჩადებასა და სამი კომუნისტური სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის - დაშლაში. ნაციონალიზმის ფენომენის სიძლიერესა და გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მიწურულს, დიდი პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში, ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დაივიწყა თავისი კომუნისტური, ინტერნაციონალური წარსული და მხურვალე ნაციონალისტად მოგვევლინა. უკანასკნელ წლებში, ლიბერალურ-დემოკრატიულ დასავლეთშიც კი, ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური გაერთიანებები განსაკუთრებული ელექტორალური წარმატებით სარგებლობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში დასავლურ (და არა მხოლოდ დასავლურ) სამეცნიერო წრეებში ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. მაიკლ ჰენტერს თუ დავესეხებით, გაჩნდა ნაციონალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი სტატიებისა და წიგნების „მთელი მთები“ (ჰენტერი 2007: 25).

მკვლევართა დიდი ნაწილი ნაციონალიზმს უკავშირებს ბევრ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფაქტსა თუ მოვლენას, მაგალითად, ერთი მხრივ, საფრანგეთის რევოლუციას და, მეორე მხრივ, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელ ეთნიკურ წმენდას, ძალადობას, სამხედრო დანაშაულებს და სხვა. ასეთი მრავალფეროვნება ნათლად აჩვენებს ამ ფენომენის კომპლექსურობას და მისი შესწავლის სირთულეს. ნაციონალიზმი ამბივალენტურობით და წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. ერთი მხრივ, იგი ასოცირდება მილიტარიზმთან, შოვინიზმთან, ომთან, ირაციონალიზმთან, პომოგენიზაციასთან, ძალადობრივ ასიმილაციასთან, ქსენოფობიასთან, ეთნიკურ წმენდასთან, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალიზმის ფენომენი უკავშირდება დემოკრატიას, თვითგამორკვევას, პოლიტიკურ ლეგიტიმურობას, სოციალურ

ინტეგრაციას, სოლიდარობას, დირსებას, იდენტობას, კულტურულ აღორძინებას, მოქალაქეობას, ლიბერალიზმს. იგი აერთიანებს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს კონცეპტუალურ ორაზროვნებას ნაციონალიზმის შეფასებისას. მისი დახასიათება და შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში “ნაციონალიზმი” (Brubaker 2006: 132).

როგორც განსასაზღვრია ერის ცნებაც, რომელთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. მე-19 საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელი ესეისტის ვალტერ ბაჯეთის სიტყვით, “რა არის ერი, ჩვენ ვიცით მხოლოდ მანამ, სანამ ამის შესახებ რამეს გვკითხავენ” (Bagehot 1972: 20). ბაჯეთი მე-19 საუკუნეში, ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პოქაში ცხოვრობდა, როდესაც მხოლოდ ფეხს იკიდებდა ამ პრობლემებისადმი მეცნიერული ინტერესი. დღეს, მე-20 საუკუნეში (განსაკუთრებით მის მიწურულს) განვითარებული მრავალფეროვანი და ტრაგიკული პროცესების ფონზე, რომელთა ძირითადი აქტორები სწორედ ერები და ეთნიკური ჯგუფები იყვნენ, ერის/ნაციის ცნების მიღებული და ფართოდ გაზიარებული დეფინიციის მიგნება მნიშვნელოვნად გართულდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ერისა და ნაციონალიზმის ცნებათა კლასიფიკაციის გარკვეულ მცდელობებს. ნაშრომის შესავალსა და თეორიულ ნაწილში შევეცდებით მიმოვინილოთ ნაციონალიზმის კვლევის ძირითადი ტენდენციები, მათი დინამიკა და ის მიღები, რომლებიც აპრობირებულია აკადემიურ სივრცეში. ასევე შემოგთავაზებთ კვლევის ფარგლებში გამოყენებული ტერმინების სამუშაო განსაზღვრებებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეფინიციათა სიუხვის, მრავალფეროვნებისა და ამბიგალენტურობის ფონზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო სისტემამ მსოფლიო ორ ნაწილად გაჰყო და იდეოლოგიური დაპირისპირების რეჟიმში გადაიყვანა. “სოციალისტურ ბანაკსა” და “თავისუფალ სამყაროს” შორის წინააღმდეგობამ, თითქოს, შეასუსტა ნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. თუმცა, ინტერნაციონალისტური რიტორიკა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და მხოლოდ ნიღბავდა საზოგადოებებში არსებულ ძლიერ ნაციონალისტური განწყობებს (Dieckhoff &

Jaffrelot 2005: 1). აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ცივი ომის დასრულებასა და კომუნისტური იდეოლოგიის კრახში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ნაციონალურმა ერთობებმა ითამაშეს. ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმს “მარქსიზმის ეროვნიას” უწოდებს და მიიჩნევს, რომ ეს ის ფენომენია, რომელსაც მძლავრმა ინტერნაციონალისტურმა იდეოლოგიამაც კი ვერაფერი მოუხერხა. ბიპოლარული მსოფლიოს მოსალოდნელზე სწრაფმა რდგევამ რადიკალურად შეცვალა საერთაშორისო სისტემა და ნათლად აჩვენა ნაციონალიზმის ორსახოვანი ბუნება – ეროვნულ ერთობებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და ხავერდოვანი ტრანსფორმაციის პარალელურად, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში სისხლისმდვრელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გაჩადდა. მაგალითად, თუ, ერთი მხრივ, ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანელი ერის კონსოლიდაცია, ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიბერალიზაცია თავისუფლებისა და დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად იქცა, მეორე მხრივ, კავკასიასა და ბალკანეთში რადიკალურმა ნაციონალურმა მოძრაობებმა უზარმაზარი მსხვერპლი, ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეთნიკური წმენდა და სამოქალაქო დაპირისპირებები გამოიწვია.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებსაც დამოუკიდებლობის გარიურაჟზე რადიკალურმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა მძიმე პრობლემები შეუქმნა და პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია განაპირობა. შესაბამისად, საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერის მშენებლობის კუთხით საქართველოს პოსტსაბჭოთა გამოცდილების შესწავლა და კრიტიკული ანალიზი.

ნაციონალიზმის, როგორც აკადემიური კვლევის ობიექტისადმი, ძირითადად, ორი სახის მიღომა არსებობს: პირველ შემთხვევაში, მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს მისი როლი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებაში. ნაციონალიზმის უმთავრესი მიზანი სწორედ სუვერენული პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბებაა. კლასიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ბენედიქტ ანდერსონი, ერნესტ გელნერი, ენტონი სმითი და სხვები) ეროვნული მოძრაობები და ერის ფორმირების პროცესები სწორედ ამ კონტექსტშია განხილული. ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ მეოცე საუკუნის მიწურულს განსხვავებული კვლევითი მიღგომის ჩამოყალიბება

გამოიწვია, რომელიც სწავლობს, თუ როგორია ნაციონალიზმის ბედი მას შემდეგ, რაც მიიღწევა მისი ძირითადი მიზანი – სუვერენული ქვეყნის შექმნა. საკვლევი პერიოდის საქართველოს რეალობასთან მიმართებაში ორივე ეს მიდგომა ვალიდურია. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ ქვეყნის სუვერენიზაციასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა მოგვიანებით, მოპოვებული დამოუკიდებლობის პირობებში, მან ვედარ შეუწყო ხელი საზოგადოების კონსოლიდაციას და სტაბილური გარემოს შექმნას, პირიქით, დეზინტეგრაციისა და დესტაბილიზაციის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად მოგვევლინა.

ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზა ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: 1980-იანი წლების ბოლოდან საქართველოში რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დამოუკიდებლობის მოპოვებაში, თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისიდან სახელისუფლებო ელიტის რადიკალურმა რიტორიკამ დააბრკოლა მრავალეთნიკური ერის მშენებლობის პროცესი. 1990-იანი წლების შუა ხანებიდან თავი იჩინა სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების ტენდენციებმა, რომლებიც კიდევ უფრო გაძლიერდა 2000-იანი წლებიდან.

**საკვლევი კითხვა** შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: როგორია ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში და რა ფაქტორებმა განაპირობა ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ სვლის პროცესი?

**კვლევის მიზანია** ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის შესწავლა, ასევე იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც განსაზღვრა ნაციონალური პროექტის განვითარების მიმართულებები. ვფიქრობთ, საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული პროცესების გააზრება იდენტობისა და ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან ხელს შეუწყობს ქვეყნის უახლოესი წარსულის უკთ გააზრებას, აგრეთვე საქართველოში მიმდინარე მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის მკაფიო განსაზღვრას; კვლევის შედეგს, შესაძლოა, გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდეს, რადგან 1990-იან წლებში წარმოქმნილი პრობლემების ნაწილი დღესაც მწვავედ დგას საქართველოს საზოგადოების წინაშე.

ნაციონალიზმის ფენომენი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია, რასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი კომპლექსურობა. ისტორია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, პოლიტიკური მეცნიერებები, კულტურის კვლევები, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა და კიდევ არაერთი დისციპლინა ცდილობს მისი ამა თუ იმ ასპექტის გააზრებას. ასევე მრავალფეროვანია ემპირიული მასალა, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ნაციონალური პროექტის დინამიკის ანალიზი. კვლევითი ნაშრომები, საგაზეთო სტატიები, მხატვრული ლიტერატურა, პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები, ინტერვიუები პიროვნებებთან, რომლებიც განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს ნაციონალურ პოლიტიკას და სხვა მასალა არის ის ფაქტობრივი ბაზა, რომელსაც კვლევა უნდა დაეყრდნოს.

**კვლევის მეთოდები.** ძირითადი მეთოდი, რომელსაც მოცემული კვლევა ეყრდნობა, არის დისკურსის ანალიზი. უკანასკნელ წლებში დისკურსი ერთ-ერთ ყველაზე მოდურ ტერმინად იქცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე პოლიტიკური თუ ინტელექტუალური დებატების დროს, თუმცა მისი მნიშვნელობა, ხშირად, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ზოგადად, დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც სამყაროს აღქმისა და გაგების განსაკუთრებული ენა ან მსოფლიმედველობა, რომელიც შემოსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს. მაგალითად, სამედიცინო დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი და ა.შ. (Jorgensen & Phillips 2002: 12) დისკურსის ანალიზი არის ინტერდისციპლინური კვლევითი მიდგომა, ჩარჩო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის ფარგლებში. მაგალითად, შესაძლებელია შევისწავლოთ ერის ნაციონალური იდენტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები კონკრეტული პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოების მიხედვით, ანუ ნაციონალური იდენტობის დისკურსი, რომელიც სახელმძღვანელოებშია ასახული.

ჩვენ ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკას ვიკლეპთ პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალური დოკუმენტების, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლების, მიმართვების, ინტერვიუების, აკადემიური თუ პუბლიცისტური ნაშრომების ანალიზის საფუძველზე. პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტი, ისევე როგორც, ზოგადად, თანამედროვე ქართული ნაციონალური დისკურსი,

კონსტრუირებული ფენომენია, რომელიც ელიტების მიერ ჩამოყალიბდა და უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე არაერთი ტრანსფორმაცია განიცადა. სწორედ ამ დინამიკის თვალის მიდევნება და მისი ანალიზი არის ჩვენი კვლევის ძირითადი ამოცანა.

ქმპირიული მასალის გააზრებისას ვიუენებთ შინაარსობრივი ანალიზის (კონტენტ ანალიზი) მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენებისას, მკვლევარს აინტერესებს შესასწავლი დოკუმენტების კონკრეტული ასპექტი – მასში ასახული სპეციფიკური სოციალური ურთიერთობები, ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ თუ სხვა<sup>1</sup>. ჩვენი კვლევის შემთხვევაში გვაინტერესებს, თუ როგორ არის ასახული ზემოთ დასახელებულ ტექსტებში ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება, პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის ეთნიკური და სამოქალაქო მახასიათებლები, ცვლილებები ქართულ ნაციონალურ პროექტში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისი ძირითადი ასპექტები და განვითარების თავისებურებები.

**სამუშაო ცნებები და ტერმინები.** კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ცნებები: ერი, ნაციონალიზმი, ეთნიკური ჯგუფი, ნაციონალური პროექტი. ამ ტერმინების მნიშვნელობა თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში მწვავე დისკუსიას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუმცა, ცნებათა განმარტებისას, მკვლევართა ნაწილი მაინც თანხმდება გარკვეულ უნივერსალურ მახასიათებლებზე. მაგალითად, ლოუელ ბარინგტონის (Lowell W. Barrington) მოსაზრებით, ნაციონალიზმის გარშემო არსებული ლიტერატურა აჩვენებს, რომ მისი ნებიმიერი ვარიაციის განხილვისას, ორი რამ არ კარგავს მნიშვნელობას – ერი და ტერიტორია (Barrington W. Lowel 2006: 3). სწორედ ტერიტორიის კონტროლთან არის დაკავშირებული ნაციონალიზმის ცნობილი დიქტომია, რომლის მიხედვით იგი, ერთი მხრივ, გამაერთიანებელი, ხოლო მეორე მხრივ, დეზინტეგრაციული ძალის მატარებელია. ტერიტორია ხშირად ხდება სხვადასხვა ეთნიკურ და ნაციონალურ ერთობათა დაპირისპირების საფუძველი. მკვლევართა უმრავლესობისთვის ასევე ეჭვგარშეა ნაციონალისტური იდეების მობილიზაციური შესაძლებლობები. ბოლო ორი საუკუნის ისტორია გვაჩვენებს,

<sup>1</sup> <http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1089/2385%3E#g3> (მისაწერი 19.04.2014).

რომ ნაციონალური პროექტები ელიტების მიერ ყალიბდება და აქტიურად გამოიყენება გარკვეული იდეების გარშემო საზოგადოებათა დარაზმვისთვის.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ერის ცნების შინაარსი. ასევე ცხარე კამათის საგანია ერების წარმოშობის დრო. იმისათვის, რომ გავიაზროთ ამ ცნების არსი და სამუშაო დეფინიცია ჩამოვაყალიბოთ, აუცილებელია ერის ცნება სხვა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ტერმინებისგან განვასხვავოთ. აქვე დავაზუსტებთ, რომ წარმოდგენილ კვლევაში ერი და ნაცია იდენტური მნიშვნელობით არის გამოყენებული.

როგორც ლოუველ ბარინგტონი აღნიშნავს, ერი არ უნდა გავაიგივოთ ეთნიკურ ჯგუფთან ან ეთნიკურობასთან. მართალია, ერები ეთნოსების საფუძველზე ყალიბდებიან, მაგრამ ერი მეტია, ვიდრე ეთნიკური ჯგუფი. ნაციონალიზმის მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენლები (ბენედიქტ ანდერსონი, ენტონი სმითი, ერნესტ გელნერი, მიროსლავ პროში და სხვ.), რომლებიც ერს თანამედროვე, მოდერნული ეპოქის პროდუქტად მიიჩნევენ, სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებენ. თანამედროვე ერები თვისებრივად განსხვავდებიან მათი ეთნიკური წინაპრებისგან. ერთა უმრავლესობაში არსებობს ძირითადი ეთნოსი, რომელიც უმრავლესობას შეადგენს და რომლის საფუძველზე ყალიბდება ნაცია. სწორედ ამ ეთნოსის არსებობაა ერის ცნების გარშემო მიმდინარე დებატების ერთ-ერთი საკვანძო საკითხი და აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი. მკვლევართა ნაწილი ერს კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან აიგივებს და მის წევრად განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლის განხილვა შეუძლებლად მიაჩნია. სხვები ერს მოქალაქეობის იდეასა და საერთო ფასეულობათა სისტემაზე დაფუძნებულ ერთობად თვლიან, რომელიც ინკლუზიური ფენომენია და მისი წევრობა შეუძლია ყველას, ვინც საზოგადოების ძირითად ფასეულობებს გაიზიარებს, განურჩევლად ეთნიკური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა. დღეს, როდესაც ქვეყნების სრული უმრავლესობა მრავალეთნიკურია, ერის გაგება მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას.

სუგერენული სახელმწიფოს შექმნა ერისა და ნაციონალიზმის ძირითადი მიზანია, თუმცა სახელმწიფო არ არის ერის არსებობის აუცილებელი პირობა

და ფორმა. მეტიც, სახელმწიფოს უქონლობა ნაციონალიზმის განვითარებისა და ერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა. მაგალითად, ქართველი ერი და ქართული ნაციონალიზმი, ამ ცნების მოდერნისტული გაგებით, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას. მის სათავეებთან ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულები იდგნენ. ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ საქართველოში მიმდინარეობდა კიდევ ნაციოს ფორმირების პროცესი. თუ საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულ მოვლენებს დინამიკაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ერის ორივე გაგება რელევანტურია საქართველოს შემთხვევისთვის და თითოეული მათგანი სხვადასხვა ეტაპზე დიდ გავლენას ახდენდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე.

რაც შეეხება ერის ცნების სამუშაო დეფინიციას, ჩვენს კვლევაში ვიყენებთ ერის/ნაციის მოდერნისტულ გაგებას, რომლის ცენტრში დგას არა ეთნიკური მიკუთვნებულობის, არამედ მოქალაქეობის იდეა.

ერის ცნების მსგავსად, ანალიტიკოსები სირთულეებს აწყდებიან ნაციონალიზმის განმარტებისას. ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს ამ ტერმინის იმდენმა განმარტება, რამდენი მკვლევარიც სწავლობს ნაციონალიზმს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბარინგტონი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ნაციონალიზმი განვასხვავოთ პატრიოტიზმისგან. პირველ შემთხვევაში ვსაუბრობთ ლოიალურობაზე სახელმწიფოს მიმართ, ხოლო მეორეში – ერის, ნაციის მიმართ. თუმცა გარკვეული ტერიტორიის კონტროლი, სახელმწიფოს შექმნა და მისი გაძლიერება ნაციონალიზმის უმთავრესი მიზანია.

ასევე აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ნაციონალიზმი – იდეა, კონცეფცია, რწმენა, იდეოლოგია თუ პოლიტიკური მოძრაობა. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი არის პოლიტიკური იდეა ტერიტორიული თვითგამორკვევის შესახებ და კულტურული იდეა ერის, როგორც იდენტობის უმთავრესი საფუძვლის თაობაზე, ასევე მორალური იდეა, რომელიც გულისხმობს საკუთარი ერის უფლებებისა და ფასეულობების დაცვას. ამ მიმართულების მომხრე ავტორთა შორის ყველაზე ცნობილია ერნესტ გელნერის განმარტება. მისი აზრით, ნაციონალიზმი არის პრინციპი, რომლის მიხედვით პოლიტიკური და ეროვნული საზღვრები ერთმანეთს უნდა უმთხვეოდეს (გელნერი 2003: 119).

შეორე მიდგომის მიხედვით, ნაციონალიზმი არის ორგანიზებული პროცესი ან მოძრაობა, რომლის მიზანი იმ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებაა, რომელსაც ნაციონალური ერთობა საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს. მოცემული ნაშრომის ფარგლებში, სამუშაო დეფინიცია ორივე აღნიშნულ კომპონენტს აერთიანებს, შესაბამისად, ერთი მხრივ, სმიტის და ჰატჩინსონის, ხოლო მეორე მხრივ, გელნერის შეხედულებებს დაგეყრდნობით და ნაციონალიზმს განვმარტავთ როგორც იდეოლოგიას და მოძრაობას, რომლის მიზანი სახელმწიფოს ძლიერება და ეროვნული და პოლიტიკური საზღვრების ურთიერთდამთხვევაა.

ნაციონალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად ვხვდებით მისი ტიპოლოგიზაციის მცდელობებს. მაგალითად, ენტონი სმითი თავის „იგნში „ნაციონალიზმის თეორიები“ ერთ შემთხვევაში ნაციონალიზმის ექვს, ხოლო მეორე შემთხვევაში თორმეტ ტიპს გამოყოფს. ყველაზე ხშირად შემდეგი სახის კლასიფიკაციებს ვხვდებით: ვოლუნტარისტული და ორგანული, სუბიექტური და ობიექტური, პოლიტიკური და კულტურული, ლიბერალური და არალიბერალური და სხვ. ასეთი სახის დაყოფათა საფუძველს და კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ნაციონალიზმის ეთნიკური (ექსკლუზიური) და სამოქალაქო (ინკლუზიური) გაგება, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება ნაციონალური პროექტის ცნებას, ეს არის სახელმწიფოს მოწყობის და საზოგადოების განვითარების გეგმა, რომელსაც პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა საკუთარ ხალხს სთავაზობს. ნაციონალური პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეული უნდა იქნას კონკრეტული მიზანი, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და სტაბილურობას განაპირობებს. პროექტის განხორციელების გზაზე ნაბიჯების გადასადგმელად ელიტას საზოგადოების მხარდაჭერა ჭირდება, რაც ამა თუ იდეის გარემო ნაციონალური კონსოლიდაციის გზით მიიღწევა. კონსტრუქტივისტები ნაციონალიზმს პოლიტიკური ელიტის მიერ მართულ ფენომენად მიიჩნევენ, რომელიც მათ მიერ შეთავაზებული ნაციონალური პროექტის მხარდასაჭერად დაგვივდება და აქტიურ იდეოლოგიურ მოძრაობად გადაიქცევა (ნოდია 2006: 56).

ზოგიერთი ავტორი თავად ნაციონალიზმსაც პროექტად მოიხსენიებს. ლია გრინფილდის აზრით, ნაციონალიზმი არის არა ობიექტურად არსებული

მახასიათებლების/ელემენტების ერთობლიობა, არამედ გარკვეული ორგანიზებული პრინციპები, რომლებიც ამა თუ იმ ელემენტის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს (Greenfeld 1993: 7). მაგალითად, თუ საზოგადოების ან სახელმწიფოს ლიდერების მიზანი ეთნიკური ნაციონალიზმის გადვივებაა, მაშინ განმსაზღვრელი ხდება ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა საერთო წარმომავლობის იდეა, ავტოქტონობა, სისხლისმიერი ნათესაობა, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ბუნებრივად არსებობა და სხვა. თუ ნაციონალიზმის ძირითადი იდეა მრავალეთნიკური საზოგადოების ფორმირება და სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაა, შესაძლოა, პრიორიტეტი ისეთ ელემენტებს მიენიჭოს, როგორებიცაა ერის წევრობის არჩევანის თავისუფლება, მოქალაქეობა, სახელმწიფოს მიმართ დოიალურობა, და სხვა.

უოლკერ კონორის შეხედულებით, ერის მშენებლობა ნაციონალური პროექტია, რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება. სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტებია ის ძირითადი აქტორები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ ნაციონალურ პროექტს იმ მოდელის მიხედვით, რომელიც პრიორიტეტულია არსებული პოლიტიკური ელიტისთვის (Connor 1993: 40). აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ნაციონალური პროექტი ცვალებადი და დინამიური ფენომენია, მასზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს პოლიტიკური კონიუნქტურა და იგი ხშირად იცვლება არასტაბილური პოლიტიკური კონტექსტის პირობებში. სწორედ პოლიტიკური კონტექსტის ცვალებადობით ხასიათდება პოსტსოციალისტური ტრანზიციის პერიოდში მყოფი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, რაც, ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკის გააზრებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შეუძლებელია იმ ობიექტური გარემოებებისა და ფაქტორების უგულებელყოფა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნაციონალიზმის ფორმირებასა და ერის მშენებლობის პროცესზე. ნაციონალური პროექტის ხასიათზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ობიექტური რეალობები, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც ელიტასა თუ საზოგადოებაში არსებულ განწყობებსა და დამოკიდებულებებს აყალიბებს. ასეთად შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად, დიდი პოლიტიკური ტრასფორმაცია, როგორიც იყო საბჭოთა კაგშირის დაშლა, რამაც ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში პროცესების რადიკალიზაცია და ეთნიკური ნაციონალიზმის

აღმოცენება განაპირობა. ერნესტ გელნერის შეხედულებით, ერები და ნაციონალიზმი შემთხვევითობაა, რომლებიც შესაბამის დროსა და ვითარებაში ყალიბდება (Gellner 1983: 6). ქართული ნაციონალიზმის ფორმასა და დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ “შემთხვევითმა”, ობიექტურმა გარემოებებმა, რომლის წინაშე ქვეყანა პოსტსაბჭოთა ტრანზიციის სხვადასხვა ეტაპზე აღმოჩდა. შესაბამისად, ქართული ნაციონალური პროექტი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების პროდუქტია.

**კვლევის თეორიული საფუძველი.** ცნობილი ამერიკელი მკვლევარი როჯერს ბრუბერი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნაციონალიზმის გამოცოცხლებამ პოსტ-სოციალისტურ სივრცეში მყისიერად განაპირობა ამ ფენომენისადმი აკადემიური ინტერესის ზრდა. შემუშავდა მრავალი თეორიული მიდგომა, რომელიც ცდილობს ახსნან ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზები, განვითარება, მისი როლი დღევანდელ მსოფლიოში და სამომავლო პერსპექტივები (Brubaker 1998: 233). ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში მარტივი ექსპერიმენტის მეშვეობით დავრწმუნდებით: თუკი google-ის საძიებო სისტემაში ჩავწერთ სიტყვათა კომბინაციას “theories of nationalism” (ნაციონალიზმის თეორიები), შედეგად ცამეტ მილიონზე მეტ ერთეულ ინფორმაციას მივიღებთ. ნათელია, რომ ამ შთამბეჭდავი მოცულობის ინფორმაციაში ორიენტირება და კვლევისთვის სასურველი თეორიული საფუძვლის მოძიება არცთუ მარტივია.

მკვლევართა ნაწილი ცდილობს თეორიათა კლასიფიკაციას და სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დაჯგუფებას. მაგალითად, ჯოზეფ ლობერა ნაშრომში “ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიები” პარადიგმათა სამ ჯგუფს გამოყოფს:

1. **პრიმორდიალისტური და სოციობილოგიური თეორიები.** ამ მიდგომათა მიხედვით, ნაციონალური იდენტობა იმთავითვე განსაზღვრული მოცემულობაა, შესაბამისად, ერები და ნაციონალიზმი კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს. პრიმორდიალური იდენტობა სრულად გრძნობებზე და ემოციებზეა დამყარებული, რომელიც ინდივიდს დაბადებიდანვე აქვს მოცემული. თანამედროვე აკადემიურ სივრცეში პრიმორდიალისტური მიდგომები ნაკლებად არის გაზიარებული, რადგან მიიჩნევა, რომ ერს და ნაციონალიზმს არ შეიძლებოდა ეარსება

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე; მათი ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია გარკვეული გარემო-პირობების არსებობა.

**2. ინსტრუმენტალისტური თეორიები.** ამ მიდგომების მიხედვით, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობები მოქნილი და ცვალებადია, მათი შინაარსი დროისა და გარემოს ცვალებადობაზეა დამოკიდებული. ნაციონალიზმის ინსტრუმენტალისტური თეორია დამყარებულია იდეაზე, რომ ეროვნულობა და ეთნიკურობა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების შედეგია. ინდივიდი არ არის მიჯაჭვული კონკრეტულ ერთობაზე, მას შეუძლია შეიცვალოს ნაციონალური იდენტობა, ან იყოს ერთზე მეტი ერთობის წევრი.

**3. მოდერნისტული თეორიები.** შეხედულება ნაციონალიზმის მოდერნულ ეპოქაში ჩამოყალიბების შესახებ თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში ყველაზე მეტად არის გაზიარებული. ორი პოპულარული თეორიული მიდგომა, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ეთნოსიმბოლიზმი, მიუხედავად მათ შორის არსებული სხვაობებისა, ერებსა და ნაციონალიზმს მოდერნულ ფენომენებად მიიჩნევს. მოდერნისტული თეორიების მიხედვით, ერები და ნაციონალიზმი განიხილება როგორც ტრადიციული საზოგადოების მოდერნულ საზოგადოებად გარდაქმნის შედეგი. მოდერნისტულ პარადიგმაში გამოიყოფა შიდა მიმართულებები: მკვლევართა ნაწილისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური საკითხები, სხვათათვის – პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის პროცესები და სხვა.

ნაციონალიზმის თეორიათა შემოთავაზებული კლასიფიკაციის მსგავს დაყოფას გვთავაზობს ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი ენტონი სმითიც: პრიმორდიალიზმი, პერენიალიზმი (რომელიც დიდად არ განსხვავდება პრიმორდიალური მიდგომისგან), ეთნოსიმბოლიზმი, მოდერნიზმი.

ნაციონალიზმის კვლევის ინსტრუმენტალისტური, მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური მიდგომები კონსტრუქტივისტულ თეორიათა რიცხვს განეკუთვნება, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოსავალი სწორედ კონსტრუქტივისტული მიდგომაა. ამ თეორიათა ავტორები მიიჩნევენ, რომ ნაციონალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მის აღმოცენებას სხვა გარემოებებიც უნდა უწყობდეს ხელს, ელიტების მიერ კონსტრუირებული ფენომენია.

საზოგადოების პოლიტიკური და ინტელექტუალური ლიდერები ქმნიან ნაციონალურ პროექტებს, რომელთა განხორციელების შედეგად ყალიბდება ნაციონალიზმის ესა თუ ის ფორმა. ზოგჯერ ნაციონალური პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება ან შედეგები არ არის პროექტის ავტორთა მიზნების შესაბამისი.

ინსტრუმენტალისტური მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიმართულებაა ნაციონალიზმის კლასიფიკაცია ეთნიკური და სამოქალაქო ფორმის მიხედვით. ასეთი დაყოფა არახალია და მისი საწყისები ჯერ კიდევ პანს კონის (Hans Kohn) შეხედულებებში შეგვიძლია ვეძებოთ. კონი (1891-1971) ნაციონალიზმის კვლევის სათავეებთან იდგა და ერთ-ერთმა პირველმა განავითარა ნაციონალიზმის ეთნიკური და სამოქალაქო გაგების იდეა. თავის ერთ-ერთ მთავარ შრომაში „ნაციონალიზმის იდეა: მისი წარმოშობისა და საფუძვლების კვლევა“, რომელიც 1944 წელს გამოვიდა, კონი ცდილობდა ეპოვა განსხვავებები დასავლეთში არსებულ ნაციონალიზმის „უფრო “კეთილ” ფორმასა და მის არადასავლურ სახესხვაობებს შორის. ნაციონალიზმის დასავლური ფორმები დაფუძნებული იყო იდეაზე, რომ ნაცია წარმოადგენს მოქალაქეთა რაციონალურ ასოციაციას, გაერთიანებულს საერთო კანონებით და საზიარო ტერიტორიით, მაშინ როდესაც მისი არადასავლური სახესხვაობები საერთო კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის ოწმენას ეფუძნება და ნაციას განიხილავს როგორც ურდვევ, ერთიან, ორგანულ, ინდივიდუალურ წევრებზე მაღლა მდგომ თოვანიზმს, რომელიც დაბადებიდან დაგყვება და ნაციონალურ დაღს გასვამს.

ენტონი სმითის შეხედულებით, მსგავსი კლასიფიკაციის წყარო ნაციონალურ მოძრაობათა განსხვავებულ კლასობრივ შემადგენლობაში უნდა გეძებოთ. მისი აზრით, არადასავლეთისგან განსხვავებით, დასავლეთში ძლიერ და თავის თავში დარწმუნებულ ბურჟუაზიას შეეძლოა აეშენებინა მასობრივი სამოქალაქო სულისკეთების მქონე მოქალაქეთა ნაცია (სმითი 2004: 70). ავტორი საუბრობს ასეთი დაყოფის პირობითობაზე. იგი მიმოიხილავს ფრანგულ ნაციონალიზმს, რომელიც, ავტორის აზრით, ეკროპული სამოქალაქო ნაციონალიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. საფრანგეთში სამოქალაქო ნაციონალიზმი გულისხმობს მოქალაქეთა მიერ დომინანტური (ფრანგული) ენის შესწავლას, საქმის წარმოებას ამ ენაზე, უმრავლესობის ისტორიისა და

ლიტერატურის შესწავლასა და დეკლამაციას, ფრანგული ტრადიციების დაცვას, ფრანგული სიმბოლოებისა და ინსტიტუციების აღიარებას და ა.შ. ამის ნათელი გამოხატულებაა ჯერ კიდევ 1790 წელს საფრანგეთის ასამბლეაზე კლერმონტონეს მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ებრაელს, როგორც ინდივიდს, ჩვენ ვაძლევთ უველაფერს, ებრაელს, როგორც ებრაელს – არაფერს“. სმითი მიიჩნევს, რომ დაახლოებით მსგავსი პოლიტიკა ტარდება ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების დიდ ნაწილში, სამოქალაქო ნაციონალიზმი შორსაა იქიდან, რომ განსხვავებული კულტურების მქონე ჯგუფთა მოთხოვნილებანი სრულად დააკმაყოფილოს. ნამდვილი მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების ტენდენციები მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმჩნევა XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან, სადნობი დუმელის იდეოლოგიაზე უარის თქმის შემდეგ. თუმცა, ფაქტობრივად, შეერთებული შტატები პროტესტანტული ინგლისური „ეთნიეს“ საფუძველზე აშენდა (სმითი 2004: 73).

დასავლეთ ევროპული ნაციონალიზმის ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ნაციონალიზმის სამოქალაქო ფორმად წარმოდგენას ასევე ეწინააღმდეგება როჯერს ბრუბეიკერი. იგი ასახელებს დასავლეთევროპულ სივრცეში აღმოცენებული ნაციონალიზმის სახეების უკიდურესად „ექსკლუზიურ“ მაგალითებს, რომლებმაც განაპირობეს კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიაში, მზარდი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი ბელგიაში, ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმი და ა.შ. ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია გარკვეულ ქვეყნებში ქსენოფობიური იდეების მატარებელი პოლიტიკური პარტიების ელექტორალური წარმატება. შესაბამისად, ავტორი თვლის, რომ შეუძლებელია კრიტიკის გარეშე ვაღიაროთ დასავლეთ ევროპული ნაციონალიზმის „სამოქალაქო“ ხასიათი (Brubaker 2006: 134). ბრუბეიკერი გვთავაზობს ალტერნატიულ კლასიფიკაციას – სახელმწიფო (state-framed) და კონტრ-სახელმწიფოებრივი (counter-state) ნაციონალიზმი. პირველ შემთხვევაში, ერი და სახელმწიფო ერთმანეთთან შესაბამისობაშია როგორც ინსტიტუციური, ასევე ტერიტორიული თვალსაზრისით. მეორე შემთხვევაში კი ერი ექსკლუზიური ფენომენია, რომლის საზღვრები არ ემთხვევა ან, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინსტიტუციურ და ტერიტორიულ საზღვრებს (Brubaker 2006: 144). ბრუბეიკერი შედარებით ნეიტრალურ ტერმინებს გვთავაზობს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არ არის აუცილებელი სახელმწიფო ნაციონალიზმი სამოქალაქო ფორმისა

იყოს, ანტისახელმწიფოებრივი კი – ეთნიკურის. ის ასევე ემიჯნება ნაციონალიზმის ამა თუ იმ სახესხვაობის მკაცრ გეოგრაფიულ დეტერმინიზმს და მიიჩნევს, რომ გეოგრაფიულ არეალზე მნიშვნელოვანი ელიტების მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტებია, რომლებიც, თავის მხვრივ, ნაციონალიზმის ფორმას განსაზღვრავს.

მიუხედავად ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის დიქტომიის კრიტიკისა, იგი მაინც ინარჩუნებს ჭეშმარიტების მარცვალს. ნაციის „ვოლუნტარისტულ“ (სამოქალაქო) კონცეფციაში ინდივიდები ფლობენ გარკვეულ თავისუფლებას. მართალია, „ნაციათა მსოფლიოში“ და ნაციონალური სახელმწიფოების არსებობის პირობებში, ისინი ამა თუ იმ ნაციას უნდა განეკუთვნებოდნენ, მაგრამ, პრინციპში, მათ შეუძლიათ თავი მიაკუთვნონ სასურველ ნაციას. ნაციის „ორგანულ“ კონცეფციაში ამგვარი არჩევანი გამორიცხულია. ინდივიდები ნაციაში არიან შობილნი და, სადაც არ უნდა წავიდნენ, მაინც მათი დამბადებელი ნაციის განუყრელ ნაწილად რჩებიან. (სმითი 2004: 70).

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია როგორც ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის განსხვავება, ასევე ბრუბეიკერის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული დიქტომია. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალიზმი, ერთი მხრივ, ცალსახად ეთნიკური ხასიათის მატარებელი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, წინააღმდეგობაში მოდიოდა დამოუკიდებელი მრავალეთნიკური საქართველოს ტერიტორიულ და ინსტიტუციურ საზღვრებთან. მოგვიანო პერიოდში, ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ ტრანსფორმაციის პროცესში, მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებამ ითამაშა.

შემოთავაზებული თეორიული ჩარჩო, ისევ როგორც ცნებებისა და ტერმინების მკაფიო განსაზღვრა ხელს უწყობს გამოკვლევის ერთგვარ „შემოფარგვლას“, რაც კონკრეტული შემთხვევის კვლევის (case study) ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ნაშრომში განხილული ფაქტობრივი მასალა, რომლის საფუძველზე შეგვადეთ პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტის ეთნიკური და სამოქალაქო მახასიათებლები და მათი დინამიკა შეგვესწავლა, წარმოდგენილი თეორიული საფუძვლის ფარგლებშია შერჩეული და გაანალიზებული.

## ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ რიგში, შევეხებით ნაციონალიზმის კვლევების სფეროში არსებულ კლასიკურ ლიტერატურას, კონკრეტულად, ბენედიქტ ანდერსონის, ერნესტ გელნერის, ენტონი სმითის, ერიკ ჰობსბაუმის შრომებს. ეპოქის კვლევის თვალსაზრისით, ამ ავტორთა ნაშრომები ჩვენთვის ნაკლებ საყურადღებოა. ისინი, ძირითადად, მე-18-19 საუკუნეებში, ერებისა და ნაციონალიზმის ფორმირების ეპოქაში განვითარებულ პროცესებს ასახავს. ჩვენთვის საინტერესო ავტორთა მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი თეორიული დებულება, რომლებიც ადრეული ნაციონალური პროექტების ჩამოყალიბებას და ნაციონალიზმის კონსტრუირებულობას ეხება.

ბენედიქტ ანდერსონის (Benedict Anderson) ცნობილი ნაშრომი „წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“ (2003)<sup>2</sup> ერთ-ერთი კლასიკური პუბლიკაციაა, რომელიც საფუძვლად დაედო ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიას. ანდერსონი ერებსა და ნაციონალიზმს ცალსახად ახალ მოვლენად მიიჩნევს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ უვროპულ სივრცეებში იწყებს ჩამოყალიბებას და დიდ გავლენას ახდენს არაევროპულ სივრცეებში მიმდინარე პროცესებზე. ერი, ავტორის აზრით, არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება. იგი წარმოსახვითია იმიტომ, რომ ყველაზე მცირე ერის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია პიროვნება იცნობდეს საკუთარი ერთობის წარმომადგენელთა რამდენადმე მნიშვნელოვან რაოდენობას, თუმცა მათ საკუთარი ერის წევრებად მიიჩნევს (ანდერსონი 2003: 3). ნაციონალიზმი კი, ანდერსონის შეხედულებით, კულტურული სისტემაა, რომელიც ქმნის საფუძველს შემდგომი პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობებისათვის (ანდერსონი 2003: 4). ავტორის მიერ შემოთავაზებული თეორიული დებულებებიდან ჩვენთვის საყურადღებოა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ნაციონალიზმის ფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად ნაციონალისტურად განწყობილი ელიტის არსებობა მიიჩნევა. ასეთი ელიტები საზოგადოების ახალგაზრდა ლიდერებისაგან, ე. წ. „პილიგრიმებისგან“ შედგება, რომლებმაც განათლება

<sup>2</sup> კლასიკური ლიტერატურის ნაწილი არსებობს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვუთითებთ ქართული გამოცემის წელს.

საზღვარგარეთ მიიღეს და, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებულებმა, მოდერნული ნაციონალური პროექტების განხორციელება დაიწყეს. სწორედ ასეთი პროექტების განხორციელების შედეგია იმპერიულ სიგრცეებში ნაციონალიზმის გადვივება. საქართველოს რეალობაში, შეიძლება, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველი „თერგდალეულები“ ანდერსონისეულ „პილიგრიმებს“ შევადაროთ, მათ მიერ ჩამოყალიბებული „ეროვნული პროგრამა“ კი ადრეულ ქართულ ნაციონალურ პროექტად მივიჩნიოთ (ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით).

აღნიშნული ნაშრომის ანალიზის საფუძველზე ნათელია პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების განსაკუთრებული როლი ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი გამოკვლევის თეორიული საფუძვლის მოძიებისთვის.

ცნობილი თეორეტიკოსი ერნესტ გელნერი (Ernest Gellner) ნაშრომში „ერები და ნაციონალიზმი“ (2003), ანდერსონის მსგავსად, ნაციონალიზმის ფორმირებაში განმსაზღვრელ მნიშვნელობას კულტურას ანიჭებს. იგი აანალიზებს აგრარული საზოგადოებების ინდუსტრიულ საზოგადოებებად გარდაქმნის ხანგრძლივ პროცესს და ნაციონალიზმის გაჩენის ხანად სწორედ ინდუსტრიულ პერიოდს მიიჩნევს, როდესაც, კულტურული ტრანფორმაციის შედეგად, ერები და ნაციონალიზმი იწყებს ჩამოყალიბებას. გელნერისეული განსაზღვრების მიხედვით, ნაციონალიზმი არის პრინციპი, რომლის თანახმად ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს ეროვნული და პოლიტიკური საზღვრები. ნაციონალიზმის მიზანიც სუვერენული პოლიტიკური ერთეულის შექმნაა (გელნერი 2003: 4).

პრიტანელი მეცნიერი ენტონი სმითი (Antony D. Smith) ნაშრომში „ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ (2004) პვლევით სფეროში არსებულ თეორიულ კონცეპტებს და მიდგომებს აჯამებს და მათ საფუძველზე საკუთარ ხედვას ავითარებს. წიგნი კარგი სახელმძღვანელოა ნაციონალიზმის თეორიებით დაინტერესებული მკითხველისათვის. პარადიგმების, ცნებებისა და ტერმინების ანალიზის შემდეგ, ნაშრომში განხილულია ნაციონალიზმის მომავალი თანამედროვე მსოფლიოში, ერი-სახელმწიფოების როლი და პერსპექტივები. პუბლიკაცია ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სმითი ნაციონალიზმს, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიად და სოციალურ მოძრაობად

მიიჩნევს, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული სიმბოლური ენა და რიტორიკა (სმითი 2004: 21). ემპირიული მასალის განხილვისას დავინახავთ, რომ სომბოლოებს და ელიტების რიტორიკას მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ცნობილ ბრიტანელი მკვლევარი ერიკ ჰობსბაუმი (Eric Hobsbawm) ნაშრომში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან: პროგრამა, მითი, რეალობა“ იზიარებს ნაციონალიზმის შესახებ გელნერის შეხედულებას და, თავის მხრივ, ამატებს, რომ ნაციის წევრობა ადამიანს აკისრებს ვალდებულებას იმ ერთობის წინაშე, რომლის წევრიც არის. ეს ვალდებულება, თავისი მნიშვნელობით, აღემატება ყველა სხვა ვალდებულებას. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს თანამედროვე ნაციონალიზმს ჯგუფური იდენტობის ყველა სხვა ფორმისგან (ჰობსბაუმი 2012: 17).

ჩვენთვის ასევე საყურადღებოა ჰობსბაუმის და რეინჯერის რედაქტორობით 1983 წელს გამოცემული წიგნი „ტრადიციების გამოგონება“. ნაშრომის შესავალ ნაწილში ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმის გაღვივებისა და საზოგადოების მობილიზაციისათვის საჭიროა ტრადიციის შექმნა, ან უკვე არსებული ამა თუ მოვლენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. ავტორის აზრით, ზოგიერთი, თითქოსდა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ტრადიცია სრულიად ახალი ან, სულაც, გამოგონებულია (Hobsbawm & Ranger (eds) 1983: 1). ეს თეორიული დებულება კარგად მიესადაგება პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმებს, კერძოდ, ქართულ ნაციონალიზმს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბოლო წლებში გამოცემული კალეგებიდან უნდა აღინიშნოს ოქსფორდის ნაციონალიზმის ისტორიის სახელმძღვანელო (Oxford Handbook of the History of Nationalism, 2013), რომელიც ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევის სფეროში შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და მასშტაბური ნაშრომია. მასში, თეორიული საკითხების ანალიზთან ერთად, წარმოდგენილია მდიდარი ემპირიული მასალა, არაერთი კონკრეტული შემთხვევის კვლევა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან. აღნიშნული სახელმძღვანელოდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჯონ ჰატჩინსონის (John Hutchinson) სტატია „კულტურული ნაციონალიზმი“ („Cultural Nationalism“) (Hutchinson 2013: 75-94),

რომელშია ასახული თეორიული დებულებები საინტერესოდ ესადაგება საქართველოს მაგალითს.

ლიტერატურიდან, რომელიც ჩვენი პვლევის უშუალო თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ როჯერს ბრუბეიკერის (Rogers Brubaker) ნაშრომებს<sup>3</sup>. 2006 წელს გამოცემულ გამოკვლევაში „ეთნიკურობა ჯგუფების გარეშე“ („Ethnicity Without Groups“) ავტორი ეთნიკურობას, ერებს, სხვადასხვა სახის ჯგუფურ იდენტობებს კონსტრუირებულ ფენომენებად მიიჩნევს. ბრუბეიკერის აზრით, ერებისა და ეთნიკური ჯგუფების კვლევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ პრაქტიკულ კატეგორიებზე, სიტუაციებზე, კულტურულ იდიომებზე, დისკურსზე, პოლიტიკურ პროექტებზე, ჯგუფურობის ცვალებადობაზე (Brubaker 2006: 27). მისი შეხედულებით, ისეთი ფენომენები, როგორებიცაა ეთნოსი, ერი, რასა, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალური და პოლიტიკური პროცესების შედეგია (Brubaker 2006: 87). ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის დიქტომიას. ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ მსგავსი კლასიფიკაციის დროს ხშირად ვხვდებით ანალიტიკურ და ნორმატიულ ორაზროვნებას, გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, რაც, უდაოდ, კრიტიკას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, იგი იზიარებს ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის განსაზღვრებათა ძირითად პოსტულატებს და შედარებით ნეიტრალურ ალტერნატივას გვთავაზობს, რაზეც შესავალ ნაწილში უკვე გვქონდა საუბარი.

საყურადღებოა ბრუბეიკერის მეორე ნაშრომი „ხელახლა გააზრებული ნაციონალიზმი: ერი და ეროვნული საკითხი ახალ ეპროპაში“ („Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe“, 1996). ავტორის შეხედულებით, მეოცე საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმის გაღვივება და დიდი, მრავალეროვანი სახელმწიფოების დაშლა თავად ამ სახელმწიფოების მიერ ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციაშ განაპირობა. ბრუბეიკერი დიდ ყურადღებას უთმობს პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმებს და მიიჩნევს, რომ „პერესტროიკამდე“ დიდი ხნით ადრე განხორციელდა ნაციებისა და ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციონალიზაცია, რამაც იმთავითვე შეუქმნა საფუძველი მე-20

<sup>3</sup> აღნიშნული გამოკვლევები, სამწუხაროდ, არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, ამიტომ, ვამჯობინეო, მათი დასახელებები ორიგინალის (ინგლისურ) ენაზეც შემოგვეთავაზებინა.

საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს (Brubaker 1996: 18). საბჭოთა რეჟიმი კრძალავდა ნაციონალიზმის ყოველგვარ პოლიტიკურ გამოვლინებას, მაგრამ, ამავე დროს, ქმნიდა ტერიტორიული და კულტურული ინსტიტუციონალიზაციის ფორმებს. მსგავსმა მიდგომამ ეთნიკურობა ფუნდამენტურ სოციალურ კატეგორიად აქცია და პოსტსაბჭოთა პერიოდში ეთნიკური ნაციონალიზმის „აფეთქება“ გამოიწვია.

თანამედროვე ნაციონალიზმის ფორმების, თეორიული მიდგომების, ცნებებისა და ტერმინების ანალიზის თვასაზრისით, დიდი დახმარება გაგვიწია ალან დიქოფის (Alain Dieckhoff) და კრისტოფ ჯეფრელოტის (Christophe Jaffrelot) რედაქციით გამოცემულმა ნაშრომმა „ნაციონალიზმის ხელახლი გააზრება“ („Revisiting Nationalism: Theories and Processes“, 2005). პუბლიკაციის აგტორები ფართოდ განიხილავენ ნაციონალიზმის, მულტიკულტურალიზმის, დემოკრატიის, რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებს. დიდი ყურადღება ეთმობა ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს და ნაციონალიზმის როლს მათ აღმოცენებაში.

მნიშვნელოვან ნაშრომებს მოიცავს ლოუელ ბარინგტონის (Lowell Barrington) რედაქტორობით გამოცემული კრებული „დამოუკიდებლობის შემდეგ: ერის შექმნა და დაცვა პოსტკოლონიურ და პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში“ („After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states“, 2006). აქ განხილულია სხვადასხვა პოსტსოციალისტური სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს შემთხვევა. შესავალ ნაწილში, რომლის სახელმწიფდებაა „Nationalism & Independence“, რედაქტორი აყალიბებს ნაციონალიზმის კვლევის ახალ, პოსტსოციალისტური ეპოქისთვის მნიშვნელოვან ამოცანას – შესწავლილ იქნას ნაციონალიზმის როლი და ფუნქცია მას შემდეგ, რაც ის მიაღწევს უმთავრეს მიზანს – სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. ავტორი ასევე კრცლად მიმოხილავს ერისა და ნაციონალიზმის ცნებათა გარშემო მიმდინარე თანამედროვე დებატებს.

ყურადღებას იქცევს ამავე კრებულში გამოქვეყნებული იან ბრემერის (Ian Bremmer) სტატია „პოსტსაბჭოთა ერები დამოუკიდებლობის შემდეგ“ („The Post-Soviet Nations After Independence“). ავტორი მიუთითებს, რომ დამოუკიდებლობის ძიებაში ნაციონალურმა ელიტებმა მასების მობილიზაცია მოახდინეს ერის, სამშობლოს, ისტორიული იდენტობის, სუვერენულობის იდების გარშემო, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახლად აღმოცენებული ერი-

სახელმწიფო სრულიად ახალი გამოწვევების, მიზნების, თამაშის წესების წინაშე აღმოჩნდნენ, რაც ელიტების მხრიდან განსხვავებული მიღვომების შემუშავებას მოითხოვდა (Bremmer 2006: 141). ახალ პირობებში მასების მობილიზაცია საკმარისი აღარ იყო წარმატების მისაღწევად, რადგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენარჩუნება და გაძლიერება ბევრი სხვადასხვა სახის პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვდა.

აღნიშნული კრებულიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კავკასიის რეგიონის ცნობილი ამერიკელი მკვლევრის, სტივენ ჯონსის (Stephen Jones) სტატია „საქართველო: ნაციონალიზმი ნანგრევებიდან“ („Georgia: Nationalism from Under the Rubble“). ავტორი პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის განვითარების ტენდენციებს აანალიზებს. სტატიის არსე მოკლედ შევეხებით, რადგან სტივენ ჯონსმა პოსტსაბჭოთა საქართველოს შესახებ საკუთარი ნაშრომები შეაჯამა ახლად გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ“ (2013), რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ. რაც შეეხება აღნიშნულ სტატიას, ავტორი 1990-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის მარცხზე ამახვილებს ყურადღებას. ამ პერიოდში საქართველომ გამოიარა სამოქალაქო ომი, ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობა, ორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, დაკარგა ტერიტორიები. ქვეყანა პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას უსისხლოდ ვერ გადაურჩა, რაც, ავტორის აზრით, დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში ქართული ნაციონალიზმის (იგივე ნაციონალური პროექტის) წარუმატებლობაზე მიუთითებს (Jones 2006: 249).

რაც შეეხება სტივენ ჯონსის ზემოხსენებულ მონოგრაფიას, წიგნში გააზრებულია საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესები 1985-2011 წლებში; გაანალიზებულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდი, დამოუკიდებლობის მოპოვება, შემდგომი დესტაბილიზაცია და დეზინტეგრაცია, შევარდნამის ეპოქა და ბოლოს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი. ნაშრომი კომპლექსური გამოკვლევაა და ბევრ პრობლემურ საკითხს ეხება, მათ შორის, ქართული ნაციონალური პროექტის ფორმირებას და ნაციონალიზმის განვითარების თავისებურებებს. წიგნში ცალკე ქვეთავია გამოყოფილი, სახელწოდებით „ქართული ნაციონალიზმის მითი“, სადაც საუბარია დასავლურ პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში არსებული მითის შესახებ, რომელიც

გადაჭარბებით ნებატიურ შეფასებას აძლევს ქართულ ნაციონალიზმს და მას პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა უბედურების სათავედ მიიჩნევს (ჯონსი 2013: 303).

ნატალია საბანაძის ინგლისურ ენაზე შესრულებული მონოგრაფია „გლობალიზაცია და ნაციონალიზმი: საქართველოსა და ბასკეთის შემთხვევები“ („Globalization and Nationalism: the Cases of Georgia and the Basque Country“, 2010) საინტერესოა როგორც მეთოდოლოგიის, ასევე ემპირიული მასალის კვლევის თვალსაზრისით. საბანაძე პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის სამ ფაზას გამოყოფს: 1. ნაციონალური ფუნდამენტალიზმი – გამსახურდიას ეპოქა, როდესაც რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი აღმოცენდა. 2. ნაციონალური აპათია – შევარდნაძის პერიოდი, დერადიკალიზაციის პროცესი და სტაბილურობისაკენ სწრაფვა. 3. ნაციონალიზმის კონკურენტული ვარიაციები – 1990-იანი წლების მიწურული და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი, როდესაც, ძლიერი სამოქალაქო დისკურსის პარალელურად, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რადიკალური განწყობები იწყებს ჩამოყალიბებას (Sabanadze 2010: 48).

ნატალია საბანაძეს ეკუთვნის კიდევ ერთი ნაშრომი – „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება: გამოწვევა სახელმწიფოს მშენებლობისათვის“ („Georgia's Ethnic Diversity: A Challenge to State-building“), რომელიც გამოქვეყნდა 2012 წელს გამოცემულ კრებულში „თანამედროვე საქართველოს შექმნა: 1918-2012“ („The Making of Modern Georgia: 1918-2012“). აგტორი ეთნიკური მრავალფეროვნების მართვას საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს გამოწვევად მიიჩნევს. იგი მიმოიხილავს საბჭოთა მემკვიდრეობას და პოსტსაბჭოთა საქართველოს ნაციონალურ პოლიტიკას, რომელზეც, საბანაძის აზრით, დიდ გავლენას ახდენს საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია. მულტიკულტურალიზმის მითის შექმნის პარალელურად, ლიგიდებოდა ეთნიკური ნაციონალიზმი და აკადემიურ სივრცეში პრიმორდიალური მიდგომები დომინირებდა (Sabanadze 2014: 120).

მცირეა პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის თემატიკაზე ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომების რიცხვი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ სტატიებს. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ფუნდამენტური გამოკვლევა. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ საბჭოთა კავშირში, მკაცრი

იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში, ერებისა და ნაციონალიზმის ფორმირების კვლევა უკიდურესად შეზღუდული გახდათ. მსგავს საკითხებთან შეხება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მიდგომების ფარგლებში იყო შესაძლებელი. პოსტსაბჭოთა ეპოქაში, მიუხედავად იდეოლოგიური წნევის არარსებობისა, მაინც შენარჩუნდა აკადემიური კვლევის ძველი მიდგომები. რჩება შთაბეჭდიელბა, რომ ქართველი მკვლევრები ერიდებიან ნაციონალიზმის თემატიკის განხილვას, ან, კვლევითი ტრადიციის არქონის გამო, ჯერ არ არის დაგროვილი შესაბამისი თეორიული ცოდნა. 2000-იანი წლებიდან შეინიშნება გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით, თუმცა ქართველ ავტორთა ნაშრომები, ძირითადად, მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერის ფირმირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება.

2008 წელს გამოიცა დიმიტრი შველიძის მონოგრაფია „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992).“ ავტორი გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის და ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების მიზეზებს იგვლევს და, გარკვეულებულად, მიმოიხილავს ნაციონალიზმთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომი, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესს აანალიზებს და სამოქალაქო ომის მიზეზების შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს. მისი მიზანია მეცნიერულად შეისწავლოს „1987-1992 წლებში მიმდინარე დაპირისპირებები ჯერ ეროვნულ მოძრაობაში, შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, შემდეგ კი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის“ (შველიძე 2008: 2), გაარკვიოს, თუ რა იყო პერმანენტული კონფრონტაციის მიზეზები, წინაპირობები და რატომ განვითარდა მოვლენები ასეთი დრამატული სცენარით.

მოკლედ ეხება თანამედროვე ქართულ ნაციონალიზმს და მის ისტორიულ წანამდვარებს ზურაბ დავითაშვილი 2003 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“. მისი შეხედულებით, რადიკალურმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა ნებატიური როლი შეასრულა და მნიშვნელოვნად განაპირობა 1990-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს მარცხი (დავითაშვილი 2003: 388). აღნიშნული ნაშრომიდან ჩვენთვის საინტერესოა მეთორმეტე თავის პირველი ქვეთავი „თანამედროვე ქართული ნაციონალიზმი და მისი ისტორიული წანამდვრები“, სადაც ავტორი მოკლედ მიმოიხილავს

ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. ზურაბ დავითაშვილის შეხედულებით, ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის მიერ გატარებული პოლიტიკის და ეთნიკური ნაციონალიზმის მარცხმა ბუნებრივად შეუწყო ხელი სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის პროცესს. ავტორი განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს დამოუკიდებლობის მოპოვებას, როდესაც მიღწეული იქნა ნაციონალიზმის „უმთავრესი მიზანი – სუვერენული სახელმწიფოს შექმნა. არსებული სახელმწიფოს შენარჩუნება და განმტკიცება ეთნიკური ნაციონალიზმის სახელმწიფო ნაციონალიზმად ტრანსფორმირებას მოითხოვს და აქცენტს არა ეთნიკურობაზე, არამედ სახელმწიფოებრიობაზე აკეთებს (დავითაშვილი 2003: 404)

ჩვენი კვლევისთვის საყურადღებოა გია ნოდიას სტატია „საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები“, რომელიც დაბეჭდილია 2006 წელს გამოცემულ კრებულში „სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ“. ავტორს გამოყოფილი აქვს ცალკე ქვეთავი სახელმწოდებით „საქართველოს ეროვნული პროექტი“, სადაც ნოდია ცდილობს განსაზღვროს ეროვნული პროექტის ცნება და გაანალიზოს თანამედროვე საქართველოს ნაციონალური პროექტის ძირითადი მახასიათებლები. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში როგორც პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისთვის, ასევე მოსახლეობისთვის ეროვნული პროექტი „ნორმალურ“ ევროპულ ქვეყნად ქცევას და აღიარებას გულისხმობს. ამ მხრივ, საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი, შესაძლოა, ბალტიის სახელმწიფოები, პოლონეთი ან, თუნდაც, სერბეთი იყვნენ (ნოდია 2006: 58-59). გია ნოდიას აზრით, არ არსებობს კონკრეტული კულტურულად ახლობელი ქვეყანა, რომელიც ასეთ მოდელად გამოდგება და საქართველოსთვის მისაბაძი ზოგადად ევროპაა. ეს ნაშრომი საქართველოს რეალობაში შექმნილი ის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, სადაც შემოტანილია ეროვნული (ნაციონალური) პროექტის ცნება და გაანალიზებულია საქართველოს შემთხვევა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ემყარება მნიშნელოვან ემპირიულ მასალას და ავტორი მხოლოდ ზოგადი თეორიული მსჯელობით შემოიფარგლება.

უნდა შევეხოთ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2009 წელს გამოცემულ კრებულს „ქართველი ერის დაბადება“, სადაც 2007 წელს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალებია დაბეჭდილი. ამ

კრებულიდან საყურადღებოა დავით აფრასიძის სტატია „სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი?“ ავტორის აზრით, 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში პასუხაუცემელია სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის საკვანძო კითხვები – სად, რა გეოგრაფიულ სივრცეში იქმნება საქართველოს სახელმწიფო და ვინ შეადგენს ქართველ ერს? (აფრასიძე 2009: 93). ავტორის მიზანია, გაანალიზოს და გამოკვეთოს მთავარი გამოწვევები ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების გზაზე, სადაც უმთავრესი გამოწვევა ქართველი ხალხის (საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანთა ერთობის) პომოგენურობის მიღწევაა. ამ მიზნის განხორციელება კი მხოლოდ სახელმწიფოს ფორმირების პროექტის წარმატების პრობებშია შესაძლებელი.

აღნიშნულ კრებულში დაბეჭდილია გია ნოდიას კიდევ ერთი სტატია „ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი“. ნაშრომის მიზანია „ზოგადად მოხაზოს ქართველი ერის თანამედროვე იდეის ევოლუციის ტრაქტორია“ (ნოდია 2009: 116). მოცემულ ნაშრომში ავტორი კვლავ ავითარებს ზემოაღნიშნულ თეზისს და თვლის, რომ ქართველებისთვის ნაციონალიზმი და ევროპაში ინტეგრირების წყურვილი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ინტელექტუალის შეხედულებით, ევროპა „პოსტნაციონალურ“ ხანაშია და ნაციონალიზმს იქ უკვე ყავლი გაუვიდა, ქართველებმა არ უნდა „დაიმორცხონ“ იმის გამო, რომ მათი ნაციონალიზმი არასაკმარისად პოსტმოდერნულია და არ უნდა შეცვალონ ეროვნული პროექტის სახე. გია ნოდია თვლის, რომ ევროპული პოსტმოდერნიზმი მხოლოდ ინტელექტუალების გონიერების არსებობს და რეალობა მისგან განხხავებულია. საქართველოს წარმატება მხოლოდ არსებული ნაციონალური პროექტის განხორციელებაზეა დამოკიდებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩარებულ სამოქალაქო ომთან და ხელისუფლების დამხობასთან დაკავშირებით 1990-იან წლებში გამოცემული ნაშრომები უკიდურესად სუბიექტური ხასიათისაა და ცოტა აქვს საერთო აკადემიურ კვლევასთან. ვტორები, ძირითადად, კონკრეტულ პოლიტიკურ პოზიციას გამოხატავენ და მოწინააღმდეგებთა კრიტიკით არიან დაკავებული. ამ ნაშრომების ნაწილს ემპირიული მასალის განხილვისას შევეხებით.

ჩვენი კვლევის ქმპირიულ ბაზას შეადგენს აგრეთვე მემუარული ლიტერატურა, კერძოდ, ედუარდ შეგარდნაძის, ჯუმბერ პატიაშვილის, ჯაბა იოსელიანის და სხვათა მოგონებები, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორები გვერდს უვლიან ქართულ ნაციონალიზმთან, მის როლსა და ფუნქციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომებში, რომელთა მოცულობა ასობით ფურცელია, იმიათად გვხვდება საკვლევი საკითხისთვის საჭირო ინფორმაცია.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევია საკვლევი საკითხისადმი მზარდი ინტერესი. მაგალითად, 2009 წლიდან ილიას „უნივერსიტეტი“ გამოსცემს აკადემიურ ჟურნალს „იდენტობის კვლევები“. სტატიების გარკვეული ნაწილი პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულ პროცესებს ეხება, თუმცა შეინიშნება ქმპირიული კვლევის სიმწირე, ავტორები მხოლოდ ზოგადი თეორიული დებულებებით შემოიფარგლებიან.

# თავი I. დამოუკიდებლობის გარიურაჟზე – პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან

## 1.1. ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები: “თერგდალეულები” და პირველი ნაციონალური პროექტი

აკადემიურ წრებში ხშირია დებატები ქართველი ერისა და ქართული ნაციონალიზმის წარმოშობის შესახებ. მკვლევართა მნიშვნელოვან ნაწილში დომინირებს პრიმორდიალისტური შეხედულებები, რომლის მიხედვით, ქართველი ერი ყოველთვის არსებობდა, ქართული საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე.<sup>4</sup> უკვე 2000-იანი წლებიდან, ერისა და ნაციონალიზმის საკითხებისადმი ინტერესის ზრდის პარალელურად, გაჩნდა და დამკვიდრდა განსხვავებული თვალსაზრისიც: მკვლევართა მეორე, შედარებით მცირე ნაწილი თვლის, რომ ქართველი ერი, მოდერნული გაგებით, მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას.<sup>5</sup> ჩვენ ვემხრობით მეორე თვალს აზრისს – ვფიქრობთ, რომ ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების საფუძვლები ილია ჭავჭავაძის და „თერგდალეულთა“ სახელს უკავშირდება. სწორედ ისინი ქმნიან საზოგადოების განვითარების პირველ ნაციონალურ პროექტს, იგივე „ეროვნულ პროგრამას“ და გეგმაზომიერად ცდილობენ მის განხორციელებას.

არსებული დებატები, ძირითადად, შემდეგი მიზეზით არის განკირობებული: წარსულის კვლევის საბჭოთა პერიოდში არსებული ტრადიცია ცალსახად პრიმორდიალისტურია, შესაბამისად, ამ სკოლის აღზრდილ მკვლევართა ნაწილს უჭირს თანამედროვე მიდგომებთან შეგუება. ძირითადი არგუმენტი ქართველი ხალხის დამპურობელთა წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლაა, რომელიც ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევა და მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებზე გაცილებით ადრე იღებს სათავეს.

მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა, ვფიქრობთ, არ არის მართებული მათ

<sup>4</sup> მაგ. იხ. თამაზ ბერაძის სტატია “ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები”. ეთნოლოგიური კრებული, 2008.

<sup>5</sup> მაგ. იხ. მარიამ ჩხარტიშვილის და ქეთევან მანიას ნაშრომი “ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში”, თბ. 2011; ზურაბ დავითაშვილის მონოგრაფია “ნაციონალიზმი და გლობალიზაცია”, თბ. 2003; ნატალია საბანაძის ინგლისურ ენაზე შესრულებული ნაშრომი “Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and Basque Country” CEU Press, 2011.

შორის ტოლობის ნიშნის დასმა. ბევრი მეცნიერი ნაციონალიზმს იმპერიის წინააღმდეგ კოლონიზებული ხალხის საპროტესტო გამოსვლებს უწოდებს და, როგორც რონალდ გრიგორ სუნი მიიჩნევს, ნაკლებად ცდილობს ამ ფენომენის საფუძვლიან ანალიზს (Suny 1994: 113).

ნაციონალიზმის წარმოშობას გარკვეული წინაპირობები სჭირდება, რომლებიც საქართველოში მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში ყალიბდება, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე “თერგდალეულებად” წოდებული ინტელექტუალთა თაობა გამოდის. სუნის სიტყვით, ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბება. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ლიბერალური რეფორმების გატარება და “თერგდალეულთა” თაობის ასპარეზზე გამოსვლა დროში თანხვდება ერთმანეთს. რეფორმებმა შექმნა ობიექტური წინაპირობები ნაციონალიზმის ჩამოსაყალიბებლად. ამას დაემატა ზოგადად იმპერიულ სივრცეში მიმდინარე პროცესები და “თერგდალეულთა” მიერ შემოთავაზებული, საზოგადოების განვითარების სრულიად ახლებური კონცეფცია, რომლის მიხედვით, ნაციონალური იდენტობა უნდა გამხდარიყო ლოიალურობის უმთავრესი წყარო, რელიგიურ, რეგიონულ თუ სხვა სახის იდენტობებთან შედარებით.

მოდერნული ქართული ნაციონალური ცნობიერება მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დინებების პროდუქტია. ნაციონალიზმის ფორმირება უფრო მეტია, ვიდრე დანაწევრებული პოლიტიკური ორგანიზმის ხელახალი შეკავშირება, რაც საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რუსული იმპერიული მმართველობის დამკვიდრების დროს მოხდა. პროცესის დასაწყებად აუცილებელი იყო ლიდერების მხრიდან მიზანმიმართული ინტელექტუალური მუშაობა საზოგადოების მობილიზაციისთვის. მოძრაობის პირველი ეტაპზე კულტურული ნაციონალიზმი ყალიბდება, ხოლო შემდგომში წინა პლანზე სახელმწიფოებრიობის საფუძვლებისა და პოლიტიკური ავტონომიის შექმნისკენ სწრაფვა იწევს.

მე-19 საუკუნეში ქართული ნაციონალიზმი არა მხოლოდ ობიექტური მოცემულობა, არამედ გააზრებული ქმედების, ნაციონალური პროექტის რეალიზების შედეგია. თერეგდალეულთა პრაქტიკულმა მუშაობამ, უშალო მონაწილეობამ განათლების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობას. მიუხედავად

განსხვავებული აქცენტებისა, თერგდალეულთა უმრავლესობა მოითხოვდა ეროვნულ თანხმობას და რეალურად მუშაობდა იმისთვის, რომ ქართველ ხალხში სამოქალაქო და ნაციონალური თვითშეგნება გაედრმავებინა (ჯონი 2007: 58-59).

მიროსლავ პროშის მოდელის მიხედვით, ნაციონალიზმი, იმპერიულ სივრცეში ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგ ეტაპებს გადის: პირველი (A) – კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე (B) – “პატრიოტების” ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული იდეის ხალხამდე მიტანა საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით; და მესამე (C) – საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია (Hroch 2000: 22-23). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული მოძრაობა, შესაძლოა, გარკვეული თავისებურებებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ თავსდება წარმოდგენილ მოდელში. “თერგდალეულების” ნაციონალური პროექტი სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა.

1881 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძემ წარმოადგინა საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი პრიორიტეტები: “დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან,<sup>6</sup> ანუ ნაციონალური თვითგამორკვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ილიას აზრით, ნებისმიერი სახის საქმიანობა – ბანკის შექმნა, თეატრის თუ სკოლის დაარსება და ა.შ. – ამ მიზნის მიღწევისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. წერილში ასევე ხაზგასმულია ლიტერატურის მნიშვნელობა, მისი დანიშნულების ცვლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის სახელებს უკავშირდება. მათ პირველებმა დაამკვიდრეს კრიტიკული რეალიზმი. ლიტერატურის ორიენტირის მკაფიოდ გამოკვეთა და მისი “ერის სამსახურში” ჩაყენება ნაციონალური პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტია.

იმპერიული კონტექსტისა და რუსიფიკატორული პოლიტიკისგან მომდინარე გამოწვევების გამო, ადრეული ქართული ნაციონალიზმი ეთნიკური ფორმით ჩამოყალიბდა. მიუხედვად იმისა, რომ ინტელექტუალთა მიერ შემოთავაზებული ნაციონალური პროექტი ქართველების ეთნიკურ

<sup>6</sup> „შინაური მიმოხილვა“. ჟურნალი „ივერია“, 1881. № 12.

მობილიზაციას გულისხმობდა, იგი არ ატარებდა მკვეთრად ექსპლუზიურ ხასიათს. “თერგდალეულთა” ლიდერების პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ვხვდებით სამოქალაქო ნაციონალიზმის ნიშნებს და სხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების მიმართ გამოხატულ პოზიტიურ განწყობებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პოსტსაბჭოთა ეპოქამდე ქართულმა ნაციონალიზმა როლი გზა გამოიარა და არაერთი ტრანსფორმაცია განიცადა. 1980-იანი წლების მიწურულის ქართული ნაციონალური პროექტი უკვე გამოკვეთილად ექსპლუზიური და სხვა ჯგუფების მიმართ ნაკლებ ტოლერანციულია. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, საბჭოთა წარსულში უნდა ვეძებოთ, თუმცა საკითხი ცდება ჩვენი კვლევის ფარგლებს და მასზე აღარ შევჩერდებით.

გადავიდეთ უშუალოდ საკვლევი პრობლემის განხილვაზე და ოვალი მივადევნოთ პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკას, რომელმაც, მიუხედავად დამოუკიდებლობის არცოუ ისე ხანგრძლივი პერიოდისა, არაერთი ტრანსფორმაცია განიცადა.

## **12. დისიდენტური მოძრაობიდან ეროვნულ მოძრაობამდე – საქართველო 1970-1980-იან წლებში**

ეროვნული მოძრაობის მორიგი ეტაპი საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოდან, მიხეილ გორბაჩოვის მიერ საბჭოთა კავშირში გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ იღებს სათავეს. 1988 წლიდან ქვეყანაში მასობრივი აქციების ტალღა აგორდა და დაფიქსირდა დია პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. თუმცა ეროვნულ მოძრაობას და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძველი უფრო ადრე, 1970-იან წლებში ჩაეყარა.

1975 წელს პელსინკში (ფინეთი) გაფორმდა ფუნდამენტური დოკუმენტი, რომელსაც ევროპის 35 ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა კავშირს ნედლეულის და ნავთობპროდუქტების დასავლეთის ბაზარზე გატანის უფლება ეძლეოდა, თუმცა, ამავე დროს, იგი იდებდა სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას. პელსინკის შეთანხმების გაფორმებას საქართველოში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება და არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბება მოჰყვა. “საქართველოს პელსინკის ჯგუფს”, რომელსაც 1989 წლიდან “პელსინკის კავშირი” ეწოდა, სათავეში ჩაუდგნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვა დისიდენტები. გამსახურდია და კოსტავა არალეგალურ საქმიანობას ჯერ კიდევ 1954 წლიდან ეწეოდნენ, როდესაც შექმნეს იატაკქვეშა პატრიოტული ორგანიზაცია “გორგასლიანი”, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის საწინააღმდეგო, ეროვნული შინაარსის პროკლამაციებს ავრცელებდა. “გორგასლიანის” ლიდერები მალევე, 1956 წელს დაპატიმრეს. 1975 წლიდან გააქტიურებული დისიდენტური მოძრაობა არ იყო მრავალრიცხოვანი და იმდენად მძლავრი, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა ჯერ კიდევ დიდების ზენიტში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოსთვის. მიუხედავად ამისა, მოძრაობის წევრები ცდილობდნენ, ხელისუფლებისთვის უსიამოვნო სიურპრიზები მოეწყოთ. დაარსდა არალეგალური გამოცემები; ლიტერატურული ურნალი “ოქროს საწმისი”, პოლიტიკური შინაარსის გამოცემა “საქართველოს მოამბე”, რომელთა გავრცელება არალეგალური გზებით ხორციელდებოდა. “სამოცდაათიანელების” სახელით ცნობილი ქართველი არაფორმალები, პელსინკის შეთანხმების შესაბამისად, ძირითად უურადღებას ადამიანის

უფლებების დაცვას უთმობდნენ, თუმცა დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წევრის, ლევან ბერძენიშვილის შეხედულებით, ეროვნული აქცენტი დასაწყისიდანვე ნათელი იყო. მოძრაობის წევრები ფიქრობდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და ავრცელებდნენ პოლიტიკური შინაარსის პროკლამაციებს.<sup>7</sup> ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს მოძრაობის ლიდერები – გამსახურდია, კოსტავა და რცხილაძე. უკვე 1977-1978 წლიდან არსდება არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი ნათლად ჩანს მათი დასახელებებიდან: “რესპუბლიკური პარტია”, “საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი”, “საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაცია”. არაფორმალურ გაერთიანებათა წევრები აქტიურად ცდილობდნენ დისონანსი შეეტანათ ხალხთა ძმობისა და საყოველთაო ბედნიერების საბჭოთა მოდელში, რომლის დემონსტრირებაც, ხშირად, საყოველთაო ზეიმებისა და აღლუმების გზით ხდებოდა. ქართველი დისიდენტები ცდილობდნენ, რომ სწორედ ასეთი მასშტაბური ზეიმების დროს შექმნათ პრობლემები საბჭოთა ხელისუფლებისთვის. მაგალითად, 1977 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გამართული სახალხო ზეიმის დროს, დისიდენტებმა ანტისაბჭოთა პროკლამაციები გაავრცელეს, რომლის შინაარსი საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას ეხებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს 1983 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი, რის გამოც დააპატიმრეს დისიდენტი ირაკლი წერეთელი<sup>8</sup>.

ადსანიშნავია, რომ 1970-იან წლებში აქტიურად მოქმედი დისიდენტების ნაწილი მოგვიანო პერიოდში აღორძინებული ეროვნული მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ 1988 წლიდან განვითარებული პროცესების სათავეები ჰქონის შეთანხმების შემდეგ საქართველოში გააქტიურებულ არაფორმალურ მოძრაობაში უნდა ვეძებოთ.

ამერიკელი მკვლევარი რონალდ გრიგორ სუნი (Suny) 1970-იანი წლების საქართველოში დაწყებულ ამ მოძრობას დისიდენტურ/”არაორთოდოქსულ” ნაციონალიზმს უწოდებს. მისი შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ დისიდენტური ნაციონალიზმი ფართოდ არ გავრცელებულა და ხელისუფლება

<sup>7</sup> ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან იხ. თომა ჩაგელიშვილის ფილმში “სამოცდაათიანელები”.

<sup>8</sup> იქვე

ადვილად ახერხებდა ქართველი დისიდენტების იზოლაციას, მათი აქტივობები ნათლად აჩვენებდა ქართული საზოგადოების ნაწილში განვითარებულ ტენდენციებს (Suny 1994: 314)

საბჭოთა კავშირის ისტორიაში 1970-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი უძრაობის (“ზასტოი”) ხანად მოიხსენიება. მიუხედავად ამისა, თუ თვალს მივადევნებთ ამ დროს საქართველოში განვითარებულ პროცესებს, ნათლად დავინახავთ, რომ ეს პერიოდი ქართული კულტურის და სპორტის განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. ხელოვნების ესა თუ ის სფერო (თეატრი, კინო), ქართული მწერლობა, სპორტის სახეობები (ფეხბურთი, ჭიდაობა და სხვ.) დიდ წარმატებებს აღწევს. იდეოლოგიური წნევის პირობებში, როდესაც ნაციონალიზმის ყოველგვარი პოლიტიკური გამოვლინება მკაცრად იყო შეზღუდული, ქართველი ხალხის ნაციონალური განწყობები სწორედ აღნიშნულ სფეროებში ვლინდებოდა. მაგალითისთვის გავიხსენოთ 1981 წლის 13 მაისი, როდესაც საფეხბურთო კლუბმა თბილისის “დინამო” ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ეს გამარჯვება საქართველოში ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცა. სპორტულ კომენტატორ კოტე მახარაძეს, რომელიც მატჩის რეპორტაჟს გადმოსცემდა, სწორედ ეროვნული გრძობების გადვივებაში დასდეს ბრალი და გერმანიიდან საქართველოსკენ მომავალი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსკოვში, დაკითხვაზე შეაჩერეს.

ფეხბურთი სპორტის მასობრივი სახეობაა. ტრიბუნებზე ხშირია ნაციონალური განწყობების აფეთქება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყნა კოლონიზებულია, დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და ნაციონალიზმის გამოვლენისთვის საჯარო სივრცე შეზღუდულია. ამის კარგია მაგალითია 1970-1980-იანი წლების თბილისის “დინამო”, რომელიც, ეროვნული ნაკრები გუნდის არარსებობის პირობებში, საქართველო მოსახლეების ეროვნულ სიამაყედ იქცა. საბჭოთა კავშირისა თუ ევროპის წამყვან კლუბებთან წარმატებულად ჩატარებული მატჩები საერთო ეროვნული მასშტაბის მოვლენებად იქცეოდა ხოლმე. მართალია, ეს საფეხბურთო გუნდი ოფიციალურად არ იწოდებოდა “ეროვნულად”, მაგრამ უფრო მეტად ეროვნული იყო, ვიდრე რომელიმე დღევანდელი ევროპული საფეხბურთო კლუბი (ჯონსი 2013: 11).

ფეხბურთის და ნაციონალიზმის მჭიდრო კავშირს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, საქართველოს

ფეხბურთის ფედერაცია იყო ერთ-ერთი პირველი ინსტიტუცია, რომელიც საკავშირო ფედერაციას გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1990 წლის 30 მარტს, ეროვნული ჩემპიონატის გახსნის დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე შეკრებილ მოსახლეობას ეროვნული მოძრაობის ლიდერმა, ზვიად გამსახურდიამ მიმართა. მან მჭიდროდ დაკავშირა ერთმანეთთან ეროვნული მოძრაობა და ქართული ფეხბურთი. გამსახურდიას სიტყვით, საკავშირო ფედერაციისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებით ქართული ფეხბურთი შემოუერთდა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მასთან ერთად იბრძვის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. “იმპერიული ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენ გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის გამოყოფას იმპერიული ფედერაციისგან. გამოუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!” – განაცხადა ზვიად გამსახურდიამ.<sup>9</sup>

ხელოვნების, ლიტერატურის, სპორტის თუ სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი წარმატებები განიხილებოდა, როგორც ქართული საზოგადოების ეროვნული მიღწევები, რასაც ხელს თავად საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება უწყობდა. შეიძლება ითქვას, რომ, ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონალიზებული “ოფიციალური” ნაციონალიზმი და რადიკალური დისიდენტური მოძრაობა ერთმანეთის პარალელურად არსებობდა და ზოგჯერ ჰარმონიულადაც მოქმედებდა.

ადნიშნულის საილუსტრაციოდ შევხოთ 1978 წელს ქართულ ენასთან დაკავშირებულ მოვლენებს, როდესაც, თუ რონალდ სუნის დავესესხებით, ნათლად გამოჩნდა ქართული ნაციონალიზმის პოტენციალი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავდა. საქართველოს მოსახლეობის და ინტელექტუალური ელიტის დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ეს ფაქტი ქართული ენის რუსულთან და სხვა ენებთან გათანაბრებას გულისხმობდა. 1978 წლის 14 აპრილს მოეწყო საბჭოთა რეალობისთვის უჩვეულო მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები შეადგენდნენ.

<sup>9</sup> ზვიად გამსახურდიას მიმართვა იხ. ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=gG4ZNR5hgLI>

საბჭოთა კაგშირის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და კონსტიტუციის პროექტში საკამათო მუხლი აღადგინა. ასეთი დათმობა ქართული საზოგადოების დიდ გამარჯვებად მოინათლა, 14 აპრილი კი “დედაენის” დღედ გამოცხადდა. 14 აპრილის საპროტესტო მანიფესტაციაში აქტიურად მონაწილეობნენ ქართველი დისიდენტები, რომელთა გვერდით აღმოჩნდა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი.<sup>10</sup>

ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტში სწავლების ენად რუსული ენის დანერგვის მცდელობას, რამაც ასევე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. შევარდნაძისა და ბრეუნევისადმი გაგზავნილ პეტიციაში, რომელსაც ხელს ინტელიგენციის 365 წარმომადგენელი აწერდა (Suny 1994: 313) ადნიშნული იყო, რომ მსგავსი ინიციატივა ამცირებს ქართული ენის როლსა და მნიშვნელობას და არდვევს ხალხთა თანასწორობის საბჭოთა იდეას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინიციატივის წინააღმდეგ ერთსულოვნად გამოდიოდნენ როგორც რადიკალური, დისიდენტური ჯგუფები, ასევე საბჭოთა იდეოლოგიისადმი დოიალურად განწყობილი ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი, რაც ნათლად მიუთითებს, რომ ნაციონალისტური განწყობები თანდათან და საფუძვლიანად იკიდებდა ფეხს ქართულ საზოგადოებაში.

საბჭოთა საქართველოს ჰქონდა თავისი პიმნი, დროშა, გერბი. სტივენ ჯონსის შეხედულებით, ეს ნაციონალური სიმბოლიზმი სულაც არ იყო ფასადური. საქართველოს პოლტიკურ ინსტიტუტებს სტანდარტული საბჭოური წესებითაც რომ ემუშავათ, ქართული პოლიტიკური ელიტა, განსაკუთრებით, თბილის გარეთ, მაინც ახერხებდა, რომ საკუთარი სამსახური ნახევრად დამოუკიდებლად ემართა. ის სარგებლობდა ეთნოფედერალური ინსტიტუტებით, რომელმაც ხელი შეუწყო საბჭოთა კაგშირის ნგრევას. 1970-იანი წლებისთვის მოსკოვი მამულს გარეთ მცხოვრებ მემამულეს ჰგავდა. საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტები კი ფორმით საბჭოთა, მაგრამ შინაარსით ქართული იყო (ჯონსი 2013: 11). ჯონსის სიტყვით, პოსტსაბჭოთა საქართველოს ძირითადი პრობლემები და მისი უუნარობა, მოეხდინა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია, სწორედ საბჭოთა წარსულს უკავშირდება. მსგავს მოსაზრებას

<sup>10</sup> ინფორმაცია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებთან დაკაგშირებით იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “სამოცდაათიანელები”

ავითარებს რონალდ სუნი, რომელიც თვლის, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში საქართველოს ეთნიკურად მონოლიტური პოლიტიკური ელიტა ხელს უშლიდა საკავშირო ხელისუფლების დია ჩარევას რესპუბლიკის შიდა საქმეებში. ელიტის ეთნიკური შეფერილობა და სოლიდარულობა კარგ საფუძველს ქმნიდა ეთნოსთაშორისი დაპირისპირებისთვის. სახელმწიფოს “ოფიციალური” ნაციონალიზმი ხაზს უსვამდა ეთნიკური ქართველების უპირატესობას სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით. ხალხთა ძმობის და თანასწორობის საბჭოთა მოდელს თანდათან საფუძველი ეცლებოდა და ეროვნული დისკურსი მკაფიო ანგიკომუნისტურ ელფერს იძენდა (Suny 1994: 318-319).

1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველი ინტელიგენციის შემოქმედებაში სულ უფრო იკვეთებოდა ეროვნულ-პატრიოტული თემატიკა. ქართულ ლიტერატურაში, თეატრალურ და კინოხელოვნებაში გაძლიერდა ეროვნული მოტივი (ჯანელიძე 2009: 192). “უძრაობის” ხანაში ქვეყნდებოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ისტორიულ-პატრიოტული ხასიათის ლიტერატურა: მაგალითად, ხელიდან ხელში გადადიოდა მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული “1832 წელი”. ასევე, ამ პერიოდში ეკრანებზე გამოჩნდა რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწე ქართველებს და მათ დამსახურებას ეხება. ქართული სახელმწიფო წიგნებში, ფილმებსა და შუა საუკუნეების წარსულში ცხოვრობდა და არა პოლიტიკურ სტრუქტურებში. საბჭოთა საქართველოში მე-12 საუკუნის მეფე დავით აღმაშენებელი და მე-19 საუკუნის განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდნენ ერის დამაკავშირებლებს დიად წარსულთან (ჯონსი 2013: 21).

რონალდ სუნი ქართულ საზოგადოებაში ნაციონალიზმის გაღვივების რამდენიმე მიზეზს ასახელებს, რაც, ვფიქრობთ, საინტერესოა იმის გასააზრებლად, თუ რატომ ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში ეროვნული მოძრაობა რადიკალური ფორმით.

სტალინური ტერორის შემდეგ სისტემის შერბილებამ და “დათბობის” კოქის დადგომამ დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ეროვნული გრძნობები გააღვიძა და მას მცირე გასაქანი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმის პოლიტიკური გამოვლინება მკაცრად იყო შეზღუდული,

სახელმწიფო ინტელექტუალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

საქართველოს ნაციონალურ ელიტას ადგილობრივი ძალაუფლების ეთნიზაციისა და კონსოლიდაციის შესაძლებლობა მიეცა, რასაც ის კარგად იყენებდა საზოგადოების (განსაკუთრებით ე.წ. ინტელიგენციის) მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ეთნიკურობა წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად იქცა. 1970 წლისთვის პარტიული ნომენკლატურის სრულ უმრავლესობას (76%) ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ. როგორც მოსახლეობის, ასევე მმართველი ინსტიტუტების ეთნიკური კონსოლიდაცია მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ნაციონალური იდენტიფიკაციის პროცესის გაძლიერებას.

ნაციონალისტური განწყობების გაძლიერება ასევე გამოიწვია მცირე ერის სინდრომმა, რომელსაც, განსაკუთრებით სხვა დიდ ერთან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნისას, საკუთარი ენის, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, ცხოვრების წესის დაკარგვის ეშინა. ამ ტენდენციის გაძლიერებამ საბჭოთა იდენტობის ალტერნატიული და მისი საწინააღმდეგო მოდელი შექმნა.

და ბოლოს, ნაციონალისტური განწყობების გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველია მარქსისტული იდეოლოგიის ეროზია, რომელიც განსაკუთრებით ნათლად საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა. ინტერნაციონალისტური იდეოლოგიისადმი ნიპილიზმა ეროვნული განწყობების გადვივება და მარქსიზმის ნაციონალიზმით ჩანაცვლება გამოიწვია (Suny 1994: 314). ნაციონალიზმს მარქსიზმის ეროზიას უწოდებს ბენედიქტს ანდერსონიც, რომელიც თვლის, რომ სწორედ ნაციონალიზმი იყო ის ფენომენი, რომელმაც მთავარი წვლილი შეიტანა მარქსისტული იდეოლოგიის მარცხსა და სოციალისტური სისტემის კრახში.

ნაციონალიზმი თანამედროვე მკვლევარი ჯონ ჰათჩინსონი ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიტიკურ და კულტურულ ნაციონალიზმებს. მისი შეხედულებით, პოლიტიკური ნაციონალიზმის უმთავრესი მიზანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებაა, მაშინ როდესაც კულტურული ნაციონალიზმი ეროვნული საზოგადოებების ჩამოყალიბებას ემსახურება. ჰათჩინსონი თვლის, რომ კულტურული ნაციონალიზმი, რომელიც ეთნოისტორიული გამოღვიძებით,

მშობლიურ ენაზე ზრუნვით, ლიტერატურული, სპორტული თუ სხვა სახის აქტივობებით ხასიათდება, როგორც წესი, წინ უსწრებს პოლიტიკურ ნაციონალიზმს. კულტურული ნაციონალიზმის მიზანი, უმთავრესად, არა პოლიტიკური, არამედ მორალური საზოგადოების (moral community) ფორმირებაა. პათჩინსონის მსგავსად, სტივენ ჯონსიც თვლის, რომ 1991 წელს ქართველი ხალხი კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა და არა სამოქალაქო ან პოლიტიკურ ერთობას, თუმცა, ავტორის აზრით, უპირატესობის შეგრძნებასთან და ფოლკლორული ტრადიციების გაფეტიშებასთან მიბმული კულტურული ნაციონალიზმი აბრკოლებდა ინსტიტუტების ასაგებად საჭირო შესაძლებლობების განვითარებას. ისტორიკოსების, დრამატურგების, რეჟისორების, ფილოსოფოსების როლმა, უმრავლესობის უფლებებისა და ეთნიკური პრივილეგიების გაუაზრებელმა ინტერპრეტაციამ 1980-იანი წლების საქართველოში “მორალის პოლიტიკის” პერიოდი მოიტანა. ემოციამ, დრამამ და თეატრალურმა სიმბოლიზმმა გამოდევნა პრაგმატიზმი, დიალოგი და თანამშრომლობა (ჯონსი 2013: 36).

1970-იან წლებში საქართველოში და, ზოგადად, საბჭოთა კავშირში აღმოცენებული დისიდენტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი სწორედ მორალური საზოგადოების ჩამოყალიბება იყო. დისიდენტებს, მათ მიერვე გაცხადებული პოზიციის მიხედვით, სიცრუესთან, უსამართლობასთან, ძალმომრეობასთან და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა დაცვა-აღიარებისთვის ბრძოლა აკავშირებდათ. მიუხედავად ამისა, საქართველოში დისიდენტური მოძრაობას მაინც ჰქონდა გარკვეული ეროვნული ელფერი. გვიქრობთ, ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე მართებულად შენიშნავს, რომ რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ადამიანის უფლებებს ეროვნული უფლებებიც უმატებოდა. ქართველმა დისიდენტებმა წინა პლანზე ეროვნული იდეალები, რუსიფიკაციასთან ბრძოლის, კულტურული მექანიდრეობის დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების და სხვა საკითხები წამოსწიეს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ “პერესტროიკის” წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა სახაროვმა საქართველოს “მცირე იმპერია” უწოდა, რუსი და ქართველი დისიდენტების გზები საბოლოოდ გაიყარა (ჯანელიძე 2009: 197).

მიუხედავად იმისა, რომ კულტურულ ნაციონალიზმს არ აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური მიზანი, მისი ფორმირებისას ყალიბდება

პოლიტიკური ნაციონალიზმის გადვივებისთვის საჭირო საფუძველი, ისახება დამოუკიდებლობის მიღწევის გზები და იქმნება პოლიტიკური მოთხოვნების ლეგიტიმაციისთვის აუცილებელი არგუმენტები.

1970-იანი წლებიდან 1980-იანი წლების მიწურულამდე საქართველოში განვითარებული პროცესები ადასტურებს პათჩინსონის მოდელის მართებულობას. საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების და გარდაქმნის (“პერესტროიკა”) პროცესის დაწყების შემდეგ, კულტურული ნაციონალიზმის გადვივებას დამოუკიდებლობის მოთხოვნების გაჩენა მოყვა და ქართულმა ნაციონალიზმა მკაფიო პოლიტიკური ფორმა შეიძინა.

## თავი 2. ქართული ნაციონალიზმის ახალი ეტაპი: საქართველო 1988-1992 წლებში

### 2.1. არაფორმალური მოძრაობიდან ხელისუფლებამდე (1988-1990)

1985 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა, რომელმაც სახელმწიფოს მართვის განსხვავებული პოლიტიკა აირჩია. 1987 წლის იანვარში, სკპპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, გორბაჩოვმა “გარდაქმნისა” (“პერესტროიკა”) და “საჯაროობის” (“გლასტნოსტი”) კურსი გამოაცხადა, რაც საბჭოთა სახელმწიფოსთვის სრულიად ახალი მოვლენა იყო. პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, პარტიისა და ქვეყნის ლიდერი მოუწოდებდა მოსახლეობას, საჯაროდ ეთქვათ სიმართლე და გამოეხატათ საკუთარი აზრი ყველა მტკიცნეულ საკითხზე, თუნდაც ის აბსოლუტურად საწინააღმდეგო ყოფილიყო კომუნისტური იდეოლოგიისა (დავითაშვილი 2003: 391). დასაწყისში “პერესტროიკა” ხმაურიან და დროებით კამპანიად იქნა მიჩნეული. მოკავშირე რესპუბლიკებში ახალ პოლიტიკურ კურსს სკეპტიკურად უყურებდნენ და პირველი თვეების განმავლობაში ყველაფერი ძველებურად დარჩა. თუმცა დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ პროცესი შეუძლებად ხასიათს იღებდა. ჯინი ბოთლიდან ამოუშვეს და მისი უკან ჩაბრუნება შეუძლებელი გახდა.

ქართული დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ნელ-ნელა არალეგალური მდგომარეობიდან გამოდიოდა, 1987 წლიდან ვიწრო წრეს გასცდა და კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში დაიწყო. ამავე წელს პირველი მიტინგი გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მხარდაჭერით, სტუდენტებმა ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სიახლოებები პოლიგონის არსებობა გააპროტესტეს. “საუკუნის მშენებლობად” მონათლულ კავკასიის სამონო რკინიგზას საქართველო მოსკოვთან პირდაპირი გზით უნდა დაეკავშირებინა. რკინიგზას უნდა გადაევლო კავკასიონის ქედი 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით. რამდენიმე თვიანმა კამპანიამ, რომელსაც ქართველი ინტელექტუალები აწარმოებდნენ, აიძულა კომუნისტური ხელისუფლება,

გადაედო მშენებლობა. რკინიგზა, რომელიც გამიზნული იყო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განსავითარებლად და რეგიონში რუსეთის სამხედრო ძალების შეღწევის გასაიოლებლად, ოპოზიციის განცხადებით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საქართველოს მთიანეთს, გამოიწვევდა მთაში მცხოვრები თემების დეპოპულაციას და შეცვლიდა ეთნიკურ სურათს. ამავე პერიოდში მძაფრი კრიტიკის საგანის გახდა სვანეთში ხუდონის ჰიდროელექტროსადგურისა და არაგვის ხეობაში გაზსადენის მშენებლობა (ჯონსი 2013: 41).

ქართველებისთვის პესების, კაშხლების, პოლიგონებისა და წყალსაცავების დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული გარემოსდაცვითი კამპანიები ისევე იყო დაკავშირებული ისტორიასთან, დემოგრაფიულ სიტუაციასთან და უცხო ჯარების მათ ტერიტორიაზე ყოფნასთან, როგორც სუფთა პაერთან და ხელუხლებელ ტყეებთან (ჯონსი 2013: 42). ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოს მწვანეთა პარტია. გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ მიმართულმა დონისძიებებმა იმთავითვე განსაზღვრა ქართული ნაციონალიზმის, როგორც კულტურული ნაციონალიზმის ფორმა. ამავე დროს, წარმატებულმა ქუჩის საპროტესტო აქციებმა ქართულ საზოგადოებაში გამარჯვებულის სინდრომის გაჩენა გამოიწვია. ეროვნული მოძრაობის სადაცები მთლიანად აღმოჩნდა რადიკალურად განწყობული ლიდერების ხელში, რომელთათვის პოლიტიკური მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება შეურიგებლობა, მანიფესტაციები, შიმშილობები და მსგავსი სახის აქტივობები გახდა. 1980-იანი წლების მიწურულს ქართულ ეროვნული მოძრაობა ემოციურ ფენომენად იქცა, რომელიც ქუჩიდან იმართებოდა. რადიკალი ლიდერების რიტორიკას, მიდგომებსა და გადაწყვეტილებებს დიდწილად განსაზღვრავდა არა რაციონალიზმი, არამედ ქუჩებში და მიტინგებზე არსებული ემოციური ფონი.

1987 წლის შემოდგომაზე თბილისში დაფუძნდა პირველი არაფორმალური ორგანიზაცია “ილია ჭავჭავაძის საზოგადოება”, სადაც გაერთიანდნენ მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვა დისიდენტები. ამავე პერიოდში შეიქმნა “რუსთაველის საზოგადოება”, რომელსაც სათავეში აკაკი ბაქრაძე ჩაუდგა და მასში ბევრი ცნობილი პიროვნება გაერთიანდა. ზურაბ დავითაშვილის აზრით, ამ საზოგადოების ჩამოყალიბებას კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეუწყო ხელი, რომელსაც სურდა, თვითონ ეკონტროლებინა

ეროვნული მოძრაობის პროცესი (დავითაშვილი 2003: 391). “რუსთაველის საზოგადოების” სახით საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ხალხს რადიკალური ეროვნული მოძრაობის ერთგვარი აღტერნატივა შესთავაზა, თუმცა მიზანი ვერ განხორციელდა და წამყვანი პოზიციები რადიკალებს დარჩათ.

1980-იანი წლების ბოლოდან ქართული ნაციონალიზმის გაძლიერებამ და ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესის ფონზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა სწრაფი ნაბიჯებით სვლა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ. კომუნისტური ხელისუფლება თანდათან კარგავდა რეალურ ძალაუფლებას და გადაწყვეტილებებს ეროვნული მოძრაობის კარნახით იღებდა. ნაციონალიზმის მკვეთრმა აღმასვლამ და ნაციონალისტური რიტორიკის გაბატონებამ საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ელიტას მოქმედების არეალი დიდწილად შეუზღუდა. 1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა შეზღუდული საზოგადოებრივი დემონსტრაციები, ხოლო სექტემბერში თბილისის საქალაქო საბჭომ დაუშვა საზოგადოებრივი მიტინგები იპოდრომის ტერიტორიაზე (ჯონსი 2013: 42).

საყურადღებოა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 9 მარტს მიღებული დადგენილება საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგენილებით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას, როდესაც გააკრიტიკა კანონპროექტი სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ. დადგენილების მიხედვით, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების თანახმად, “მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს... სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს – მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური” (სალუაშვილი 1996: 14).

აღნიშნული და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, რომლებიც, ძირითადად, საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვით იყო განპირობებული, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიუდებლად მიაჩნდა მისი მონაწილეობა ამ კანონპროექტის მიღებაში. სსრ უზენაესმა საბჭომ აღიარა, რომ 1921 წელს საქართველოში რუსეთის ჯარების შემოჭრა სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობს მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას. უზენაესი საბჭო უკანონოდ გამოაცხადა და ბათილად სცნო 1921 წლის 21 მაისის და 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებები და მიზანშეწონილად მიიჩნია მოლაპარაკებების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. დადგენილებას ხელს აწერდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე გ. გუმბარიძე და მდივანი ვ. კვარაცხელია (სალუაშვილი 1996: 15). როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, საქართველოს მმართველი კომუნისტური ხელისუფლება მკაცრად აკრიტიკებდა ცენტრს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების სურვილს გამოთქვამდა.

1988 წელი საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების წლად იქცა, რომელთა დიდი ნაწილი არასანქციორებული იყო. ამ წელს 35 საპროტესტო დემონსტრაცია ჩატარდა და მათგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული (მჭედლიძე 1999: 148). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მანიფესტაცია გაიმართა 26 მაისს, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის აღსანიშნავად. ამ დღეს პირველად გაიშალა დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა და გაისმა დამოუკიდებლობის მოწოდებები. დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მერაბ კოსტავამ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა საკუთარი სახლის სახურავზე აღმართა. ამ ფაქტმა დედაქალაქში დიდი რეზონანსი გამოიწვია.<sup>11</sup>

1988 წელს ნათლად გამოჩნდა ქართული ნაციონალიზმის ექსკლუზიური ბუნება და, გარკვეულწილად, კონფრონტაციული ხასიათი, რაც, ვფიქრობთ, გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობას და,

<sup>11</sup> გაზეთი “24 საათი”, 2010 წლის 30 მაისი <http://www.24hours.ge/weekend/story/6911-shavlego>

მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას არსებულ ემოციურ ფონს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არ იყო და, განვითარების აღრეულ საფეხურზე, ექსპლუზიური ნაციონალიზმი დამახასიათებელი გახდათ თითქმის ყველა მრავალეთნიკური ქვეყნისათვის ევროპაში და პოსტსაბჭოთა სიგრცეში (იხ. როჯერს ბრუბეიკერის, ტონი კლარკის, იან ბრემერის და სხვათა შრომები). მაისში სტუდენტებმა გააპროტესტეს გარდაბნისა და თელავის რაიონებში აზერბაჯანელების მიერ მიწის შეძენა, რასაც “უკანონო” აქტად აფასებდნენ. ამავე პერიოდში “არაფორმალებმა” მწვავედ გააპროტესტეს აზერბაიჯანელის მიერ ქართველი გოგონას სავარაუდო გაუპატიურების ფაქტი (ჯონსი 2013: 43).

განსაკუთრებით მღელვარე იყო შემოღვირებული მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების საპასუხოდ, თბილისში მასობრივი საპროტესტო აქციების ტალღა აგორდა. აღნიშნული ცვლილებები მაქსიმალურად ზღუდავდა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ საბჭოთა კავშირის დატოვების უფლებას. გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესის პარალელურად დაწყებული სახალხო მდელვარებისა და მოუკიდებლობისკენ სწრაფვის შეზღუდვას საბჭოთა კავშირის ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებებით გეგმავდა. 12 ნოემბერს იპოდრომზე გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის მთავარ სიმბოლოს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა წარმოადგენდა. 22 ნოემბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა უმაღლესი საბჭოს შენობის კიბეებზე ერთკვირიანი შიმშილობა გამოაცხადეს. რამდენიმე დღეში მოშიმშილეთა რაოდენობამ 500 ადამიანს გადააჭარბა, 23 ნოემბერს უმაღლესმა საბჭომ, რომლის სხდომა მასშტაბური მიტინგის ფონზე მიმდინარეობდა, უარყო ცენტრის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები.<sup>12</sup> 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ის მუხლი, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებდა ქართულ საზოგადოებას, კრემლში მართლაც შეცვალეს და მოკავშირე რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება შეუნარჩუნეს.<sup>13</sup> ერთი მხრივ, საპროტესტო მოძრაობის გაძლიერება და, მეორე მხრივ, საკავშირო და

<sup>12</sup> საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №11, 1988. გვ. 11-13.

<sup>13</sup> <http://www.24hours.ge/weekend/story/6911-shavlego> (გაზეთი “24 საათი”, 2010 წლის 30 მაისი)

ადგილობრივი ხელისუფლებების დამთმობი პოლიტიკა ნათელ სიგნალს იძლეოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მაღე იქცეოდა ეროვნული მოძრაობის ძირითად მოთხოვნად.

იმავე პერიოდში, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ინიციატივით, შემუშავდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელშიც ჩართული იყვნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები. პროგრამის მიზანი იყო სახელმწიფო და კულტურული დაწესებულებების გაქართულება, არაქართველთათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნა და ზოგი სხვა ნაბიჯის გადადგმა. პროგრამა 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ “კომუნისტში”.

მიუხედავად ნაციონალისტური დისკურსის გაბატონებისა, რომელმაც, როგორც დავინახეთ, საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებაშიც მოიკიდა ფეხი, კომუნისტური პარტია მაინც ახერხებდა სიტუაციის კონტროლს. თუმცა მალე პროცესები ტრაგიკული სცენარით განვითარდა, რამაც საბოლოოდ დაუკარგა ლეგიტიმურობა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას.

**ეთნოსთაშორისი დაპირისპირების გაღვივება. 1989 წლის 9 აპრილი.** ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და ქუჩის აქციების გააქტიურების პარალელურად, საფრთხის ქვეშ დადგა საქართველოს, როგორც მრავალეთნიკური ქვეყნის მშვიდობიანი არსებობა. ეროვნული უმცირესობების სეპარატისტულად განწყობილი წარმომადგენლები ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევებას უარყოფითად შეხვდნენ და მას ასევე რადიკალური სეპარატისტული მოძრაობები დაუპირისპირებ. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აფხაზური „აიდგილარა“, ოსური „ადამონ ნიხასი“. სომხური „არუნქი“ და „ჯავახქი“, აზერბაიჯანული „გეირათი“ და ა.შ. ისინი მიუთითებდნენ ქართველთა მიერ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შეზღუდვაზე და მათ შევიწროვებაზე. 1988 წლის ნოემბრის აქციების შემდეგ განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება აფხაზეთში. სეპარატისტები, ტრადიციულად, მოსკოვსა და თბილისს შორის ვითარების გართულების კვალდაკვალ ამოქმედდნენ და საკუთარი მოთხოვნები წამოაყენეს.

ეროვნული მოძრაობის რადიკალური ნაწილის ლიდერთა რიტორიკაშიც არ იყო ერთგვაროვნება ეთნიკურ უმცირესობებთან, განსაკუთრებით, აფხაზებთან მიმართებაში. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას და მისი მხარდაჭერებისგან

განსხვავებით, “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” ლიდერთა პოზიცია შედარებით ზომიერი იყო. 1988 წლის 3 დეკემბერს სოხუმში, “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” ინიციატივით, გაიმართა მასშტაბური დემონსტრაცია. მიზინგის მონაწილეებს ქართულ და აფხაზურ ენებზე მიმართა და ერთიანობისკენ მოუწოდა საზოგადოების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ. მან გართულებულ ურთიერთობებზე პასუხისმგებლობა მთლიანად მოსკოვს დააკისრა და ქართული და აფხაზური საზოგადოებების დიალოგის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი სიტყვით, დიალოგს აღტერნატივა არ პქონდა და პრობლემები მხოლოდ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით და მოლაპარაკებებით მოგვარდებოდა.<sup>14</sup> ერთ-ერთ ინტერვიუში ზურაბ ჭავჭავაძე აცხადებდა, რომ მან შესთავაზა დახმარება აფხაზებს აფხაზური საშუალო სკოლის დაარსებაში და აღუთქვა, რომ მოითხოვდა ხელისუფლებისგან სახსრებს V-XI კლასებისთვის სახელმძღვანელოების აფხაზურ ენაზე გამოსაცემად. ამის მიზანი ის იყო, რომ აფხაზ ბავშვებს პქონოდათ მშობლიურ ენაზე სრულფასოვანი საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა. ამავე ინტერვიუში ზურაბ ჭავჭავაძე ამბობდა, რომ აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვეს და განაცხადეს, რომ მათ ურჩევნიათ განათლება რუსულ ენაზე მიიღონ. ჭავჭავაძის აზრით, ამ ფაქტიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ანტიქართულ მოძრაობას აფხაზეთში არ შეიძლება დარქმეოდა აფხაზური ეროვნული მოძრაობა და იგი, ფაქტობრივად, ანტიაფხაზურიც იყო. ზურაბ ჭავჭავაძის შეხედულებით, 1988 წლის 3 დეკემბრის მიზინგი სოხუმში, ალბათ, ხალხთა მმობისა და ერთობისადმი მიძღვნილი პირველი მიტინგი იყო ისტორიაში, რომელიც ხელისუფლებამ აკრძალა და არასანქცირებულად ჩატარდა.<sup>15</sup>

ზურაბ ჭავჭავაძისგან განსხვავებით, აფხაზეთთან და აფხაზებთან დაკავშირებით გაცილებით რადიკალური იყო ზვიად გასახურდიას პოზიცია. ამ პერიოდში გამართულ ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე გამახურდიამ განაცხადა, რომ “აფხაზი ერი ისტორიულად არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელმწოდება დასავლეთ საქართველოსი და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები. ასე

<sup>14</sup> ზურაბ ჭავჭავაძის გამოსვლა იხ. ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=KLkaCNjennI>

<sup>15</sup> ვრცელი ამონარიდი ინტერვიუდან იხ. ბმულზე: <http://geoindependence.net/2014/11/22/%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%AD%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A3/>

რომ, აფხაზი ერი იყო იგივე ქართველი ერი, დასავლეთ ქართველი ერი. ხოლო, ის ძველი, ქრისტიანი აფხაზები, ქართველი აფხაზები დღეს აღარ არსებობენ. სახელწოდება აფხაზი დღეს არასწორად იხმარება ამ აბსუას ტომთან დაკაგშირებით, აბსუა, ანუ აბსარნი, ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური, აღიღეური მოდგმის ტომი. ჩვენ არც ერთი ტომის, ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არ ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს. მითუმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ, მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა, დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ.”<sup>16</sup>

მიუხედავად სხვაობებისა, რომელიც აღნიშნული ლიდერების პოზიციასა თუ დამოკიდებულებებში შეინიშნება, პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის (პროტესტი, დიალოგისკენ მოწოდება ან რაიმე სხვა) ძირითად ასპარეზად მაინც ქუჩა რჩებოდა. პროცესები, ეროვნული თუ სეპარატისტული მოძრაობების ლიდერთა მხრიდან, მთლიანად ქუჩაში იყო გადატანილი. ეს ფაქტი ხელს უწყობდა ემოციური ფონის უკიდურეს დაძაბვას და ხელსაყრელ სივრცეს ქმნიდა კონფრონტაციისთვის.

ქართულ-აფხაზური დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა 1989 წლის გაზაფხულზე. 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზთა სახალხო კრება გაიმართა. ლიხნს აფხაზეთის ისტორიულ ცენტრს უწოდებენ, სადაც, ტრადიციულად, იკრიბებოდა აფხაზური საზოგადოება და წყვეტდა უმნიშვნელოვანებს საკითხებს. ამჯერად სოფელ ლიხნში ათასობით აფხაზმა (სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, 50-60 ათასი ადამიანი) მოიყარა თავი და შეადგინა პეტიცია საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სახელზე. პეტიციის ხელმომწერები კრემლისგან აფხაზეთის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოყოფას მოითხოვდნენ.<sup>17</sup> აფხაზ სეპარატისტთა მოთხოვნამ თბილისში მდელვარება გამოიწვია. 2 აპრილს “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” ორგანიზებით სოხუმში გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელშიც თბილისიდან ჩასული ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მათ შორის, მერაბ კოსტავა და

<sup>16</sup> ზვიად გამსახურდიას გამოსვლა იხ. ბმულზე: [https://www.youtube.com/watch?v=Wq\\_LTL9CcxM](https://www.youtube.com/watch?v=Wq_LTL9CcxM)

<sup>17</sup> ინფორმაცია ლიხნის შეკრების შესახებ იხ. ბმულზე: <http://experti.ge/kartuli7.htm>

ზურაბ ჭავჭავაძე მონაწილეობდნენ. ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ლესელიძიდან სოხუმის მიმართულებით მიმავალი ქართველი მომიტინგების ავტობუსები გუდაუთაში აფხაზებმა შეაჩერეს და მგზავრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. 4 აპრილიდან აქციები თბილისში, მთავრობის სახლის წინ გაგრძელდა. სტუდენტებმა დაიკავეს მთავრობის სახლის ფართო კიბე, მოამზადეს საძილე ტომრები და შიმშილობა გამოაცხადეს. მიტინგს მალევე შეუერთდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები. თავდაპირველად, აქციის ძირითადი მოთხოვნა აფხაზეთის ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა დასჯა იყო, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ლიხნის კრების ორგანიზებას, თუმცა, სულ ორიოდე დღეში, აფხაზეთის საკითხმა უკანა პლაზე გადაიწია და დემონტრანტებმა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა მოითხოვეს.<sup>18</sup> მომიტინგები ნაკადებად ჩამოდიოდნენ საქართველოს რეგიონებიდან, მიტინგებმა მთელი დედაქალაქი მოიცვა. 7 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოსკოვში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ბრალს სდებდა ექსტრემისტულ ჯგუფებს ქაოსის შექმნაში, პარტიისა და სახელმწიფო ონსიტუტების შეურაცხყოფაში და მოითხოვდა საგანგებო ლონისძიებათა გატარებას (ჯონსი 2013: 46). 8 აპრილს მოსკოვში ჩატარდა პოლიტიკუროს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თბილისში, მომიტინგეთა დაშლისა და ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, სამხედრო შენაერთების გაგზავნის შესახებ. 8 აპრილსვე თბილისში ჩატარდა პარტიული აქტივის კრება, სადაც პარტიულმა ხელმძღვანელობამ რადიკალებთან დიალოგი გამორიცხა. ამავე დღეს თბილისში შედგა საქართველოს თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაური, გენერალი იგორ როდიონოვი და სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე კონსტანტინ კოჩეტოვი. ამ პირებს უშუალოდ ევალებოდათ, ზედამხედველობა გაეწიათ მიტინგის დაშლისთვის. ყველაფერი სისხლისდვრისკენ მიდიოდა, თუმცა, შესაძლოა, საქართველოს ხელმძღვანელობა მსგავს სისასტიკეს არ ელოდა. სტიგენ ჯონსი წერს, რომ დარბევამდე ნახევარი საათით ადრე პატიაშვილმა დაურეკა როდიონოვს და იგი დაარწმუნეს, რომ მსხვერპლი არ იქნებოდა. იყო მოწოდებები დემონსტრანტების მიმართ, რომ

<sup>18</sup> <http://www.24hours.ge/weekend/story/6911-shavlego> (გაზეთი “24 საათი”, 2010 წლის 30 მაისი)

დაშლილიყვნენ. 9 აპრილს, დამის 3 საათზე, აქციაზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე მივიდა და ეროვნული მოძრაობის ლიდერები გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ასევე მოუწოდა მათ, რომ მომიტინგებს ქაშუეთის ტაძრის ეზოში გადაენაცვლებინათ, თუმცა მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს.

9 აპრილს, დილის 4 საათზე საბჭოთა ჯარებმა მიტინგის დარბევა დაიწყეს. დემონსტრაციების დასაშლელად ჯარისკაცებმა ორლესული ნიჩბები, მოწამლელი აირი და ხელკეტები გამოიყენეს. დაიღუპა 21 ადამიანი, სხეულის სხვადასხვა დაზიანება ათობით მოქალაქეები მიიღო. თითქმის ყველა მომიტინგე მოწამლული იყო. 9 აპრილის დილას დააპატიმრეს მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი და ირაკლი წერეთელი. ეროვნული მოძრაობის ლიდერები ციხიდან მაისში გაათავისუფლეს.<sup>19</sup>

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა საბოლოოდ გაუტეხა სახელი საბჭოთა ხელისუფლებას ქართული საზოგადოების თვალში. ამ ფაქტის შემდეგ კომუნისტური მთავრობა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა საქართველოში. ნათელი გახდა, რომ “პერესტროიკისა” და “გლასტონსტის” მიმზიდველი იდეების ქვეშ კვლავ არსებობდა ნამდვილი, პოლიციური საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც სასტიკად გაუსწორდა მშვიდობიან დემონსტრაციებს. ამ დღის შემდეგ დამოუკიდებლობის მოთხოვნა საერთო სახალხო მოთხოვნად იქცა. უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიამ ძალის გამოყენება უკანონოდ ცნო და მასზე პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელისუფლებასა და საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას დააკისრა. კომისიის დასკვნით, ოპერაციას სადამსჯელო ხასიათი ჰქონდა, მაშინ, როდესაც არსებობდა ალტერნატიული ზომების გატარების შესაძლებლობა.

მოქალაქეების სასტიკად დახოცვამ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მთელი ქვეყანა ქუჩაში იყო გამოსული და დაღუპულებს გლოვობდა. რადიოში სამგლოვიარო მუსიკა ჟღერდა, ქარხნებმა შეწყვიტეს მუშაობა, 15 აპრილს ჩატარდა ტრაგედიის მსხვერპლთა მასობრივი

<sup>19</sup> დეტალური ინფორმაციისთვის 9 აპრილის შესახებ იხ.: სტატიების კრებული “9 აპრილი”, შემდგ. გ. გვერდწითელი, თბ., “მერანი”, 1990; სონდულაშვილი ავთანდილ. “9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია”. თბ., “მეცნიერება”, 1999; აგრეთვე თომა ჩაგლიშვილის დოკუმენტური ფილმი “9 აპრილის საიდუმლო”.

დაკრძალვა, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა. მთავრობის სახლის კიბეები პატივის მიგების ადგილად იქცა, სადაც დაღუპულთა ფოტოები იყო გამოფენილი (ჯონსი 2013: 47-48). 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, 2 წლის შემდეგ, სწორედ ამ დღეს გამოცხადდა.

ამ მოვლენების შემდეგ პოლიტიკური პროცესები სრულად გადავიდა ეროვნული მოძრაობის რადიკალი ლიდერების ხელში, ქართული ნაციონალიზმი კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა რადიკალური ფორმით, რომლის უმთავრესი იარაღს ქუჩის აქციები და მანიფესტაციები წარმოადგენდა. 9 აპრილის ტრაგედიამ, ერთი მხრივ, გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის მობილიზება დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, ხოლო მეორე მხრივ, ამ დღის შემდეგ ეროვნული მოძრაობა საბოლოოდ გაიხლია. მის ლიდერებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული და გაზიარებული პოზიცია, თუ რა გზით უნდა ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. დაპირისპირებაში დიდი როლი ითამაშა ემოციურმა ფონმა და ლიდერთა შორის პიროვნულმა გაუგებრობებმა, რის საფუძველი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპე უნდა ვეძებოთ.

**გახლეჩილი ეროვნული მოძრაობა.** 1988 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული მოძრაობა აქტიურ ფაზაში გადავიდა, ნათელი გახდა წინააღმდეგობები თავად მოძრაობის შიგნით. ლიდერებს შორის გაუგებრობები და, ხშირად, მწვავე დაპირისპირება ართულებდა კონსესუსზე დამყარებული ნაციონალური პროექტისა და ქვეყნის განვითარების საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგობრივი საფუძვლების გასაანალიზებლად საინტერესო ფაქტია ე.წ. “ლირსების სასამართლო”, ვიდეომასალა, რომელიც არაფორმალი ლიდერების მწვავე დაპირისპირებას ასახავს.<sup>20</sup> ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იყო მიმართული, “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” ერთ-ერთი დამფუძნებლის, ზურაბ ჭავჭავაძის მოთხოვნით გაიმართა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წევრის სახლში. ეს ვიდეო, რომლის გავრცელების მიზანი ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დისკრედიტაცია იყო, საქართველოს ტელევიზიით გადაიცა 1989 წლის 26 ოქტომბერს, წინა დღეს

<sup>20</sup> ვიდეოს სრული ვერსია იხ. ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=A7v6zHKQ3bc>

არაფორმალების მიერ ჩატარებული საპროტესტო მიტინგის საპასუხოდ. ზვიად გამსახურდიამ კატეგორიულად მოსთხოვა ზურაბ ჭავჭავაძეს, წარმოედგინა საბუთი, რომელიც მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას დაასაბუთებდა და თავად ჭავჭავაძეს დასდო ბრალი “კაგებეს” აგენტობაში. გამსახურდიას პოზიციას იზიარებდნენ ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი და სხვა ლიდერები, ზურაბ ჭავჭავაძის გვერდით კი დისიდენტური მოძრაობის კიდევ ერთი წევრი თამარ ჩხეიძე იდგა. შეხვედრას ესწრებიან ნეიტრალური მხარის წარმომადგენლები – გასამხედროებული გაერთიანება “მხედრიონის” ლიდერი ჯაბა იოსელიანი და ლიტერატორი აკაკი ბაქრაძე. საინტერესოა, რომ “ლირსების სასამართლოს” ნეიტრალური მონაწილეები გმობდნენ სიძულვილის ენას და დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებულ მწვავე ანტაგონიზმს. განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკი ბაქრაძის სიტყვები: “მე დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენს ურთიერთობას სიძულვილი მართავს და ეს არის ყოვლად თავზარდამცემი ამბავი. ჩემზე ამან დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა. მე გამანადგურა იმ სიძულვილმა, რომელიც დავინახე, თუნდაც, სხვადასხვა შეხედულებებს, სხვადასხვა ჯგუფს, სხვადასხვა საზოგადოებასა თუ პარტიას შორის.” მისი აზრით, ურთიერთბრალდებები ემოციური ფონის ბრალი იყო და მათი სერიოზულად განხილვა არ შეიძლებოდა. ბაქრაძის შეხედულებით, ორივე მხარე შეხვედრაზე უკიდურესად მოუმზადებელი მოვიდა და ერთმანეთს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. ასეთი შეურიგებლობის პირობებში, შეუძლებელი იყო საერთო მიზნისთვის შეთანხმებული და გააზრებული ბრძოლა. ბაქრაძე ამბობდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც “ჩვენ ერთმანეთს დავჭირდებით და ამ დროისთვის სიძულვილით არ უნდა ვიყოთ ისე დაბრმავებული, რომ ერთმანეთს ხელი ვერ გავუწოდოთ.” აქვე აღვნიშნავთ, რომ წინააღმდეგობრიობა, ემოციურობა და მოუმზადებლობა 1980-1990-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო, რასაც, ხშირად, საზოგადოება გაუაზრებელ შედეგებამდე მიჰყავდა.

შეხვედრიდან, რომელიც უკიდურესად დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობს, ნათლად ჩანს ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგებს შორის მომავალი შეურიგებლობის კონტურები. ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის წარმომადგენლები ერთმანეთსაც რადიკალურად უპირისპირდებიან, უაპელაციოდ სდებენ ბრალს დალატში და სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში.

ვფიქრობთ, ვითარების დასახასიათებლად, უკელაზე მეტად, ირინა სარიშვილის სიტყვები გამოდგება, რომელიც მან, შეხვედრის დასასრულს, ზურაბ ჭავჭავაძის მისამართით წარმოთქვა: “ნერვების სიწყნარე პატიოსნებას არ ნიშნავს. პირიქით, ჩვენს დროში, ნერვების სიწყნარე უპატიოსნობას ნიშნავს.”

“ლირსების სასამართლო” დასტურია იმისა, რომ საბჭოთა მემკვიდრეობამ გავლენა საქართველოში კომუნისტური იდეოლოგიის მთავარ მოწინააღმდეგებზეც მოახდინა. ნათელია, რომ საზოგადოების პოლარიზაციის, “მტრებად” და “მეგობრებად” დაყოფის, შეურიგებლობის საბჭოთა ტრადიციას ქართველ დისიდენტებშიც ღრმად პქონდა ფეხი მოკიდებული. “ლირსების სამართლო” 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული პროცესების ერთგვარი მოდელირებული სურათია.

ეროვნულ მოძრაობაში კონსესუსის მიღწევას ის ფაქტიც ართულებდა, რომ 1989 წლისათვის საქართველოში ორმოცდაათამდე პოლიტიკური ორგანიზაცია თუ არაფორმალური დაჯგუფება არსებობდა (შველიძე 2008: 19). ერთპარტიულ, ტოტალიტარულ სისტემაში ცხოვრების სანგრძლივი გამოცდილების შემდეგ, ასეთი მრავალფეროვანი პოლიტიკური სივრცის შექმნამ თავისთავად შეუწყო ხელი საზოგადოების დაქსაქსვას და შეუძლებელი გახდა შეთანხმებული მოქმედების სტრატეგიის შემუშავება.

ქართულ საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებებზე საუბრისას, უნდა გავიხსენოთ “სახალხო ფრონტის” ყრილობა, რომელიც 1989 წლის ივნისში გაიმართა. სახალხო ფრონტის შექმნის იდეა ფილოლოგ ნოდარ ნათაძეს ეპუთვნოდა და საქართველოში ბალტიისპირეთიდან შემოვიდა. იქ ამგვარი ორგანიზაციები ფართო, მასობრივ მოძრაობებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები, საზოგადოებები (შველიძე 2008: 46). საქართველოს “სახალხო ფრონტიც” გახდებილი ეროვნული მოძრაობის გაერთიანების მიზნით შეიქმნა, თუმცა მისი დამფუძნებელი ყრილობა თავად იქცა დაპირისპირების ასპარეზად და კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ქართულ საზოგადოებაში არსებული პრობლემები.

“სახალხო ფრონტის” ყრილობა თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 1989 წლის 21-25 ივნისს მიმდინარეობდა. ყრილობაზე განვითარებული მოვლენების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი წყარო ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მოგონებები, რომელიც შეხვედრას დელეგატის

სტატუსით ესწრებოდა. ასევე შემორჩენილია ფრაგმენტული ხასიათის ვიდეომასალა, რომელიც ცალკეული მონაწილეების, მაგალითად, ზვიად გამსახურდიას გამოსვლას ასახავს. ერილობას ორიათასამდე მონაწილე ესწრებოდა, რომელთა უმრავლესობა მასში აქტიურ მონაწილეობას ცდილობდა. ბეგრი მათგანი სცენაზე ასვლას და მიკროფონთან მიახლოვებას ვერ ახერხებდა და ადგილიდან, ხშირად ყვირილით, ცდილობდა საკუთარი პოზიციის გამოხატვას. სხდომების თავმჯდომარეები ყოველდღიურად იცვლებოდნენ, თუმცა ვერც ერთი მათგანი ახერხებდა აუდიტორიის დაწყნარებას, რის გამოც ყრილობის მუშაობა განუწყვეტელ ხმაურში მიმდინარეობდა. თითქმის ყვალა საკითხი, რომელიც სხდომაზე ირჩეოდა – ხმის დამთვლელი თუ სამანდატო კომისიის არჩევა, სათათბიროსა თუ გამგეობის ჩამოყალიბება, წესდების მიღება და სხვა – მძაფრი პოლემიკისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა (შველიძე 2008: 47-48). სახალხო ფრონტის ყრილობის მონაწილეები, ძირითადად, ორ – რადიკალურ და შედარებით ზომიერ ნაწილებად გაიყვნენ. ეროვნული მოძრაობის რადიკალურად განწყობილი ლიდერები, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, უკომპრომისო პოზიციაზე იდგნენ, მაშინ როდესაც შეხვედრის სხვა მონაწილეები, მაგალითად, მერაბ მამარდაშვილი, ზომიერ, რაციონალურ მიდგომებს ემხრობოდნენ. ამ შეხვედრის მონაწილეთა ორ ნაწილად გაყოფამ კარგად აჩვენა ქართულ საზოგადოებაში არსებული პრობლემები, პოლარიზაცია და, მიუხედავად მრავალრიცხოვანი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობისა, ორი დაპირისპირებული ბანაკის არსებობა. საზოგადოების დიდი ნაწილი ეროვნული მოძრაობის რადიკალური მიმართულების მხარეს იყო. ეს ნათლად გამოჩნდა ყრილობაზე, რომელიც რადიკალების კარნაბით მიმდინარეობდა. შემდგომში დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა, რამაც დიდი წვლილი შეიტანა სამოქალაქო ომში.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ქართული ნაციონალიზმის გასაანალიზებლად საინტერესო ყრილობაზე ზვიად გამსახურდიას გამოსვლა,<sup>21</sup> რომელიც “სახალხო ფრონტის” მესვეურთა მიერ შემუშავებულ პროგრამას იმის გამო იწუნებდა, რომ მასში სათანადოდ არ იყო დაცული ეთნიკური ქართველების უფლებები. გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ავტონომიურ ერთეულებზე და მათ “უკანონო წარმონაქმნებს” უწოდებდა,

<sup>21</sup> გამოსვლის სრული ტექსტი იხ. ლინკზე: <https://www.youtube.com/watch?v=VFrs6iBDmIA>

რომლებიც აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო. იგი ეწინააღმდეგებოდა პროგრამის იმ პუნქტს, სადაც საუბარი იყო ისეთი კონსტიტუციის შემუშავებაზე, რომელიც სრულად გამოხატავდა ქართველი ერისა და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა ინტერესებს: “კვლავ გათანაბრებაა, მეგობრებო. საქართველო არის ქართველების ქვეყანა, ეს აქსიომა უნდა იყოს წარმოდგენილი და არეკლილი ამ პროგრამაში, კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და, ამავე დროს, ყველა პიროვნების ინტერესებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის და არა სხვა ერების ინტერესებს, ჩვენ აქ აზერბაიჯანის ინტერესებისთვის არ ვიბრძვით, მეგობრებო, და თუ ვინმე იბრძვის, ის დამარცხდება...” ნათელია, რომ ზეიად გამსახურდიასთვის ერი კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს ნიშნავდა და იგი ქართველ ერში მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს გულისხმობდა. თუმცა, ამავე დროს, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ერებად არ მოიხსენიებდა და მათი, ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანელების უფლებების დაცვას აზერბაიჯანის ინტერესებისთვის ბრძოლად თვლიდა. გამსახურდია შეეხო აგრეთვე აფხაზების და ოსების საკითხს. იგი აღნიშნავდა, რომ სახალხო ფრონტის პროგრამაში ჩანდა აფხაზებისა და ოსების პრივილეგირების კრემლისეულ პოლიტიკა და, რომ სახალხო ფრონტი იბრძოდა ამ ეთნიკური ჯგუფების ინტერესების დაცვისთვის. მისი შეხედულებით, აფხაზებს და ოსებს კარგი დამცველი ჰყავდათ კრემლის სახით და ქართველებისთვის მთავარი საკუთარი ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო. მსგავსი წინააღმდეგობრიობა, ბუნდოვანება და რადიკალიზმი 1980-იანი წლების ქართული ნაციონალური პროექტის ექსკლუზიურობასა და ჩაკეტილობაზე მიუთითებს. გამსახურდია აკრიტიკებდა პროგრამის იმ ნაწილს, სადაც მიწათსარგებლობაზე იყო საუბარი და თვლიდა, რომ იქ ნათლად არ ჩანდა ქართველი ერის ეროვნული ინტერესები მიწასთან დაკავშირებით, რაც ქართველებს სხვა ჯგუფებთან თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში არსებული ტრადიციიდან გამომდინარე, გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა ეკოლოგიურ საფრთხეებზე, გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, საქართველოს წინააღმდეგ კრემლის “დემოგრაფიული ექსპანსიის” პოლიტიკაზე, რაც, მისი აზრით, ცალსახად უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული პროგრამაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამსახურდიას

დამოკიდებულება რიგი საკითხებისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა, მეტი ინკლუზიურობა და სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა, თუმცა წინააღმდეგობრიობა და ეპლექტურობა მას მმართველობის დასრულებამდე ახასიათებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი ცალსახად ეთნიკური ხასიათისაა, იგი მაინც უფრო ქართველების ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული, ვიდრე სხვა ჯგუფების წინააღმდეგ. შეხედულება ქართული ნაციონალიზმის დამანგრეველი ძალის შესახებ, თუ სტივენ ჯონსს დავესესხებით, უფრო მითია, ვიდრე რეალობა (ჯონსი 2013: 303). დიმიტრი შველიძის აზრით, გამსახურდიას ნაციონალიზმისგან ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა. მის მთავარ მიზანს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა და ამ მიზანს ყველა სხვა “კულტურული, სოციალური და დემოკრატიული” მიზანდასახულობები უნდა დაქვემდებარებოდა. მან გამოთქვა სურვილი, რომ სახალხო ფრონტს ეროვნული ფრონტი დარქმეოდა. ამ ნაბიჯით კიდევ უფრო გამოიკვეთებოდა ფრონტის ეროვნული პრიორიტეტი (შველიძე 2008: 50).

საქართველოს სახალხო ფრონტმა ვერ შეასრულა ის მისია, რომელიც დაეკისრა. მან ვერ შესძლო ეროვნული მოძრაობის ერთ ძალად გაერთიანება, ასევე ვერ უზრუნველყო დამოუკიდებლობის იდეის გარშემო საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობის მობილიზება. საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობის პირველი დღის შემდეგ, თბილისში სტუმრად მყოფმა ლატვიის სახალხო ფრონტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ინც ცალეტისმა ნაკლად შეაფასა ის, რომ ქართველებმა სახალხო ფრონტის პროგრამა რუსულად არ თარგმნეს და არაქართველ მოსახლეობას არ მიაწოდეს. რუსულად პროგრამისა და წესდების თარგმა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ლატვიაში, რათა სახალხო ფრონტის იდეა მოსახლეობის იმ ნაწილამდე მისულიყო, რომელიც არ ფლობდა ლატვიურ ენას (შველიძე 2008: 51). გამსახურდია კი პირიქით, აკრიტიკებდა სახალხო ფრონტის გაზეთს, რომელიც ორენოვანი იყო და ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა. ამასთან დაკავშირებით, დარბაზში პოლემიკა გაიმართა მასსა და ჯანსულ ჩარკვიანს შორის.

სახალხო ფრონტის ოთხდღიანმა ყრილობამ შედეგი ვერ გამოიღო. საქართველოს საზოგადოების დაქსაქსულობა და მისი ლიდერების

შეურიგებლობა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. ამ შეხვედრამ ასევე აჩვენა, რომ 1980-იანი წლების მიწურულს ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს ემოციურობა, იმპულსურობა, უკომპრომისობა და რადიკალიზმი უფრო ხიბლავდა, ვიდრე რაციონალიზმი, ზომიერება და ინტელექტუალური ბრძოლა. ზვიად გამსახურდიას გამოსვლა დარბაზმა მრავალგზის შეაწყვეტინა მქუხარე აპლოდისმენტებით, მაშინ როდესაც ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, მას შემდეგ, რაც წარმოთქვა ცნობილი ფრაზა – ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას – აუდიტორიის პროტესტის გამო, იძულებული გახდა სცენიდან ჩამოსულიყო.

ათწლეულების განმავლობაში რეპრესირებულმა და ჩარჩოებულმა ქართულმა ნაციონალიზმა 1980-იან წლებში მთელი ძალით იფეთქა. იდენტობის კრიზისის, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისა და საკუთარი თავის ძიები ეპოქაში პროცესების რადიკალიზაცია, გარკვეულწილად, ობიექტური რეალობაა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში არსებობდა. რადიკალიზმი და შეურიგებლობა სრულად ასახავდა საზოგადოების დიდ ნაწილში არსებულ განწყობებს. ქართული საზოგადოება ნაციონალიზმის ძირითად მიზანს, დამოუკიდებლობას უახლოვდებოდა და სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ამ იდეის მთავარ და ყველაზე უკომპრომისო მხარდაჭერებს. ეს სულ მაღლ დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით, როდესაც საქართველოში კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობა დასრულდა და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური გუნდი მოვიდა.

## 2.2 ეროვნული მოძრაობა ხელისუფლების სათავეში – წინააღმდეგობრივი ნაციონალური პროექტის მახასიათებლები (1990-1992)

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველო, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდა. ამავე წლის მაისში ციხიდან გათავისუფლებული ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის ლიდერები პოპულარობის ზენიტში აღმოჩნდნენ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, საქართველოში სახელისუფლებო ცვლილებები განახორციელა – დისკრედიტებული ჯუმბერ პატიაშვილის ნაცვლად, საქართველოს პირველი პირი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე გახდა.

უშიშროების კადრის დაწინაურებით, ხელისუფლებამ სიტუაციაზე კონტროლის აღდგენა ტრადიციულად მკაცრი მეთოდებით და “ძლიერი ხელის” საშუალებით სცადა, თუმცა კომუნისტურ პარტიას საზოგადოების თვალში ლეგიტიმურობა უკვე თითქმის სრულად ჰქონდა დაკარგული. თავის მხრივ, გივი გუმბარიძე იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ქვეყნაში გაბატონებულ ნაციონალისტურ განწყობებს და ეროვნული მოძრაობის მიმართ ლოილური პოზიცია დაეკავებინა. მრავალათასიანი მიტინგების მოწყობა, საბჭოთა იდეოლოგიის, ვლადიმერ ლენინის, საკავშირო თუ ადგილობრივი ხელისუფლებების ლანძღა ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 9 აპრილის შემდეგ გამართულ ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლისას ზვიად გამსახურდიამ ლიად გამოაცხადა საბჭოთა რეჟიმი დანაშაულებრივად: “სისხლისმსმელი ჯალათი, სისხლისმსმელი იმპერიის შემქმნელი, გულაგის პირველი შემქმნელი, წითელი ტეორორის ფუძემდებელი, ბავშვების დამხვრები, მეფი ოჯახის ამომწყვეტი, სამღვდელოების გამანადგურებელი, ეკლესიების დამქცევი ანტიპროგრესული ძალა, კაცობრიობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა არის აღმართული ჩვენს ცენტრალურ მოედანზე (საუბარია თავისუფლების (ყოფილი ლენინის) მოედანზე აღმართულ ლენინის მონუმენტზე ი. ჩ.) და გვეუბნებიან – მიდით, ილოცეთო...”<sup>22</sup>

<sup>22</sup> ზვიად გამსახურდიას გამოსვლის სრული ტექსტი იხ. ოთმა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

საბჭოთა იდეოლოგიასთან დიად დაპირისპირებისა და მისი ამორალურად გამოცხადების პარალელურად, თავად ეროვნული მოძრაობა გაეხვია რომანტიკის, მაღალი მორალური და ზნეობრივი იდეალების საბურველში. პოლიტიკურ რიტორიკაში დრმად შემოვიდა ქრისტიანული თემატიკა. 1989 წლის 26 მაისს გამართულ მასშტაბურ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა სიტყვები – “გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, ქრისტიანულ, უძლეველ საქართველოს!”<sup>23</sup> თავად ფრაზა – გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს – როდესაც საქმე გვაქვს მრავალრელიგიურ ქვეყანასთან, ქართული ნაციონალური პროექტის ექსკლუზიურობაზე მიუთითებს. ეს ფაქტი, ალბათ, სამოცდაათწლიანი ათეიზმის შემდეგ რელიგიური გრძნობების გამოღვიძებითა და ეპლესიისაკენ მასობრივი მიბრუნებით აიხსნება, როდესაც რელიგიური რიტორიკა პოლიტიკის ნაწილი გახდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის გარიურაჟზე, ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო ერთგვარი საკრალურობა, მისტიურობა, რაც ხელს უწყობდა პროცესების რადიკალიზაციას. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი 9 აპრილის ტრაგედიის შემგომ პერიოდში გახდა. ამ მოვლენამ დამოუკიდებლობისთვის უკომპრომისო ბრძოლა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის წმინდათაწმინდა მოვალეობად აქცია. გიორგი ჭანტურიას სიტყვით, 9 აპრილი განწმენდის და განბანის დღე იყო.<sup>24</sup> ამ დღის შემდეგ საბჭოთა რეჟიმთან ნებისმიერი კომპრომისი ქვეყნის დაღაცს ნიშნავდა.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საკრალიზაციას ხელს უწყობდა თავად ზვიად გამსახურდიას ფიგურა და მისი პირადი დამოკიდებულება საქართველოს მომავალ ფუნქციასა და როლთან. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მის მიერ თბილისში, “იდრიატის” ფესტივალზე 1990 წლის 2 მაისს ჩატარებული ლექცია “საქართველოს სულიერი მისია”, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა. ზვიად გამსახურდიას შეხედულებები მკვეთრად პრიმორდიალისტურია. მისი აზრით, თეორია იმის შესახებ, რომ თურმე ქართველი ერი ერად მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა და მანამდე არ არსებობდა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შექმნეს, რათა ქართველი ხალხისთვის არასრულფასოვნების კომპლექსი ჩაენერგათ. ქართველი ერის ეთნოგენეზზე და “გენეტიკურ ძირებზე” საუბრისას,

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

გამსახურდია ეყრდნობა ნიკო მარის იაფეტურ თეორიას, ასევე ვილჰელმლ პუმბოლდგის შეხედულებებს და ამბობს, რომ სამხრეთ ევროპის ავტოქტონი მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა, პროტოიბერები, რომელთაგან მომდინარეობენ გვიანდელი ევროპელები. მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი – მესხები ანუ მოსხები, კაბადოკიულები, კოლხები, ტაოხები და სხვანი ამ მოდგმას მიეკუთვნებოდნენ. “როგორც ვხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ანუ პროტოიბერული მოდგმა ეწოდება,” – ამბობდა გამსახურდია (გამსახურდია 1990: 8-9). იგი მიიჩნევდა, რომ იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია მხოლოდ ორი – პირენეულ-იბერიული ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული ანუ ქართული. დანარჩენი უკვე ასიმილირებულია ინდოევროპული სამყაროს მიერ. ამ მოდგმის დაკნინება და მოსული ინდოევროპელების მიერ ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. მესამე ათასწლეულში და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვიდა წინა პლანზე ხეთური და ელინური სამყაროები (გამსახურდია 1990: 10). ზვიად გამსახურდია საქართველოს სულიერ მისიას მისი ისტორიული ფუნქციის აღმრმინებაში ხედავდა, რაც დასავლური და აღმოსავლური სამყაროების დაკავშირებას, მათ სინთეზირებას გულისხმობს. იგი აღნიშნავდა, რომ “ვეფხისტყაოსანი” ისევე შეგვიძლია მივიჩნიოთ დასავლური კულტურის კუთვნილებად, როგორც აღმოსავლურის. აქ გაყოფა და გათიშვა შეუძლებელია” (გამსახურდია 1990: 28)

საქართველოს სულიერ მისიაზე საუბრისას, გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რელიგიის საკითხს. მისი შეხედულებით, ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს თამაშობდნენ. “საკუთრივ ქრისტიანობაში, ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური და ინდოევროპული მოდგმის ხალხები ასრულებდნენ ძირითად როლს” (გამსახურდია 1990: 31).

ზვიად გასახურდია უფრო შორსაც მიდიოდა და თვლიდა, რომ მე-10 საუკუნეში მოდვაწე ქართველი პიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს თხზულება “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი” ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ “ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ-ისტორიულ მისიას” (გამსახურდია 1990: 43). “ლაზარეს აღდგინება იოანე ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას, მარტო

ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განვენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დამინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირენებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე.ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს დმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას” (გამსახურდია 1990: 33).

1980-იანი წლების ბოლოს ზვიად გამსახურდია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ყველაზე პოპულარული ლიდერი იყო და სერიოზული მხარდაჭერით სარგებლობდა. შესაბამისად, მის მიერ გამოთქმული შეხედულებები დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაში არსებულ მოლოდინებსა და განწყობებზე. გამსახურდიას მოსაზრებები, რომლის მაგალითი ზემოთ ვნახეთ, ნამდვილად იწვევდა საქართველოში პოლიტიკის ირაციონალიზაციას და ქართულ საზოგადოებას დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულ მოლოდინებს უჩენდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა, ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე, ერთგვარი საკრალური ასპექტი შეიძინა. ამ მითოლოგიზებული, დიდებული წარსულის დაბრუნების სურვილი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ გაჩენილი სირთულეების გარკვეულ წინაპირობად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მომავალი პოლიტიკური ელიტა, ძირითადად, ქართველი ეთნოსის განდიდებით იყო დაკავებული და ნაკლებად უპირისპირდებოდა სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ნათლად ჩანს ნაციონალური პროექტის ჩაკეტილობა და ექსკლუზიურობა. ეს ტენდენცია საფრთხეს უქმნიდა მრავალეთნიკური ქვეყნის სტაბილურ არსებობას. 1990 წლის 2 მაისს, როდესაც აღნიშნული ლექცია წაიკითხა, გამსახურდია უკვე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო. მოქმედი პოლიტიკური ლიდერის მხრიდან საქართველოს ფუნქციისა და როლის განსასაზღვრად მე-10 საუკუნეში დაწერილი თხზულების გამოყენება და საუბარი იმაზე, რომ

ქართველი ერი იმავე პოზიციას დაიბრუნებს, რომელიც მას პრეისტორიულ ხანაში ჰქონდა, ბუნდოვანს ხდიდა ქართული ნაციონალური პროექტის განხორციელების გზებსა და შესაძლებლობებს.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წევრი, ეკონომისტი რომან გოცირიძე ამბობს, რომ “ამ პერიოდში იყო სრული დეფიციტი იმ ჯანსაღი აზრისა, რომელსაც საერთაშორისო ნორმებით დამკვიდრებული პოლიტიკის კეთება ქვია. მაშინ ძალიან სერიოზულად მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ ხვალ თუ ზეგ საინგილოს შემოვიერთებთ. თურქეთს რომ ტერიტორიებს წავართმევთ და ყოფილი ქართული ტერიტორიები ჩვენი გახდება, ამაზე საკამათო პოლიტიკურ წრეებში არ იყო, თუმცა ზოგი ამას ხმამაღლა ამბობდა, რადიკალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი, ზოგი კი ჩუმად ვამბობდით, კულუარებში, რომ კი, ეს ვიცით, ასე მოხდება, მაგრამ ჯერ დამოუკიდებლობა გვაქვს მისაღწევი, ჯერ თურქეთი არ უნდა გავაღიზიანოთ და მტრები არ უნდა გავიჩინოთ. ზოგს უნდოდა, რომ საქართველოს ტერიტორია სოჭამდე ყოფილიყო და ასეთი საკითხები იხილებოდა საკმაოდ სერიოზულ დონეზე, უამრავი დისპუტები გამართულა საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ.”<sup>25</sup>

რომან გოცირიძის ამ სიტყვებიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს ქართული ნაციონალური პროექტის არარეალური, უტოპიური განზომილება. საინტერესოა, რომ თავად გოცირიძე საკუთარ თავს ეროვნული მოძრაობის გ.წ. ზომიერ, არარადიკალურ წრეს მიაკუთვნებს. როგორც ვხედავთ, ეს ზომიერება ნამდვილად პირობითი იყო და იმაში გამოიხატებოდა, რომ, რადიკალებისგან განსხვავებით, ხმამაღლა არ ამბობდნენ იმას, რასაც ფიქრობდნენ.

1989 წლის შემოდგომიდან საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ განახლება გადაწყვიტა და თვითონაც, გარკვეულწილად, ეროვნული მოძრაობის გვერდით აღმოჩნდა. ირაკლი წერეთლის სიტყვით, ეროვნული მოძრაობის წინაშე იყო ორი ამოცანა – დამოუკიდებლობის მოპოვება და საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება. საქართველოს კომპარტიის ცკ პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ, წერეთლის აზრით, “ორივე ამ ამოცანას, თავის მხრივ, თავი კარგად გაართვა – ხელი არ შეუშალა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ პროცესებს და ხელი შეუწყო საქართველოს მთლიანობის

<sup>25</sup> ინტერვიუ რომან გოცირიძესთან იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

შენარჩუნებას. მას ჰქონდა ძალიან ლოიალური, დემოკრატიული დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ და, სხვათა შორის, იგი პოლიტიკის ადამიანურ, არააგრესიულ ურთიერთობებზე აგების კლასიკური ნიმუშია.”<sup>26</sup>

1989 წლის შემოღომაზე საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რესპუბლიკის მთელი ქონება “გააქართულა” და ჩამოაყალიბა საქართველოს კანონმდებლობის უზენაესობა საკავშირო კანონმდებლობასთან მიმართებაში. ცვლილებები განამტკიცებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის უფლებას, ხელს უწყობდა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას და საქართველოს უმაღლეს საბჭოს ანიჭებდა სრულ უფლებას, გაეცონტროლებინა საკუთარი საზღვრები და ადმინისტრაციული ერთეულები. ახალი საარჩევნო კანონი უზრუნველყოფდა კონკურენტულ პირდაპირ არჩევნებს. 1990 წლის მარტში უმაღლესმა საბჭომ თავის დეკლარაციში სათაურით “საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიები” მოითხოვა ყველა იმ შემოთავაზებული საბჭოთა საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაუქმება, რომელიც არღვევდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს. საქართველოში საბჭოთა არმიის შემოჭრა 1921 წლის თებერვალში გამოცხადდა “დე ფაქტო ანგქისიად” და “საერთაშორისო დანაშაულად”. უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 21 მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის გამოაცხადა ძალადაპარგულად და მოითხოვა მოლაპარაკებების დაწყება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღსაღგენად. 1990 წლის ივნისში თავის საგანგებო სხდომაზე დაამტკიცა კანონების შემდგომი პაკეტი ეკონომიკური სუვერენიტეტის, ალტერნატიული სამხედრო სამსახურისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ფორმირების უფლების შესახებ. ჩამოყალიბდა კომისია, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღსაღგენად სასამართლო მექანიზმის შემუშავება იყო. საქართველოს კომპარტიამ დაგმო საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის ბლოკადა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (ჯონსი 2013: 50-51).

მიუხედავად უპრეცედენტო გადაწყვეტილებებისა, ეს საზოგადოების განწყობებზე არსებით გავლენას ვერ ახდენდა. საქართველოს კომუნისტური

<sup>26</sup> ინტერვიუ ირაკლი წერეთელთან იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

პარტია ხელისუფლებაში ყოფნის უკანასკნელ თვეებს ითვლიდა. სტივენ ჯონსი თვლის, რომ, მიუხედავად რეფორმებისა, გუმბარიძემ ვერ შეძლო დაემალა თავისი კავშირები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. 1990 წელს იგი აირჩიეს საბჭოთა პოლიტბიუროს წევრად. საბჭოთა კავშირისადმი მისმა შეფარულმა ერთგულებამ ძირი გამოუთხარა განცხადებებს მოსკოვისგან დამოუკიდებლობის შესახებ.

დიმიტრი შველიძის შეხედულებით, კომუნისტური ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული “საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია” ორმაგი სტანდარტის მაჩვენებელი ტიპური დოკუმენტი იყო. “გამოუცდებლი მკითხველისთვის, შესაძლოა, თვალ-ყურის მომჭრელიც კი ყოფილიყო კონცეფციის “დიდმნიშვნელოვანი” პასუხები, სადაც საუბარი გახლდათ “სრული სუვერენიტეტის მიღწევის” აუცილებლობაზე; “სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნაზე”. მართლაც, რა უნდა ყოფილიყო იმაზე მომაჯადოებელი ქართველი საზოგადოებისთვის, როცა კომუნისტური პარტიის კონცეფცია მას პპირდებოდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, რომ მისი მიზანი იყო რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მოპოვება”. დ. შველიძე თვლის, რომ კონცეფცია, “უგვანო სიცრუესთან ერთად, სასაცილო თეზისებსაც შეიცავდა”, როდესაც ხაზს უსვამდა საქართველოს საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩაურევლობის აუცილებლობას და საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულების ინტერესების დაცვას. “რა თქმა უნდა, გივი გუმბარიძის ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ გაუვლია ფიქრად საქართველოს საბჭოთა კავშირიდან, უფრო სწორად, რუსეთის საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლა-გამოყოფის შესაძლებლობა”. კონცეფცია კვლავინდებურად საქართველოს წარმოიდგენდა საკავშირო სახელმწიფოში. სრული სუვერენიტეტის მოპოვება უნდა გამოხატულიყო რეალური ფედერალიზმიდან სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალ, სრულყოფილ ფორმებზე ეტაპობრივად გადასვლაში. მაშინ უკვე მიმდინარეობდა რდვევადი იმპერიის ახალი ფორმით შენიდბვა-აღორძინების პროცესი” (შველიძე 2008: 68-69).

ვფიქრობთ, რთულია იმის განსაზღვრა, რა გაივლო ფიქრად და რა არა საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ. ფაქტია, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს დამოუკიდებლობას გარკვეულ

იურიდიულ საფუძველს უქმნიდა. მით უმეტეს, რომ ამ დროს უკვე დანიშნული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 მარტის არჩევნები. სავარაუდოა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, მსგავსი ნაბიჯებით, თუნდაც საკავშირო ხელისუფლებასთან წინააღმდეგობის ხარჯზე, ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა.

1990 წლის გაზაფხულზე, ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის მიერ დაფუძნდა “ეროვნული ფორუმი”. მისი მიზანი იყო, ხელი შეეწყო ოპოზიციური პარტიების კოორდინირებული მოქმედებისთვის, მოქმედებინა საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობა, აერჩია გარდამავალი, ალტერნატიული პარლამენტი და მთავრობა. “უმაღლესი საბჭო არ არის გამომხატველი ქართველი ერის ნებისა, არ არის არჩეული ქართველი ხალხის მიერ. ამიტომ ჩვენ მას უნდა დავუპირისპიროთ ქართველი ერის მიერ არჩეული ალტერნატიული პარლამენტი. ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქას,” – განაცხადა ზვიად გამსახურდიამ ეროვნული ფორუმის დამფუძნებელ კრებაზე.<sup>27</sup> ეროვნულ ფორუმს უნდა მოქმედებიბა საყოველთაო არჩევნები, რომელიც აირჩევდა ეროვნულ კონგრესს, “ქართველ ერის ნების გამომხატველ წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა გარდამავალი პერიოდის ეროვნული მთავრობა, რომელიც საქართველოს მიიყვანდა დამოუკიდებლობამდე.”<sup>28</sup>

ეროვნული ფორუმი იყო არა მარტო საქართველოს კომუნისტური პარტიის ოპოზიცია, არამედ მისი წარმომადგელები საკუთარ თავს ეროვნული მოძრაობის კ. წ. ზომიერი ფრთის ალტერნატივადაც განიხილავდნენ. იმავე პერიოდში, “რუსთაველის საზოგადოებამ” გამოაქვეყნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომელიც აქცენტს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე აკეთებდა და მას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა. რომან გოცირიძე ამბობს, რომ “სახალხო ფრონტი” და “რუსთაველის საზოგადოება” ის ორგანიზაციები იყო, სადაც ეკონომიკურ საკითხებსაც განიხილავდნენ და იქმნებოდა ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტები. რაც შეეხება რადიკალურ ორგანიზაციებს, ისინი, ზომიერ მიმართულებასთან კონკურენციის პირობებში, ეკონომიკურ საკითხებს სრულიად უგულებელყოფდნენ. “ეკონომიკური თემა ზომიერებასთან

<sup>27</sup> ზვიად გამსახურდიას გამოსვლა იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

<sup>28</sup> ინტერვიუ ირაკლი წერეთელთან იხ. იქვე.

ასოცირდებოდა.”<sup>29</sup> რადიკალები ამ გზით ხაზს უსვამდნენ საკუთარ უკომპრომისობას, შეურიგებლობას და მაღალ იდეალებს, სადაც ისეთი პრაქტიკული საკითხისთვის, როგორიცაა ეკონომიკა, ადგილი არ იყო.

1990 წლის 25 მარტს დანიშნულ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა “სახალხო ფრონტი” და არარადიკალური მიმართულების ბევრმა ორგანიზაციამ. ამ ფაქტმა საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში არსებული დაპირისპირების კიდევ უფრო გაღრმავება გამოიწვია. ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებს კატეგორიულად ემიჯნებოდნენ და საზოგადოებასაც ამისკენ მოუწოდებნენ: “საჭიროა არა მარტო ეროვნული ერილობის მოწვევა, არამედ, პარალელურად, საჭიროა ჩვენ დავიწყოთ საბჭოთა სტრუქტურების ნგრევა. აქ უკვე ყოველგვარი დასმა საკითხისა – მივიღოთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობა – უნდა მოიხსნას. არ უნდა მივიღოთ, რა თქმა უნდა, არჩევნებში მონაწილეობა,” – განაცხადა გია ჭანტურიამ.<sup>30</sup>

იმავე პერიოდში, 1990 წლის 13-15 მარტს, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვით, ეროვნული მოძრაობა “კანონიერი მოსახლეობის” სახელით სრულ ბოკოტს უცხადებდა საქართველოს სსრ ეროვნული საბჭოს 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს და იწყებდა მზადებას გარდამავალი ოპოზიციური ხელისუფლების არჩევისთვის, რომელიც იქნებოდა ოფიციალური იურიდიული პირი და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი (სალუაშვილი 1996: 14). ეროვნული მოძრაობის დიდ გავლენას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ბოიკოტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა გაზაფხულზე გაემართა არჩევნები და იგი შემოდგომისთვის გადადო. აღნიშნულ დადგენილებაში არაერთხელ არის გამოყენებული ფრაზა “საქართველოს კანონიერი მოსახლეობა”, რაც მიგვანიშნებს, რომ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უკანონოდ მიიჩნევდნენ და არჩევნებში მისი მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი მნიშვნელოვნად არ მიაჩდათ. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნული მოძრაობის წიაღში

<sup>29</sup> ინტერვიუ რომან გოცირიძესთან იხ. იქვე.

<sup>30</sup> გია ჭანტურიას გამოსვლა ეროვნული ფორუმის კრებაზე იხ. იქვე.

ფორმირებული ნაციონალური პროექტის ექსპლუზიურ ხასიათზე. საინტერესოა, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდებოდა მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების კანონიერების თუ უკანონობის განსაზღვრა. ამ საკითხს ეხება ზვიად გამსახურდია უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში მის მიერ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელზეც უფრო ვრცლად შემდგომში ვისაუბრებთ.

სახალხო ფრონტის ლიდერის, ნოდარ ნათაძის აზრით, “მებოიკოტები იმეტებდნენ საქართველოს მომავალი ოთხი წლის კომუნისტური ბატონობისათვის, თანაც, კანონიერი ფორმის მქონე ბატონობისათვის. რა სჯობს: მტერი, რომელიც ბატონობს კანონიერი ფორმით, თუ მტერი, რომელიც ბატონობს ხუნტის ფორმით? რა თქმა უნდა, სჯობს მტერი, რომელიც ბატონობს ხუნტის ფორმით, იმიტომ, რომ მას სუსტი იურიდიული პოზიცია აქვს...”<sup>31</sup>

ეროვნული მოძრაობის რადიკალურ მიმართულებას იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა როგორც საზოგადოებაზე, ისე საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებაზე, რომ 1990 წლის 25 მარტის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მათი ბოიკოტის შედეგად ჩაიშალა. რომან გოცირიძის შეხედულებით, “ამ არჩევნების ჩაშლით, საქართველომ უარი თქვა იმ გზაზე, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა წარმატებული და რომელსაც ბალტის გზას უწოდებენ ხოლმე. ანუ ბალტის რესპუბლიკებში, ფაქტიურად, ჩატარებულმა არჩევნებმა ხელისუფლებაში მოიყვანა ის ადამიანები, რომლებმაც უზრუნველყველ ამ ქვეყნების გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან. მათ ჩვენ გაგვასწრეს არა მარტო დროში, არამედ მათ ჩვენ გაგვასწრეს ხარისხშიც”.<sup>32</sup> თავად რადიკალური მოძრაობის ლიდერები ბალტისპირეთის რესპუბლიკების მიერ არჩეულ გზას არასწორს უწოდებდნენ. 1990 წლის 8 აპრილს გამართულ მიტინგზე გია ჭანტურიამ განაცხადა, რომ “ჩვენი ბრძოლის გზა ერთადერთია და ჭეშმარიტი, რომელიც ნიმუშად უნდა დაისახონ. ლიტვამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, დეკლარირება ადგილია თავისუფლების, ჩვენც შეგვიძლია გამოვაცხადოთ, მაგრამ სანამ საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, ფაქტობრივად, ეს თავისუფლება არ იქნება, ამიტომ საქართველო იქნება თავისუფალი, მაგრამ ეს

<sup>31</sup> ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან იხ. იქვე.

<sup>32</sup> ინტერვიუ რომან გოცირიძესთან იხ. იქვე.

იქნება არა უზენაესი ვითომ საბჭოს მონაპოვარი, თქვენი, მთელი ქართველი ერის მონაპოვარი. აი, ეს არის ეროვნული მოძრაობის ნამდვილი გზა.”<sup>33</sup>

ის ფაქტი, რომ ჭანტურია ბრძოლის ერთადერთ, ჭეშმარიტ და სანიმუშო გზად რადიკალების მიერ არჩეულ მიმართულებას ასახელებდა, ნიშანდობლივია საქართველოს ეროვნული მოძრაობისთვის. განსხვავებული აზრისადმი შეურიგებლობა და საკუთარი დამოკიდებულებების უალტერნატივობა, რაც რადიკალებს ახასიათებდათ, ლაიტმოტივად გასდევდა საქართველოში 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე განვითარებულ პროცესებს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული ნაციონალური პროექტის მარცხი.

საბოლოოდ, ეროვნული მოძრაობა საქართველოს ხელისუფლებაში სწორედ არჩევნების გზით მოვიდა, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოში მაინც, ე.წ. “ბალტიისპირეთის გზამ” გაამართლა. თუმცა ეროვნული მოძრაობის გათიშულობამ შეუძლებელი გახდა გარდამავალი პერიოდის მშვიდობიანი დაძლევა.

ეროვნული ფორუმის ჩამოყალიბებიდან მალევე, 1990 წლის გაზაფხულზე, მასში შემავალ ორგანიზაციებს შორის განხეთქილება მოხდა. ფორუმი დატოვა ყველაზე პოპულარულმა ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ და ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია “მრგვალი მაგიდა” ჩამოაყალიბა. განხეთქილების მიზეზებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. საინტერესოა ჯაბა იოსელიანის თვალსაზრისი. მისი სიტყვით, 1990 წლის 9 აპრილს ცხვინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების გარკვეულ ჯგუფს სურდა თბილისში ჩამოსვლა ერთი წლით ადრე დაღუპული ადამიანებისთვის პატივის მისაგებად, რასაც თავად იოსელიანი დიდი სიხარულით შეხვდა. ოსების თბილისში ვიზიტზე კატეგორიული უარი განაცხადა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც ცხინვალიდან გამოგზავნილი დელგაცია არც კი მიიღო. იმ დამესვე გამსახურდიამ დარეკა ცხინვალში და მოუწოდა რეგიონის ქართულ მოსახლეობას, დაეტოვებინათ საცხოვრებელია ადგილი, რადგან, თითქოს, ოსები მათ დარბევას აპირებდნენ. ჯაბა იოსელიანი ამბობს, რომ მან ეს ფაქტი გააპროტესტა, რამაც გამსახურდიას გადიზიანება და მის მიერ ფორუმის

<sup>33</sup> გიორგი ჭანტურიას გამოსვლა მიზინგზე იხ. იქვე.

დატოვება გამოიწვია. ეროვნული ფორუმის შეკრებაზევე მოხდა დაპირისპირება ჯაბა იოსელიანისა და ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრებს შორის.<sup>34</sup>

ირაკლი წერეთლის შეხედულებით, დაპირისპირების მიზეზი იყო ეროვნულ ფორუმში გაჩენილი აზრი იმის შესახებ, რომ მთავარია ეროვნული მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლა და მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა გზით, რომელი კანონის საფუძველზე და ვის მიერ დანიშნული არჩევნების შედეგად მოხდება ეს. წერეთელი ამბობს, რომ ასევე იყო პიროვნული გაუგებრობები მასსა და ზვიად გამსახურდიას შორის, რამაც ხელი შეუწყო კონფლიქტის გაღრმავებას.

ზვიად გამსახურდიას “მრგვალმა მაგიდამ”, რომელშიც შევიდნენ “მერაბ კოსტავას საზოგადოება”, “მონარქისტული პარტია”, “წმ. ილია მართლის საზოგადოება”, “ჰელსინკის კავშირი”, “თეთრი გიორგის კავშირი” და “ეროვნულ-ქრისტიანული კავშირი”, თანხმობა განაცხადა უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე. “ეროვნულმა ფორუმმა” კი, რომლის შემადგენლობაშიც “ეროვნულ-დემოკრატიული პარტია”, “ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია” შედიოდნენ, ალტერნატიული, ეროვნული კონგრესის არჩევნების პროპაგანდა დაიწყო. ამ პერიოდში უკვე ნათელია ზვიად გამსახურდიას პოზიციის გარკვეული ცვლილება: იგი უფრო შემრიგებლურია და მის დამოკიდებულებას გარკვეული რაციონალიზმი ახასიათებს: “ჩვენი კურსი გულისხმობს ერთადერთი არჩევნების იდეას. პარალელური არჩევნების იდეას უარყოფს და მოითხოვს არჩევას ისეთი ორგანოსი, რომელიც იქნება ქართველი ერის ნება-სურვილის გამომხატველი და, ამავე დროს, სამართლებრივი სუბიექტი, რომელსაც აღიარებს საერთაშორისო სამართალი. ამისთვის, ვიმეორებ, აუცილებელია იგი იყოს ერთადერთი, იყოს ოფიციალური და იყოს მთელი ქართველი ერის ნდობის მანდატის მქონე.”<sup>35</sup>

1990 წლის 12 მაისს მრგვალმა მაგიდამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი – “მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია”.<sup>36</sup> ეს დოკუმენტი, როგორც

<sup>34</sup> ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”. ამ საკითხზე ასევე იხ. ჯაბა იოსელიანის მემკარული ნაშრომი “სამი განზომილება”. თბ. 2013, გვ. 17 და ინტერვიუ “მხედრიონის” წევრ გიგა არველაძესთან სოფო მოსიძის სააგენტო გადაცემაში “მოწყვიტე წამი” <https://www.youtube.com/watch?v=mVvTq4Cq84o>

<sup>35</sup> ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფულმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

<sup>36</sup> საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია. გამ. “ახალგაზრდა ივერიელი”. 15 მაისი. 1990. №52.

მაშინდელ საქართველოში ყველაზე პოპულარული პოლიტიკური გაერთიანების ფაქტობრივად წინასაარჩევნო განაცხადი, საყურადღებოა, ერთი მხრივ, ქართული ნაციონალური პროექტის ძირითადი ასპექტების შესასწავლად, ხოლო მეორე მხრივ, იმის გასაანალიზებლად, თუ რა ცვლილება განიცადა ზოიად გამსახურდიას და მისი პოლიტიკური გუნდის დამოკიდებულებებმა მცირე დროში. დოკუმენტიდან ნათლად ჩანს ქართული ნაციონალიზმის ეთნიკური ხასიათი და ექსკლუზიურობა, თუმცა, ამავე დროს, ქართულ ნაციონალურ პროექტს უკვე აქვს შეძენილი გარკვეული სამოქალაქო მახასიათებლები. “მრგვალი მაგიდა” “ქართველ ერს, საქართველოს კანონიერ მოსახლეობას” მოუწოდებდა, აერჩია ის გზა, რომელიც საქართველოს მიიყვანდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე. “დღეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე არის ქართველი ერი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობა. ამიტომ აუცილებელია სწორედ ქართველმა ერმა, საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ გააკეთოს არჩევანი იმ გზისა, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა აღდგეს.” ამ დოკუმენტში, მსგავსად “ეროვნული ფორუმის” მიერ მარტი მიღებული წესდებისა, კვლავ არის ნახსენები “საქართველოს კანონიერი მოსახლეობა”, რაც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უკანონობას. ასევე ნათელია, რომ ქართველი ერის ცნებას ცალსახად ეთნიკური შინაარსი აქვს და მასში მხოლოდ ეთნიკური ქართველები იგულისხმებიან.

“მრგვალ მაგიდაში” შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები დამოუკიდებლობის მოპოვების ორ შესაძლებლობას ასახელებდნენ: 1. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა (ეროვნული ფორუმის მიერ არჩეული გზა). 2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ერის ნების გამომხატველი დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევნები. კონცეფციის ავტორები იწუნებდნენ დაუმორჩილებლობის იდეას. საინტერესოა ამ გზის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი, საიდანაც ჩანს, რომ ამ პერიოდში ქართულ ნაციონალურ პროექტს უკვე ახასიათებს გარკვეული ინკლუზიურობა. კონცეფციის ავტორთა აზრით, დაუმორჩილებლობის იდეა განუხორციელებელი იყო საქართველოს მოსახლეობის მრავალეთნიკური შემადგენლობის გამო – მას მხარს არ

დაუჭერდა ქვეყნის არაქართველი მოსახლეობა. კონცეფციის ავტორები არაქართულ მოსახლეობას “დამოუკიდებლობის არამოსურნებს” უწოდებდნენ. რაციონალური ჩანს სხვა მიზეზებიც – ქართული საზოგადოების მძიმე მორალური მდგომარეობა, რაც დაუმორჩილებლობის იდეის მასობრივ გატარებას გაართულებდა, ჯერ კიდევ ძლიერი საბჭოთა სახელმწიფო და საოკუპაციო ჯარების საქართველოში ყოფნა, რაც ასევე გაამნელებდა ოფიციალურ სტრუქტურებთან დია დაპირისპირებას. “საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა, იმ მასშტაბითა და ვადით, რომელიც უკიდურესი გაჭირვების, დიდი რისკისა და, იქნებ, სისხლის ფასადაც ერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს, მხოლოდ უკიდურესად ექსტრემალური სიტუაციისას არის შესაძლებელი.” კონცეფციის ავტორები თვლიდნენ, რომ მოცემულ მომენტში არ არსებობდა მსგავსი ესტრემალური ვითარება, ამიტომ საყოველთაო დაუმორჩილებლობა შეუძლებელი იყო. “მრგვალი მაგიდის” წევრ ორგანიზაციებს ერთადერთ გამოსავლად არჩევნები მიაჩნიათ. “იმისათვის, რომ საქართველოში არჩეულ იქნას ჭეშმარიტად ერის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც მხოლოდ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით იმოქმედებს და არა ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატითა და მისადმი კომპრომისებით, აუცილებელია არჩევნები მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ.” ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ უმაღლეს არჩევით ორგანოში მოსკოვისადმი დაქვემდებარებული პოლიტკური ძალები უმცირესობაში აღმოჩენილიყვნენ და გარდამავალი პერიოდის სიმძიმე ახალ პოლიტიკურ ძალას ეტვირთა. “საქართველოს უკიდურესად მძიმე გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, ყოვლად დაუშვებელია საოცრად დინამიურ გარდამავალ პერიოდში ისეთი მოქმედებები, რომელიც ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.”

დოკუმენტიდან აშკარაა, რომ ამ დროისთვის ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ძალაში ემოციური ფონი და ირაციონალიზმი მეტ-ნაკლებად განეიტრალებულია, უურადღება უფრო პრაგმატულ, იურიდიულ საკითხებს აქცევა. დოკუმენტში ნახსენებია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის,

როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური საერთაშორისო აქტი. ამ აქტით საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და შემდეგ ეს შეთანხმება თავადვე დაარღვია 1921 წელს, როდესაც განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. კონცეფციის ავტორთა შეხედულებით, 1921 წლის 17 მარტის (ამ დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია) შემდეგ არ მიღებულა არც ერთი კანონიერი სახელმწიფოებრივი აქტი, რასაც თავად საქართველოს იმუამინდელი კომუნისტური ხელისუფლებაც აღიარებდა,

საინტერესოა, რომ კონცეფციის ავტორები იმოწმებენ და ეყრდნობიან საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს ფაქტი ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ამ პერიოდში თავად კომუნისტური ხელისუფლებაც “ნაციონალისტურ რელსებზე” იყო დამდგარი და იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლითაც საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას მნიშვნელოვან იურიდიულ საფუძველს უქმნიდა. “მრგვალი მაგიდის” წევრები და ქართველი კომუნისტები, ამ შემთხვევაში, ერთგვარ თანამოაზრებად გვევლინებიან.

დოკუმენტში ხაზგასმულია გარდამავალი პერიოდის კანონიერად დაწყების და დამოუკიდებლობის სამართლებრივი მექანიზმებით მიღწევის აუცილებლობა. “კანონიერებიდან ყოველგვარი გადახვევა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მხოლოდ გაართულებს ჩვენს ისედაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში კარგ არაფერს მოგიტანს,” – ნათქვამია კონცეფციაში. ამიტომ, ავტორთა შეხედულებით, აუცილებელია ამოსავალ წერტილად იქცეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 27 იანვრის ერთა ლიგის გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სუვერენიდ ცნობის შესახებ, და არა საკავშირო და რესპუბლიკური კონსტიტუციების “კარგი” და “ცუდი” მუხლები.

კონცეფციაში ნახსენებია “ლიტვური პრეცენდენტის” დადებითი მხარეები, რომელიც, მართალია, “ნაჩქარევად” შეიქმნა, მაგრამ საყურადღებო იყო იმიტომ, რომ მეტროპოლიასთან მოლაპარაკებას არა საბჭოურ კონსტიტუციათა, არამედ საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით გულისხმობდა.

ქართველ მკვლევართა ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის ბალტიისპირულმა გზამ კრახი განიცადა.

წარმოდგენილი დოკუმენტის და შემდგომ განვითარებული პროცესების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მაინც კონსტიტუციური მექანიზმებით, რაციონალური დამოკიდებულებებით და კომუნისტურ ხელისუფლებასთან სამართლებრივი ბრძოლით გახდა შესაძლებელი. ეს ფაქტი გვაჩვენებს, რომ საქართველოს საბოლოო წარმატება მაინც ბალტიისპირულმა გზამ მოუტანა, თუმცა, ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში და პოლიტიკურ სივრცეში მის სრულ გაბატონებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი როლი რადიკალური ფრთის უკომპრომისობამ და შეურიგებელმა დამოკიდებულებებმა ითამაშა.

“მრგვალი მაგიდის” პოლიტიკური კონცეფციის ავტორებს მიაჩნდათ, რომ “მსოფლიო პოლიტიკაში ხალხის ნების გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტის შექმნის ყველაზე მისაღები ფორმა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებია, რომლის დროსაც ხდება გარკვეული ვადით ნდობის მანდატის გადაცემა კანონიერ უმაღლეს ხელისუფლებაზე. საქართველოში უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი, დემოკრატიული არჩევნები...” მსგავსი არჩევნების ჩატარების ორი გზა არსებობდა – ოფიციალური და არაოფიციალური. მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთა აზრით, მართალია, არაოფიციალური არჩევნები იმთავითვე მოიხსნიდა საბჭოურის იარლიყს, მაგრამ წააწყდებოდა მნიშვნელოვან პრობლემას – არჩევნების საყოველთაოობას და მასში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მონაწილეობას. არაოფიციალური არჩევნები არ იქნებოდა ერთადერთი და ქვეყნის არაქართველი (და არა მხოლოდ) მაცხოვრებლები ოფიციალურ, საბჭოთა არჩევნებს დაელოდებოდნენ. მოსალოდნელი იყო ისეთი კურიოზული შემთხვევაც, რომ ამომრჩევლის გარკვეულ ნაწილს ორივე არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. პრობლემები შეიქმნებოდა არაოფიციალური არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებითაც. კომუნისტური ხელისუფლება ყველანაირად შეეცდებოდა, ხელი შეეშალა მისი ჩატარებისთვის. ასევე პრობლემა იყო არაოფიციალური არჩევნების სართაშორისო აღიარება, რადგან იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი. შესაბამისად, საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩატარებულ არაოფიციალურ არჩევნებს საერთაშორისო ასპარეზზე არავინ აღიარებდა.

აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია ემხრობოდა ოფიციალურ არჩევნებში ეროვნული მოძრაობის მონაწილეობას, თუმცა, ამისთვის გარკვეულ პირობებს აუქნებდა:

1. საქართველოს უნდა შეეიძინა თავისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ამისთვის საქართველოს უნდა შეცვლოდა შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად თავსმოხვეული უკანონო სახელი – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
2. უნდა შეჩერებულიყო საბჭოთა კავშირის ანტიუმანური, არადემოკრატიული კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
3. საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, დროებითი კონსტიტუციის შემუშავება, 1921 წლის კონსტიტუციის დაბრუნება თუ საკანონმდებლო აქტებით ქვეყნის მართვა, გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობის პრეროგატივად უნდა ჩათვლილიყო.

“მრგვალი მაგიდის” მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ არსებული ხელისუფლებისგან ამ პირობების შესრულება რეალისტური იყო, რადგან ისინი ლოგიკურად არ ეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლების მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. კონცეფციას ხელს აწერდნენ “საქართველოს პელსინკის კავშირის”, “წმ. ილია მართლის საზოგადოების”, “საქართველოს მონარქისტული პარტიის”, “მერაბ კოსტავას საზოგადოების”, “მრჩეველთა ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის” წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, პოლიტიკურმა გაერთიანება “მრგვალმა მაგიდამ” მაინც მიიღო მონაწილეობა 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნულ უზენაესი საბჭოს არჩევნებში. “ეროვნულმა ფორუმმა” კვლავ უკომპრომისო პოზიცია დაიკავა, კატეგორიულად უარყო არჩევნების იდეა და სცადა მიეღო საზოგადოების მხარდაჭერა, თუმცა საზოგადოებრი აზრი აშკარად “მრგვალი მაგიდის” მხარეს იხრებოდა.

1990 წლის 26 მაისს დაინიშნა ორი პარალელური შეკრება. “მრგვალმა მაგიდამ” მიტინგი დოკომოტივის, ხოლო “ეროვნულმა ფორუმმა” ეროვნულ სტადიონზე დანიშნა. “მრგვალი მაგიდის” მიტინგზე გაცილებით მეტი ადამიანი

მივიდა, რამაც ნათელი გახადა, რომ მოსახლეობის სიმპათია აშკარად ზვიად გამსახურდიას მხარეს იყო. ამ მიტინგზე ზვიად გამსახურდიას გამოსვლას აქვს გარკვეული რელიგიური შეფერილობა. იგი იმ გზას, რომელსაც მისი პოლიტიკური გაერთიანება ემხრობა, “ქრისტეს გზას” უწოდებს, ხოლო, მისი მოწინააღმდეგების მიერ არჩეულ კურსს – “ბარაბას გზას”<sup>37</sup>. გამსახურდიას სიტყვაში, ამავე პერიოდში მიცემული ინტერვიუებისაგან განსხვავებით, ავლავ იგრძნობა რადიკალიზმი და განსხვავებული პოზიციებისადმი სრული შეურიგებლობა. ეს, ალბათ, განპირობებულია მიტინგზე არსებული ემოციური ატმოსფეროთი და იმ ფაქტით, რომ მან თვალნათლივ დაინახა მისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის სიმპათია.

გამსახურდიას რეიტინგის მკვეთრმა ზრდამ მის მოწინააღმდეგებში მისადმი შეურიგებლობის გაზრდაც გამოიწვია. გამსახურდიას წინააღმდეგ კოალიციის შექმნა ისეთმა, თითქოს, ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულმა ჯგუფებმაც კი გადაწყვიტეს, როგორებიც იყვნენ “ეროვნული ფორუმი” და საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება. ჯაბა იოსელიანის სიტყვით, ისინი აპირებდნენ ეთანამშრომლათ ზომიერი მიმართულების წარმომადგენლებთანაც. ამ გაერთიანების მთავარი მიზანი გივი გუმბარიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება იყო, რომელიც, იოსელიანის აზრით, ხელს უწყობდა გამსახურდიას აღზევებას. ეს უკანასკნელი კი, თავისი არაკომპეტენტურობით, ავტორიტარული მისწრაფებებით, ავანტიურული პოლიტიკით და შოვინისტური კურსით საქართველოს დაღუპვის პირამდე მიიყვანდა. ჯაბა იოსელიანმა გადაწყვიტა განეხორციელებინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა “საბჭოთა კავშირის ნგრევის პირობებში დამოუკიდებლობის გზაზე საქართველოს თანდათანობით გამოყვანას”. იოსელიანს ამ გეგმის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდა “რუსთაველის საზოგადოებასთან”, “სახალხო ფრონტთან” და ზოგიერთ “ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ” კომუნისტთან თანამშრომლობით. მისი განხორციელებისთვის აუცილებელი იყო ზვიად გამსახურდიას ნეიტრალიზება, მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, გივი გუმბარიძე უნდა გადაეყენებინათ. თავდაპირველად ამ მიზნით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის გამოყენება სცადეს, თუმცა მისგან უარი მიიღეს, რადგან გუმბარიძე მისი რეკომენდაციით იყო დანიშნული

<sup>37</sup> ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 26 მაისის მიტინგზე იხ.: თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”

ცკ პირველი მდივნის პოსტზე. ამის შემდეგ ჯაბა იოსელიანის სახლში შეიკრიბნენ ცკ ბიუროს წევრი გურამ მგელაძე, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, ედპ ლიდერი გია ჭანტურია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბიურის სხდომაზე წევრებს გუმბარიძისთვის უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ და ამ გზით ჩამოეცილებინათ ხელისუფლებიდან. მიუხედავად შეთანხმებისა, ბიუროს წევრებმა გუმბარიძისთვის უნდობლობის გამოცხადება ვერ გაძევეს (იოსელიანი 2013: 21-22).

როგორც ვხედავთ, ზვიად გამსახურდიას იმთავითვე, ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰყავდა რადიკალური ოპოზიცია სხვადასხვა ჯგუფის სახით, რომლებიც, მიუხედავად ერთმანეთისადმი დაპირისპირებული პოზიციებისა, გამსახურდიას წინააღმდეგ გაერთიანებას არ ერიდებოდნენ.

გივი გუმბარიძისა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული გეგმის ჩაშლის შემდეგ, “ეროვნულმა ფორუმმა” ეროვნული კონგრესის არჩევნები დანიშნა 1990 წლის 30 სექტემბრისთვის. არჩევნები ჩატარდა, თუმცა მასზე მისული ადამიანების რაოდენობა არ იყო შთამბეჭდავი. გაუგებარი იყო, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა ეროვნულ კონგრესს. შეიძლება ითქვას, რომ “ეროვნული ფორუმის” ერთადერთ მიზანს გამსახურდიასთან დაპირისპირება წარმოადგენდა. მის წევრებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული გეგმა, თუ რა გზით უნდა განვითარებულიყო საქართველოს მომავალი. ნოდარ ნათაძე, რომელიც ხშირად ესწრებოდა “ეროვნული ფორუმის” შეკრებებს, ამბობს, რომ “იქ არ იყო არანაირი კონსტრუქციული გარემო. თუ ადამიანი გალანტიურდა ზვიადს (გამსახურდიას), უკრავდნენ ტაშს, თუ არ გალანტიურდა, არ უკრავდნენ.”<sup>38</sup> ხალხი 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს ელოდა, რომელსაც უმაღლესი საბჭო უნდა დაეკომპლექტებინა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი შოთა გორგოძე აცხადებს, რომ კომუნისტურმა პარტიამ, ფაქტობრივად, წინასწარი კაპიტულაცია გამოაცხადა და წინასაარჩევნო პროცესი თვითდინებაზე მიუშვა. კომუნისტების ინდიფერენტული დამოკიდებულისგან განსხვავებით, აქტიურობდა “მრგვალი მაგიდა”, რომლის წარმომადგენლებიც დადიოდნენ მოსახლეობაში და ეროვნული იდეების პროპაგანდას უწევდნენ. მოსახლეობაში არსებული ნაციონალისტური

<sup>38</sup> ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან იხ. თომა ჩაგელიშვილის ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

განწყობების გათვალისწინებით, ნათელი იყო, რომ ეროვნულ ძალებს გამარჯვების დიდი შანსი პქონდათ. “კომუნისტური პარტია აბსოლუტურად არაფერს არ აკეთებდა და მე უკვე ვხედავდი, რომ არჩევნები წაგებული იყო”, – ამბობს შოთა გორგოძე.<sup>39</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ზეიად გამსახურდია და “მრგვალი მაგიდის” სხვა მესვეურები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. მათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ათეულობით მიტინგი ჩატარეს. საყურადღებოა გამსახურდიას გამოსვლა წინასაარჩევნო პროცესის დასასრულს თბილისში ორგანიზებულ ერთ-ერთ მიტინგზე, რომელიც მოსახლეობაში არსებულ განწყობებს ეხება: “ნამდვილად საქართველოს არჩევნებია, ნამდვილად ქართველი ერის არჩევნებია... განსაკუთრებით გრანდიოზული მიტინგი იყო სოხუმში, სადაც მთელი სოხუმის ქართველობა მოვიდა სტადიონზე. ყველგან ხალხი ამჟღავნებს “მრგვალი მაგიდის” არნახულ მხარდაჭერას. სამაჩაბლოში ოსები იმუქრებიან ჩაშლით, კერძოდ ცხინვალში. აზერბაიჯანელები გვთხოვენ, დეპეშებს გვიგზავნიან, ჩაგვიტარეთ დემოკრატიული არჩევნები. ძირითადი, 90% ქართული მოსახლეობისა, შეიძლება ითქვას, გვიჭერს მხარს. არაქართული მოსახლეობის ნაწილიც, ალბათ. ბოგდანოვგა-ახალქალაქში, ალბათ, სომხური მოსახლეობა ჩვენსკენ გადმოიხრება. ვინც სომხეთის პატრიოტია, დღეს უნდა იფიქროს მომავალზე. სხვათა შორის, სომხეთს დიდი იმედი აქვს ჩვენთან კარგი ურთიერთობისა და უნდა შეგვიწყოს ხელი.”<sup>40</sup> როგორც ვხედავთ, “მრგვალი მაგიდა” გამარჯვებას, ძირითადად, ქართველების ეთნიკური მობილიზაციის ხარჯზე გეგმავდა, თუმცა ზეიად გამსახურდიას გამოსვლიდან ჩანს, რომ მას არაქართველი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედიც აქვს და ტოლერანტულია იმ არაქართველების მიმართ, რომლებიც “დემოკრატიულ არჩევნებში” ეროვნულ ძალას და, შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭერენ მხარს.

საბოლოოდ, არჩევნებში “მრგვალმა მაგიდამ” დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მას ამომრჩეველთა 53%-მა დაუჭირა მხარი. კომუნისტები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. უზენაეს საბჭოში ასევე მოხვდა ზომიერი ოპოზიციის რამდენიმე

<sup>39</sup> ინტერვიუ შოთა გორგოძესთან იხ. თომა ჩაგელიშვილის ფულმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

<sup>40</sup> ზეიად გამსახურდიას გამოსვლა იხ. თომა ჩაგელიშვილის ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

წარმომადგენელი<sup>41</sup> ასეთ შედეგს თვითონ “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლებიც არ ელოდნენ. მიუხედავად საზოგადოების განწყობისა, კომუნისტური პარტიის სამოცდაათწლიანი მმართველობის პირობებში ასეთი გამარჯვება დაუჯერებელი ჩანდა. ზეიად გამსახურდიას თანამეტრძოლი თემურ ქორიძე ამბობს: “ზეიად გამსახურდია ფიქრობდა, რომ ბრძოლა გადაეტანა პარლამენტის შენობაში. იგი ვარაუდობდა, თავის დროზე, რომ “სახალხო ფრონტთან” და სხვა არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ ძალებთან ერთად მიიღებდა ხმების დაახლოებით ოცდაათ პროცენტს და ვიქებოდით საპარლამენტო ოპოზიცია.”<sup>42</sup> “მრგვალი მაგიდის” ასეთ წარმატებას არ ელოდა არც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება. მომდევნო პერიოდში, უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოდგილის რანგში მოსკოვში ჩასულმა “მრგვალი მაგიდის” წევრმა აკაკი ასათიანმა ნახა, რომ კრემლის მხრიდან მოწვევა გივი გუმბარიძის სახელზე იყო გამოწერილი.<sup>43</sup>

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოში კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობა დასრულდა. საქართველოს ხელისუფლებაში ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგებე, ყოფილი დისიდენტი ზეიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური გაერთიანება მოვიდა. გამსახურდია ერთხმად აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ვითარება რთული და წინააღმდეგობრივი იყო – ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს მართვას ეროვნული ხელისუფლება იწყებდა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა. ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს უნდა შეექმნა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის კონსტიტუციური საფუძველი. ერთი მხრივ, ცენტრთან, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის ოპოზიციურ ნაწილთან დაპირისპირებულ ხელისუფლებას წინ მძიმე გარდამავალი პერიოდი ელოდა, რაც ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ეროვნული მოძრაობის ლიდერთა როლიდან გამოსვლას, ნაკლებ რადიკალიზმს და მეტ რაციონალიზმს საჭიროებდა. საქართველოში პროცესები დრამატულად განვითარდა და საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

<sup>41</sup> არჩევნების შედეგები იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე: <http://www.cesko.ge/files/TEA/archevedebisistoria/geohistory.pdf>

<sup>42</sup> ინტერვიუ თემურ ქორიძესთან იხ. თომა ჩაგელიშვილის ფულმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

<sup>43</sup> ინტერვიუ აკაკი ასათიანთან იხ. თომა ჩაგელიშვილის ფულმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”

ეროვნული მოძრაობა ხელისუფლების სათავეში. პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნა ხანმოკლე, თუმცა მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა. ამ პერიოდში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყანაშ აირჩია პირველი პრეზიდენტი, გამწვავდა და შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, დაპირისპირება თბილისის ცენტრში ე. წ. “თბილისის ომსა” და, შემდეგ, სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელსაც შედეგად ეროვნული ხელისუფლების დამხობა და პრეზიდენტის ქვეყნიდან გაქცევა მოჰყვა.

“მრგვალის მაგიდის” ხელისუფლებისა და ზემოად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შეინიშნება გარკვეული ცვლილებები ქართულ ნაციონალურ პროექტში, რომელმაც სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა და მეტად ინკლუზიური გახდა. ეს ზემოთ განხილული “მრგვალი მაგიდის” პოლიტიკური კონცეპციიდანც ჩანს, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წლის მაისში მიიღეს. მიუხედავად ამისა, ზემოად გამსახურდიას გაუჭირდა ეროვნული მოძრაობის ლიდერის როლიდან გამოსვლა, რასაც აუცილებად გულისხმობდა დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობა. ხელისუფლებაში ყოფნის დროს მას კვლავ ახასიათებდა იმპულსურობა, მუდმივად მტრების ძიება და განსხვავებულ აზრთან შეურიგებლობა. ეს ტენდენცია, ისედაც უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ამ ეპოქის საქართველოში არ არსებობდა დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის გამოცდილება. ამას ემატებოდა ის, რომ საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით, მისი ლიდერი წლების განმავლობაში ოფიციალურ სტრუქტურებთან მწვავე დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ, ფაქტობრივად მოუმზადებლად, ეს ადამიანები ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ და თავად მოუხდათ სახელმწიფო სტრუქტურების მართვა/შენება. ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობის გარიურაჟზე საქართველოში არსებული სირთულეები დიდწილად ობიექტური რეალობის შედეგია, თუმცა ამ პერიოდის ქართული ნაციონალური პროექტის მარცხს და სამოქალაქო დაპირისპირებას სუბიექტურმა ფაქტორებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ქართული ნაციონალური პროექტის წინააღმდეგობრიობა ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ზემოქმედების შედეგია.

1990 წლის 8 ნოემბერს, არჩევნების ჩატარებიდან სულ მცირე ხანში, გამოქვეყნდა ზეიად გამსახურდიას მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი.<sup>44</sup> აჭარაში მრგვალი მაგიდა დამარცხდა და არჩევნებში ხმათა უმრავლესობა (56 პროცენტი) კომუნისტურმა პარტიამ მიიღო. ასეთ შედეგს გამსახურდია აბრალებდა “პროვოკატორებს”, რომლებიც დადიოდნენ აჭარის მოსახლეობაში, ავრცელებდნენ ეროვნული მოძრაობის მაკომპრომეტირებელ ჭორებს და “მრგვალ მაგიდას” სახელს უტეხდნენ. ხელისუფლებაში მოსული ზეიად გამსახურდია ლოიალური იყო მოწინააღმდეგების მიმართ, მოუწოდებდა მათ წარსულის დავიწყებისა და მომავალი თანამშრომლობისკენ: “დავიწიწყოთ წარსული ცოდვები, ამ წუთისოფელში ერთმანეთს ნულარ ვაწყენინებთ, ნულარ გავწირავთ...” მსგავსი შემწყნარებლობა და შემრიგებლური ტონი, უკვე ხელისუფლებაში მოსული ეროვნული ძალის მხრიდან, მის ერთგვარ გახსნილობასა და ლოიალურობაზე მიუთითებს, თუმცა ამ წერილში გამსახურდია კვლავ საუბრობდა ქართველი ერის განსაკუთრებულ მისიაზე, რომელიც მას კაცობრიობის წინაშე აკისრია. არჩევნებში გამარჯვებას იგი არა ობიექტურ რეალობას და რაციონალურ ფაქტორებს, არამედ განგებას მიაწერდა, რადგან “იმპერიის მიერ დანაწევრებულ, დამონებულ” საქართველოს ამ მისიის შესრულება არ შეეძლო. გამსახურდია ხაზს უსვამდა აჭარის მკვიდრთა განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, თუმცა ერთხელაც არ უხსენებია აჭარის მოსახლეობის განსხვავებული რელიგიური მიკუთვნებულობა. პირიქით, იგი აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ “აჭარა იყო ის პირველი კუთხი, რომელმაც პირველმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში, მიიღო ქრისტიანობა და საფუძველი დაუდო ქართულ ხალხურ ქრისტიანობას – გიორგობასთან შერწყმულ ქრისტიანობას.”

ზეიად გამსახურდია ავტონომიის საკითხებაც შეეხო და აღნიშნა, რომ საქართველოში ავტონომია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას; ქართველთა ავტონომია საქართველოში დიდი შეუსაბამობაა და გასაუქმებელია. თუ ეროვნული მოძრაობის ლიდერობის პერიოდში გამსახურდიას დაუშვებლად მიაჩნდა საქართველოში ავტონომიების არსებობა და მათ სასწრაფოდ გაუქმებას მოითხოვდა, ამ შემთხვევაში იგი არაქართული

<sup>44</sup> გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“. 1990, № 123.

მოსახლეობისთვის ავტომოური წარმონაქმნების არსებობას დასაშვებად თვლიდა, თუმცა აჭარასთან მიმართებაში მისი ტონი შეუვალი იყო.

იმავე დღეებში, 13 ნოემბერს, გამოქვეყნდა ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან, რომელიც არჩევნების შედეგებს ეხება.<sup>45</sup> ამ ინტერვიუში “მრგვალი მაგიდის” ლიდერი კვლავ დაუბრუნდა არაქართული მოსახლეობის საკითხს და აღნიშნა, რომ არჩევნებამდე ეს მოსახლეობა დეზინფორმაციის მსხვერპლი იყო. მათ ეუბნებოდნენ, რომ, თითქოს, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში “მრგვალი მაგიდა” მათ ქვეყნიდან გაასახლებდა, მოუწყობდა გენოციდს და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

1990 წლის 14 ნოემბრის უზენაესი საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა “კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ”.<sup>46</sup> გარდამავალი პერიოდის გამოცხადების მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლების მომზადება იყო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ უკანონდ გამოაცხადა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის მთელი პერიოდი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკა 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ იქნა აღიარებული: “საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეუვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში.” მიუხედავად ამისა, უზენაესმა საბჭომ, ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე, სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით, ძალაში დატოვა საქართველოს სსრ კონსტიტუცია. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები “საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა”, “საქართველოს სს რესპუბლიკა”, “საქართველოს სსრ” შეიცვალა სიტყვებით “საქართველოს რესპუბლიკა”. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგელობაში იყო და ცნობდა საკავშირო კანონმდებლობას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის კანონებს. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უპირატესობა ენიჭებოდა ადგილობრივ კანონმდებლობას. აქვეა ცვლილებები

<sup>45</sup> გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”. 1990. № 125.

<sup>46</sup> გაზ. “ახალი საქართველო”. 1990. № 2-3.

საქართველოს სახელმწიფო გერბის, დროშისა და პიმის შესახებ, რომელიც ამტკიცებდა ახალ სახელმწიფო სიმბოლიკას.

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია. საინტერესოა სხდომაზე წაკითხული გამსახურდიას მიმართვა<sup>47</sup> უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებისადმი. იგი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც გამსახურდიამ, როგორც საქართველოს ახლად არჩეულმა ხელისუფალმა, ოფიციალურად პირველად მიმართა საზოგადოებას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოში ჩატარებულ მრავალპარტიულ არჩევნებს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად მიიჩნევდა, რომელშიც საზოგადოებამ მხარდაჭერა გამოუცხადა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს – ბლოკ “მრგვალ მაგიდას”. მისი სიტყვით, ეს გამარჯვება იყო არა ერთი და ორი წლის მუშაობის შედეგი, არამედ დაგვირგვინება იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც ეროვნული მოძრაობა ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან აწარმოებდა. თუმცა, უზენაესი საბჭო ჯერჯერობით თავს იკავებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისგან, რადგან ითვალისწინებდა საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ რეალიებს. “ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი შემზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით”. გამსახურდიას სიტყვა შეიცავს რაციონალიზმის ნიშნებს; უზენაესმა საბჭომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკას 1918-1921 წლების რესპუბლიკის მემკვიდრედ აცხადებდა, უარი თქვა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენაზე, რადგან გაჭირდებოდა მისი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე რეალობასთან. სწორედ ამიტომ, კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ ეფუძნებოდა უკვე არსებულ საქართველოს სსრ კონსტიტუციას.

ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებდა, რომ ეროვნული ხელისუფლება იბრძოლებდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, რომელიც უნდა დამყარებოდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ამ შემთხვევაშიც, ეროვნული მოძრაობის ლიდერობის პერიოდის მსგავსად, გამსახურდია აქცენტს ქართველების შელახულ უფლებებზე აკეთებს, რომელიც

<sup>47</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. № 3. 1990.

საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით უხეშად ირდვეოდა. მისი სიტყვით, ქართველთა შევიწროებამ და დისკრიმინაციამ პიქს განსაკუთრებით ისეთ რაიონებში მიაღწია, სადაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ არაქართული მოსახლეობის ეთნოკრატიები დაამყარა. მიმართვაში უურადღება გამახვილებულია ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე, რომლის სისტემატური დევნა აუტანელ პირობებში აყენებდა ქართულენოვან მოსახლეობას. ქართული ენის დაცნინება და რუსულის გაბატონება იწვევდა ქართველთა დისკრიმინაციას და არაქართული მოსახლეობის პრივილეგირებას. გამსახურდია აცხადებდა, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველო ოფიციალურად იქცა “ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თვისებრივ ლაბორატორიად, რასაც პქონდა ერთადერთი მიზანი: ქართველი ერის სრული ასიმილაცია მეზობელი ერების ხელოვნურად დაჩქარებული დემოგრაფიული ექსპანსიის გზით... უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში არაქართველი მოსახლეობის ხელში აღმოჩნდა ათასობით პექტარი საუკეთესო სავარგულები.” გამსახურდია ეყრდნობოდა ერთა შორის თანასწორუფლებიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს და აცხადებდა, რომ ქართველი ერის ამგვარი შევიწროება საკუთარ მიწა-წყალზე იყო საერთაშორისო სამართლის ყველა აღიარებული ნორმის დარღვევა და საერთაშორისო დანაშაული. “ამის გამო საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში...”, – აცხადებდა გამსახურდია. იგი მოითხოვდა საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღების დაჩქარებას, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ქართული მოსახლეობის უფლებების დაცვას და ზღვარს დაუდებდა უცხოელების დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში. გამსახურდია ამბობდა, რომ ქართველთა უფლებების დაცვის პარალელურად, უზენაესი საბჭო იზრუნებდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე: “ჩვენ არ უგულებელვყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ამასთან დაკავშირებით, განზრახული გვაქვს საქართველოში შევინარჩუნოთ ეროვნულ უმცირესობათა

არსებული ავტონომიები, ცხადია, უფრო მყარ კონსტიტუციურ სამართლებრივ საფუძვლებზე, ქართული მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.” – განაცხადა უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ

როგორც ვხედავთ, გამსახურდიას ძირითადი მიზანი ეთნიკური ქართველების უფლებების დაცვა იყო, რაც, ზოგადად, ჯდება მის მსოფლმხედველობაში, რომლის მიხედვით, ქართველები საუკუნეების განმავლობაში იჩაგრებოდნენ და ახლა დადგა დრო, როდესაც მათ საკუთარი უფლებები უნდა აღიდგინონ და ის მისია განახორციელონ, რომელიც ისტორიამ და განგებამ დააკისრა. გამსახურდიას რიტორიკა პირდაპირ არ არის მიმართული ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრისკენ, თუმცა ქართველი ეთნოსის უფლებების დარღვევაზე და არაქართველების პრივილეგირებაზე ხაზგასმით საუბარი, ვფიქრობთ, ქართული ნაციონალური პროექტის ეთნიკურ შინაარსზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია აქცენტს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზეც აკეთებს და არსებული ავტონომიების შენარჩუნებაზეც საუბრობს, საგარუდოა, რომ მისი მიმართვის ძირითადი გზავნილები საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში გარკვეულ შიშს და დაუცველობის შეგრძნებას დაბადებდა.

ზოიად გამსახურდიას სიტყვაში ჭარბად არის რელიგიური რიტორიკა, ჩანს მჭიდრო კავშირი ამ პერიოდის ქართულ ნაციონალიზმსა და ეკლესიას შორის: “ჩვენი მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით უდმერთობისა და უსამართლობის უკუნეო დამეს, ჩვენს მართალ საქმეს განგება მფარველობს და ამიტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით, უდმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით, ქართველი ერის გზა სათხოების გზაა, სიქველის გზაა, სიყვარულის გზაა, ქრისტეს გზაა, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. კურთხეულ იყოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო!”

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გამსახურდიას რადიკალური დამოკიდებულებები და ეთნიკური ქართველების დაჩაგრულ მდგომარეობაზე ხაზგასმით საუბარი, ერთგვარად, გაზავდა ეროვნული უმცირესობების

უფლებებზე ზრუნვის და შემწყნარებლობის რიგორიკით. ამ ტენდენციამ მისი შეხედულებების წინააღმდეგობრიობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ასევე გვიჩვენა, რომ დროის მცირე მონაკვეთში ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა.

აღნიშნულ წინააღმდეგობრიობაზე მიუთითებს ამერიკელი ჟურნალისტი ედმუნდ სტივენსი ინტერვიუში, რომელიც მან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისგან 1990 წლის 7 დეკემბერს აიღო.<sup>48</sup> ჟურნალისტის აზრით, წინააღმდეგობრივი იყო ზვიად გამსახურდიას ნაბიჯები, როდესაც მან ჯერ ბოიკოტი გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტს დანიშნულ უზენაესი საბჭოს არჩევნებს და მოითხოვა, რომ არ ორგანოს თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინა, ხოლო შემდეგ, მალევე, გამსახურდიას ბლოკმა არათუ მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, არამედ თავად გამსახურდია იმ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, რომლის ლიკვიდაციასაც სულ რამდენიმე თვის წინ მოითხოვდა.

ამერიკელი ჟურნალისტის შეხედულებით, წინააღმდეგობრივი იყო ეროვნული საკითხისადმი გამსახურდიას დამოკიდებულებაც. 1988 წლის 1 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ მან მიიღო ცნობები, თითქოს, საქართველოს მთავრობას აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანისთვის გადაცემა პქონდა განზრახული და დააყენა საკითხი, აზერბაიჯანელები გასახლებულიყვნენ იმ მიწა-წყლიდან, რომელიც მათ უკანონოდ პქონდათ მითვისებული. იმავე წლის 11 ნოემბერს გამსახურდიამ მოუწოდა ოსებს, წასულიყვნენ საქართველოდან, თუ არ სურდათ ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება. ასევე, 1989 წელს ზვიად გამსახურდია საუბრობდა აჭარელი სეპარატისტების ალაგმვაზე და მესხეთელი თურქების საქართველოში ჩამოსახლების დაუშვებლობაზე. მისი განცხადებით, ეროვნული მოძრაობა არ დაუშვებდა არც ერთი თურქის ან თურქული ეროვნული ცნობიერების მატარებელი ადამიანის საქართველოში ჩასახლებას. უფრო მეტიც, ქართველი ხალხი იბრძოლებდა ასეთების თურქეთში რეპარიაციისთვის.

ედმუნდ სტივენსი მიუთითებდა, რომ ახლა, ოფიციალური პრესისთვის გაკეთებულ განცხადებებში, გამსახურდია ამბობდა, რომ ქართველი ხალხისთვის

<sup>48</sup> გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა» № 2. 1990.

უცხოა ეთნიკური სიძულვილი და რომ აუცილებელია პელსინკის შეთანხმებისადმი ერთგულება. უურნალისტმა პკითხა გამსახურდიას, თუ როგორ ახსნიდა ესოდენ პოლარულ გამონათქვამებს. პასუხად, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი დამოკიდებულებები არანაირ წინააღმდეგობებს არ შეიცავდა. თუმცა გამსახურდია კვლავ რადიკალური ფორმით საუბრობდა, რომ აზერბაიჯანიდან და ოსეთიდან “ჩამოსახლებულთა გარკვეული ნაწილი და სხვა გადამთიელები აგრესიულად იქცევიან და ფეხქვეშ თელავენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მას;” ისინი ასევე ცდილობენ, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა და მოქალაქეთა სიცოცხლე. საკუთარ მიწა-წყალზე ქართველების შევიწროება საერთაშორისო დანაშაულია. როგორც ვხედავთ, გამსახურდია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს კვლავ გადამთიელებად მოიხსენიებს და მათ საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად არ მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოში ეთნიკური პრობლემების გადვივებაში დამნაშავე გარე ძალებია და, როგორც კი მათი ჩარევა შეწყდება, პრობლემები თავისთავად მოგვარდება. ამის დასტურად მას საქართველოს ისტორია მოჰყავს და აცხადებს, რომ “ჩვენში ოდითგან, მრავალი საუკუნის მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი თანაცხოვრება.”

მართალია, ზვიად გასახურდიას დამოკიდებულებები წინააღმდეგობრივია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობები განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლად არსებობის პირველ ნაბიჯებს დგამდა. წინააღმდეგობრივი იყო როგორც საქართველოში, ასევე მის გარშემო არსებული ვითარებაც – ქვეყნის ხელისუფლებაში ეროვნული ძალა მოვიდა, რომელსაც ურთიერთობა უხდებოდა ცენტრთან, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან, რომლის შემადგენლობაშიც ჯერ კიდევ იმყოფებოდა საქართველო. ეს ფაქტი ხელსაყრელ ფონს ქმნიდა იმ რადიკალური რიტორიკისთვის, რომელიც გამსახურდიამ წლების განმავლობაში ათვისა და არ ეთმობოდა. ამავე დროს, იგი იძულებული იყო, ნაწილობრივ მაინც დამორჩილებოდა კონიუნქტურას, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნა გულისხმობდა. ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა 1990 წლის 28 ოქტობრის არჩევნების შემდეგ ნამდვილად შეიძინა სამოქალაქო მახასიათებლები, თუმცა

არ დაუკარგავს ის ეთნიკური საწყისები, რომელსაც 1980-იან წლებში დაეფუძნა. შესაბამისად, საქართველოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მომავალი განვითარების მოდელი ეპლექტური, ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი იყო.

სელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა გამსახურდიას დამოკიდებულებები საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებაშიც შეინიშნება გარკვეული დინამიკა: 1991 წლის 31 მარტის ოფიციალური წინ, როდესაც წყდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება/არგამოცხადების ბედი, გამსახურდიამ განაცხადა, რომ მოქალაქეობას მიიღებდნენ საქართველოს მხოლოდ ის მცხოვრებლები, რომლებიც მხარს ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირდნენ. ინტერვიუს მიმდინარეობისას, უზრნალისტმა სცადა გაურკვია, თუ რა კავშირი იყო ოფიციალური წმის მიცემასა და საქართველოს მოქალაქეობას შორის, რამდენად იყო გარანტია, რომ წმის მიცემა იქნებოდა საიდუმლო და მისი შედეგები არ იმოქმედებდა პიროვნების შემდგომ ცხოვრებაზე. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პასუხი კატეგორიული იყო: მისი შეხედულებით, არც ერთ ქვეყანაში არ აძლევენ მოქალაქეობას იმ პირებს, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი სახელმწიფოსადმი, ერისადმი, ცუდ მიზნებს ისახავენ და პატივს არ სცემენ ენას, სუვერენიტეტს, “ასე რომ, ნურავის უკვირს, თუ ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ.”<sup>49</sup> რთულია იმაზე საუბარი, რა მექანიზმებით აპირებდა საქართველოს სელისუფლება იმის გარკვევას, თუ ვინ დაუჭირა მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობად და ვინ – არა.

მომდევნო პერიოდში გამსახურდიას განცხადებები გაცილებით ლოიალურია, იგი ემსერობა საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობისთვის მოქალაქეობის მინიჭებას. 1991 წლის 28 ივნისს მიცემულ ინტერვიუში გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა პირი, ეროვნების მიუხედავად, მიიღებდა საქართველოს მოქალაქეობას, მომავალში კი შემოღებული იქნებოდა გარკვეული ვადა, დაახლოებით 5 წელი, რომლის საქართველოში გატარების შემდეგ პირს მიენიჭებოდა ქვეყნის მოქალაქეობა. ამ შემთხვევაში, გამსახურდია, სავსებით მართებულად, სელმძღვანელობდა დემოკრატიულ ქვეყნებში მიღებული სტანდარტით.<sup>50</sup> იმავე

<sup>49</sup> გაზ. „საქართველოს ოქსპუბლიკა“. № 62-63. 1991.

<sup>50</sup> გაზ. „საქართველოს ოქსპუბლიკა“. № 124-125. 1991.

წლის ზაფხულში ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ “რესპუბლიკის ყოველი მუდმივი მცხოვრები საქართველოს მოქალაქე იქნება.”<sup>51</sup>

საბოლოოდ, 1991 წლის ივლისში მთავრობამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც, საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად, მოქალაქეობას ანიჭებდა რესპუბლიკის ყველა მაცხოვრებელს. სტივენ ჯონსის სიტყვით, ეს კანონი, თავისი ლოალურობით, აღემატებოდა ლატვიასა და ესტონეთში მიღებული კანონებს. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილებს ასევე ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეობა (ჯონსი 2013: 92).

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ქვეყანაში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესების პარალელურად, ხელისუფლება ამზადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა ხელისუფლებამ საერთო-სახალხო რეფერენდუმით გადაწყვიტა, რომელზეც ხალხს მხარი უნდა დაეჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. რეფერენდუმის ჩატარების წინ მთავრობის რიტორიკა, რომელსაც ჭირდებოდა ეროვნული უმცირებების მხარდაჭერა, კიდევ უფრო ინკლუზიური და სამოქალაქო მახასიათებელთა მატარებელი გახდა. ამის დასტურია ზვიად გამსახურდიას მიმართვა სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობისადმი, რომელიც 1991 წლის 30 მარტს, რეფერენდუმის წინა დღეს გამოქვეყნდა.<sup>52</sup>

მიმართვის დასაწყისში გამსახურდია ხოტბას ასხამს საქართველოში მცხოვრებ სომხებს და მათ მთელ ქვეყანაში უნიკალური შრომისმოყვარეობით განთქმულ თანამოქალაქეებს უწოდებს, რომლებიც უმძიმეს პირობებში თავდადებული შრომით ამრავლებდნენ ქვეყნის სიმდიდრეს. გამსახურდიას სიტყვით, რეფერენდუმში სიტყვა “დიახ” ნიშნავს იმას, რომ საქართველომ მოიპოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. ““დიახ” – ნიშნავს მივცეთ ხმა ყველა მოქალაქის თანასწორ მოქალაქეობრივ უფლებებს, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად.” გამსახურდია უმცირესობების წარმომადგენლებს ჰპირდება, რომ, ტოტალიტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, მათთვის გარანტირებული

<sup>51</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 130. 1991.

<sup>52</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 61. 1991.

იქნება გაცილებით მეტი თავისუფლება და უსაფრთხოება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი მოუწოდებს სომებს მოსახლეობას, რომ გამოიჩინოს მოთმინება და გადადგას გონივრული ნაბიჯები საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე. “მხოლოდ ჩვენ, ერთად თუ გამოვავლენთ სოლიდარობას, სურვილს, გავუგოთ ერთმანეთს დიალოგის გზით, შევძლებთ ავაშენოთ ჩვენი დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველო.”

მიმართვაში ზვიად გამსახურდია ეხება მის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღება დაკავშირებულია რეფერდუმში მონაწილეობასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერასთან. იგი არ უარყოფს საკუთარ ნათქვამს და ამ მოსაზრების საინტერესო ახსნას გვთავაზობს, რომელიც, ვფიქრობთ, შეესაბამება სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებს: “ცივილიზებულ მსოფლიოში მოქალაქეობას იღებენ მაშინ, როდესაც არის ურთიერთვალდებულებებისადმი მზადყოფნა: პოტენციური მოქალაქისა – სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოსი – მოქალაქის წინაშე. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქეობის მიღება გულისხმობს ქვეყნის ენისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას. ეს ის ბალანსია, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მოქალაქეობა ფორმალური არ იყოს. თანასწორობა უფლებებში შეუძლებელია მოვალეობებში თანასწორობის გარეშე.” ეს მიდგომა ნამდვილად პასუხობს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერდამოკიდებულების თანამედროვე პრინციპს, რომელიც დასავლური სამოქალაქო ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებლად მიიჩნევა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ამ შემთხვევაში, სომხებს “ჩვენ” ჯგუფის წევრებად განიხილავს და მათზე, როგორც უცხოელებზე საუბარი კატეგორიულად მიუდებლად მიაჩნია.

ზვიად გამსახურდია ეხება პრეფექტების (ადგილობრივის ხელისუფლების ხელმძღვანელები) საკითხს. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრეფექტებად ეთნიკურად ქართველები ინიშნებოდნენ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. გამსახურდიას შეხედულებით, ეს არ უნდა იყოს უკმაყოფილების საფუძველი. საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად, იგი საქართველოს ისტორიას იშველიებს, როდესაც საქართველოში რომელიმე ქალაქის მეთაურად, სადაც უმრავლესობას

ქართველები შეადგენდნენ, ეთნიკურად სომები ინიშნებოდა, ეს არ იყო ქართული მოსახლეობის უკმაყოფილების საფუძველი. “მთავარია, რომ ეს ხელმძღვანელები იყვნენ კომპეტენტური, წმინდა, პატიოსანი ადამიანები.” გაამსახურდია თვლის, რომ უკელაფერი ისე გადაიჭრება, როგორც ხალხს სურს – ურთიერთგაბებისა და დიალოგის გზით.

“თუ იქნება დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, სოციალურად დაცული იქნება ჩვენი მრავალეროვანი ოჯახის თითოეული წევრი”, – აცხადებდა გამსახურდია. იგი მოუწოდებდა საქართველოს სომებ მაცხოვრებლებს, ერთხმად მიეცათ ხმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. “როგორც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან არის ცნობილი, საქართველოში მცხოვრები სომხები, გაჭირვების უამს, მუდამ იარაღით ხელში ქართველებთან ერთად იცავდნენ ჩვენს ქვეყანას. ახლა თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება. დარწმუნებულები ვართ, რომ მხარს დაგვიჭროთ”.

იმავე პერიოდში გამოქვეყნდა გამსახურდიას მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, რომელიც, ადრინდები დამოკიდებულებებისაგან განსხვავებით, გაცილებით ტოლერანტულია.<sup>53</sup> გამსახურდია აღიარებს აფხაზი ხალხის “ეროვნულ და კულტურულ უფლებებს, სახელმწიფოებრიობას, ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს” და ეველა გაუგებრობას აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილ ხელისუფლებას აბრალებს, რომელსაც არ სურს თბილისთან არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. აქვე რადგან აფხაზეთთან დაკავშირებით ვსაუბრობთ, მცირედით გავუსწროთ მოვლენებს და შევეხოთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ხელშეწყობით 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ კანონს “აფხაზეთის ასერ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”<sup>54</sup>. ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ეთნიკურად აფხაზებს დაეთმოთ 28 ადგილი, ხოლო ქართველებს – 26, მაშინ, როდესაც ქართველები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 46%, აფხაზები კი 17% შეადგენდნენ. ეს ფაქტი, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო მიდგომის უკიდურესი გამოვლინებაა, რომელმაც გამსახურდიასადმი დამოკიდებულებების პარადოქსულობაც განაპირობა. მაგალითად, თუ ჯაბა იოსელიანი, ერთი მხრივ,

<sup>53</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №48, 1991.

<sup>54</sup> კანონში მიღებული შესწორებები იხ. ბმულზე: <http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/10/47.pdf>

გამსახურდიას პრიმიტიულ ნაციონალიზმსა და ფაშიზმში ადანაშაულებს, მეორე მხრივ, აღნიშნულ კანონს “აპარტეიდულს” უწოდებს და ზოიად გამსახურდიას ბრალს სდებს ეთნიკური ქართველების უფლებათა უგულებელყოფაში (იოსელიანი 2013: 19, 129).

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყო საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: “თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?” რეფერენდუმში მონაწილეობა სამი მილიონ სამასიათასზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო. გამოკითხულთა 98 პროცენტმა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა რესპუბლის არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამ (ჯანელიძე 2009: 20). როგორც ჩანს, გამსახურდიას შემწყნარებლურმა რიტორიკამ და მოწოდებებმა, რომელსაც დამოუკიდებლობის მოახლოებით გამოწვეული ეიფორია ემატებოდა, გავლენა ეროვნულ უმცირესობებზეც მოახდინა. რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებულიყო 1991 წლის 9 აპრილს. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება ორი წლით ადრე, მიტინგის დარბევის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად მიიღო.

რეფერენდუმის წარმატებით ჩატარებიდან რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ, მაღალი ემოციური ფონის და გამარჯვებით გამოწვეული ეიფორიის გავლენით, საქართველოს ხელისუფლებამ უკიდურესად არარაციონალური გადაწყვეტილება მიიღო – ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იმუქრებოდა, რომ ამ ნაბიჯით რუსეთს დაახოქებდა. მისი განმარტებით, ეს საბჭოთა კავშირის მიერ ოსური სეპარატიზმის მხარდაჭერის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო. რომან გოცირიძის სიტყვით, საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა გააზრებული, თუ რა ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდა მაშინდელ საქართველოს – რა გაჰქონდა რუსეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და რა შემოჰქონდა საპასუხოდ, რა შედეგს გამოიღებდა ეკონომიკური ბლოკადა, ჩვენ დავზარალდებოდით უფრო თუ საბჭოთა კავშირი. “ასეთი გადაწყვეტილებები, ძირითადად, ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მიზანშეწონილობით. იმ დროს პოლიტიკა განსაზღვრავდა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებას, მაგრამ იმ დროს საქართველოში არ არსებობდა პოლიტიკა.”

დაახლოებით 25 დღეში, რომლის განმავლობაშიც ეს ბლოკადა გრძელდებოდა, საქართველომ ოთხასი მილიონი მანეთის ზარალი ნახა, რამაც ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენა.<sup>55</sup>

ამრიგად, საქართველო დამოუკიდებლობას უკიდურესად მძიმე ვითარებაში შეხვდა, თუმცა ამას არ უმოქმედია იმ საზეიმო განწყობაზე, რომელიც ქვეყანაში სუფევდა. 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. საქართველოს უზენაესი საბჭო დაეყრდნო 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის უზენაეს ნებას და აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძვლზე.

ზვიად გამსახურდიამ, საკუთარი გამოსვლის დროს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უშუალოდ დააკავშირა 1989 წლის 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებთან: “სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცემიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ ადსრულდა ნება მათი, ადსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!”

დამოუკიდებლობის აქტში ცალკე აბზაცი ეთმობა უმცირესობათა უფლებებს: “საქართველოს რესპუბლიკა, ისტრაფვის რა დაიკავოს დირსეული ადგილი მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.”<sup>56</sup>

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დამოუკიდებლობის აქტის პრაქტიკული განხორციელების მიზნით, ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს პრეზიდენტის პოსტის შემოღება. 1991 წლის 14 აპრილს უზენაესი საბჭოს სესიამ ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად აირჩია,

<sup>55</sup> მასაღები ეკონომიკური ბლოკადის შესახებ იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”.

<sup>56</sup> გახ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №70, 1991.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობა კი აკაკი ასათიანს დაეკისრა. იმავე სესიის გადაწყვეტილებით, 1991 წლის 26 მაისს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები მიუხედავად სხვა კანდიდატების არსებობისა, ნათელი იყო, რომ სახელისუფლებო კანდიდატი ზვიად გამსახურდია უალტერნატივო გახლდათ.

1991 წლის 22 მაისს გამოქვეყნდა პრეზიდენტობის კანდიდატი ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა, სადაც მოცემულია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც მას ექნებოდა პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში.<sup>57</sup> პროგრამის შესავალ ნაწილში კვლავ არის საუბარი იმაზე, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში დაკნინებულ, დაჩაგრულ მდგომარეობაში იყო და დღეს უნდა აღიდგინოს საკუთარი ისტორიული მისია, რომელიც გამოიხატება “დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგადსაკაცობრიო ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელის შეწყობასა და რეგიონში სტაბილური ვითარების უზრუნველყოფაში.” საქართველოს უნდა განახორციელოს ამ ორი სამყაროს სინთეზი და ასევე იკისროს კავკასიის ხალხთა გამაერთიანებლის როლი, რომელიც მას ასევე ისტორიულად ჰქონდა.

ზვიად გამსახურდია პოლიტიკური რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად “საქართველოს მოქალაქეთა და ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვას” აცხადებდა. აქვე საუბარი იყო საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონზე, რომელიც, კანდიდატის აზრით, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო (ეს ასეც მოხდა, როგორც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

საარჩევნო პროგრამაში ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი საქართველოს მოქალაქეთა ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვას, სადაც გვითხულობთ: “საპრეზიდენტო ხელისუფლებამ ურთიერთპატივისცემის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა განვითარების შესაძლებლობა. მიიღება კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებისათვის გარანტირებული იქნება: მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ეროვნული კულტურის განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით სათვისტომოებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გაერთიანების, მშობლიურ ენაზე ბეჭდვისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების

<sup>57</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №99-100. 1991.

უფლებები. საქართველოს მოქალაქეთა უფლება - მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში - არ შეიზღუდება მათი ეროვნული კუთვნილების გამო. ამასთან, ყოველი მოქალაქე და, მათ შორის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ვალდებული იქნება, პატივი სცეს და დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ინტერესები.”

ასეთ წინასაარჩევნო გზავნილს წუნს ვერ დადგებდნენ ყველაზე განვითარებული დასავლური დემოკრატიების წარმომადგენლებიც. როგორც ვხედავთ, საპრეზიდენტო მმართველობის დასაწყისში ზვიად გამსახურდიამ მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა და მისი რიტორიკა (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური) უკვე გამოხატულად სამოქალაქო ხასიათს ატარებდა. ამავე დროს, გამსახურდია კვლავ მჭიდროდ აკავშირებდა ეროვნულ მოძრაობას და რელიგიას. ქვეთავში “სახელმწიფო და ეკლესია” საუბარია, რომ ეროვნული მოძრაობა, თავისი საწყისებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიის წიადთან. “თავისი შინაგანი არსიო, ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით... ეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტი, მისი ძალაუფლება უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ, უმეტესწილად, რელიგიურ-ზნეობრივ საწყისებს.” ზვიად გამსახურდია მიზნად ისახავდა ერისა და საზოგადოების კონსოლიდაციას, თუმცა ამას საფუძვლად უნდა დადგებოდა არა პოლიტიკური, არამედ ეროვნული და სულიერი მოტივები. პროგრამის ეს პასაჟი ცალსახად მიუთითებს ქართული ნაციონალიზმის ეთნიკურ ხასიათზე, რადგან იგი უარყოფს სამოქალაქო ნაციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პოსტულატს – პოლიტიკური ერის ცნებას და ერის კონსოლიდაციის პოლიტიკურ საფუძველს სრულად ემიჯნება.

ამავე დროს, საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ ეს პრიორიტეტი არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უნდა ყოფილიყო სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მისცემოდა შესაძლებლობა, ყოფილიყო აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებდა. “მოქალაქეთა

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშით. ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.”

1991 წლის 26 მაისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც ზეიად გამსახურდიამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. მას ამომრჩეველთა 87 პროცენტმა დაუჭირა მხარი. 7 ივნისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია. საინტერესო გზავნილებს შეიცავდა გამსახურდიას მიერ ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვა.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა აღიარა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი ურთულესი იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის და ქვეყნის მართვა გაცილებით რთულია, ვიდრე ეროვნული მოძრაობის ლიდერობა. “უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით, შეუდარებლად უფრო ადვილი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება” (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 15)

ზეიად გამსახურდიას საინაუგურაციო სიტყვა, ერთი მხრივ, ჭარბად შეიცავს რელიგიურ მოტივებს, მიმართულია ეთნიკური ქართველების განდიდებისკენ, ხოდო მეორე მხრივ, პრეზიდენტი საუბრობს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე და მათ როლზე სახელმწიფოს შენების პროცესში. სტიქენ ჯონსის სიტყვით, მგზნებარე რევოლუციონერიდან თვალის დახამხამებაში პრეზიდენტად გარდაქმნილი გამსახურდია არაქართველებს სრულ კულტურულ დაცვას პირდებოდა (ჯონსი 2013: 92).

გამსახურდია, ნაწილობრივ, კვლავ თავისი მსოფლმხედველობის ერთგულია, ამბობს რა, რომ მნიშვნელოვანია არა ამქვეყნიური, ფიზიკური კეთილდღეობა, არამედ “სულისმიერი ეროვნული აღორძინება”, რაც “საკუთარი ჭეშმარიტი მეობისკენ მიბრუნებას ნიშნავს.” როგორც წინასაარჩვნო პროგრამაში, ამ შემთხვევაშიც, ზეიად გამსახურდია მჭიდროდ აკავშირებს რელიგიას და ქართულ ნაციონალიზმს. მისთვის ეროვნული მოძრაობა რელიგიური მოძრაობაცაა (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 22). პრეზიდენტის სიტყვით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, მართლმადიდებლობა სახელმწიფო

რელიგიად უნდა იქცეს. ამ პრიციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება, იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. ამავე დროს, გამსახურდია აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტების უფლებებს. თითოეულ პიროვნებას მიეცემა უფლება, იყოს აღმსარებელი იმ რელიგიისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 23).

პრეზიდენტისთვის ქართველ ერს ისევ მხოლოდ ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ, თუმცა იგი კმაყოფილია საპრეზიდენტო არჩევნებში არაქართველი მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერით. “ანტიქართული პროპაგანდის პირობებში ჩატარებულმა არჩევნებმა მსოფლიოს წინაშე დაამტკიცა, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს აქვს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ყველა უფლება, არამედ არსებობისთვის ესოდენ აუცილებელი კულტურული სივრცეც, რომლის გარეშეც ვერც ერთი ეროვნული უმცირესობა ვერ იარსებებს და რომლის გარანტირებაც არ შეუძლია არც ერთ დაწერილ კანონს.” პრეზიდენტის სიტყვით, არჩევნებმა გამოხატა “ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის ნებისა და ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკური გეზის ჰეშმარიტი ერთიანობა” (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 16).

საინაუგურაციო სიტყვიდან მკაფიოდ ჩანს გამსახურდიას შეცვლილი დამოკიდებულება აფხაზების მიმართ. იგი აფხაზების, როგორც საქართველოს მკვიდრი ერის პოლტიკური უფლებების აღიარებას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძვლად მიიჩნევს. “საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციით გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა.” პრეზიდენტი ასევე საუბრობს აჭარის ავტონომიაზე და თვლის, რომ ავტონომიური სტატუსის ბედი თავად აჭარის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 20).

საინაუგურაციო სიტყვის დასასრულს, გამსახურდია, უპვე ტრადიციულად, საქართველოს გზას სარწმუნოების და თავისუფლებისთვის ბრძოლის მოწამეობრივ გზას უწოდებს, ქრისტეს გზას. იგი გამოთქვამს მზადყოფნას,

დაუბრუნოს საქართველოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 28).

როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში გამსახურდიას შეხედულებები უკვე შეიცავს სამოქალაქო ნაციონალიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს, თუმცა მათი წინააღმდეგობრივი ხასიათი კვლავ აშკარაა. საპრეზიდენტო მმართველობის დასაწყისში, რომელიც, ამავე დროს, მისი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისიც იყო, საქმე უკვე სახეშეცვლილ ლიდერთან გვაქვს.

ქართული ნაციონალური პროექტის გარეგნული ტრანსფორმაციისა და ზვიად გამსახურდიას სამოქალაქო რიტორიკის ზრდის პროპორციულად, იზრდებოდა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე. ოპოზიცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებდა განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობაში, დემოკრატიის უგულებელყოფასა და დიქტატორულ მისწრაფებებში, მცდარ საკადრო პოლიტიკაში, რაც მადალ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პიროვნებათა პირადი ერთგულების და არა პროფესიონალიზმის ნიშნით დანიშვნაში გამოიხატებოდა. ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში, პოლიტიკური ორგანიზაციების გარდა, თავს იყრიდნენ ყოფილი ბიუროკრატიის წარმომადგენლები, გასამხედროებული გაერთიანებები (მაგალითად, “მხედრიონი”), ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვანი. ხელისუფლებასთან დია კონფრონტაციაში იყვნენ მისი ყოფილი მოკავშირეები ეროვნული კონგრესიდან. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ჯანელიძე 2009: 207).

1991 წელს განხეთქილება მოხდა თავად უმაღლეს საბჭოში. დაშლა დაიწყო მმართველმა უმრავლესობამ – ბლოკმა “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”. გაერთიანებას გამოეყო “მერაბ კოსტავას საზოგადოება”. ოპოზიციურ ფრაქციად ჩამოყალიბდა დეპუტატთა ჯგუფი, რომელსაც “ქარტია 91” ეწოდა.

მდგომარეობა განსაკუთრებით 1991 წლის ზაფხულში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე რთული პროცესების ფონზე დაიძაბა. 1991 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში განხეთქილება მოხდა, რომელიც “აგვისტოს პუტჩის” სახელითაა ცნობილი. 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირის

პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი აპირებდა მოკავშირე რესპუბლიკებთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ცენტრის უფლებამოსილებას. კავშირის ძველი სახით შენარჩუნების მომხრე კონსერვატულმა ძალებმა გადატრიალების მოწყობა სცადეს, გორბაჩოვს ძალაუფლება ჩამოართვეს და შექმნეს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი (გქჩ). კომიტეტმა რესპუბლიკებისგან მორჩილება მოითხოვა და მათ გარკვეული მოთხოვნები წაუყენა. საქართველოს ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია საგანგებო კომიტეტის მოთხოვნას და რამდენიმე კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო, მაგალითად, ეროვნულ გვარდიას სტატუსი შეუცვალა და ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაიყვანა. ამან ეროვნული გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი გაანაწყენა. მან უარი განაცხადა პრეზიდენტის ბრძანების შესრულებაზე, თავის მომხრე ნაწილებთან ერთად რკონის ხეობაში დაბანაკდა და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. თანამდებობიდან გადადგა და ოპოზიციას შეუერთდა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. საბოლოოდ, მოსკოვის “აგვისტოს პუტინი” დამარცხდა, საქართველოში კი კონფრონტაციულმა პროცესებმა შეუქცევადი სახე მიიღო. ზვიად გამსახურდიას ნაბიჯების წინააღმდეგობრივი ხასიათი კიდევ ერთხელ მაშინ გამოჩნდა, როდესაც მან ჯერ ანგარიში გაუწია პუტინს თრგანიზატორებს, მისი დამარცხების შემდეგ კი, რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერის მოტივით, სართოდ აკრძალა საქართველოს კომუნისტური პარტია და კომპარტიის სიით უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატებს უფლებამოსილება შეუჩერა (ჯანელიძე 2009: 208).

პროცესების ესკალაცია 1991 წლის სექტემბრიდან დაიწყო. 2 სექტემბერს კინოს სახლთან გამართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპროტესტო მიტინგი ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით დაშალა, რასაც მასობრივი საპოტესტო ტალღის აგორება მოჰყვა. ოპოზიცია გამსახურდიას გადადგომას და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას მოითხოვდა. დაიწყო რუსთაველის გამზირზე ბარიკადების აგება, რასაც გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა ნაცადი ხერხით, საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგებით უპასუხეს.

თენგიზ კიტოვანმა მისი ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილები ქალაქში შემოიყვანა და ოპოზიციის დაცვა იკისრა. პრეზიდენტმა კი თავის მხარდაჭერებს მთელ საქართველოში მოუწოდა, თბილისში მოეყარათ თავი.

ორივე მხარე გამალებით იარაღდებოდა და ყველაფერი სისხლისდვრისკენ მიდიოდა. ხელისუფლება მთავრობის სასახლეში გამაგრდა, ხოლო ოპოზიციურმა ძალებმა ბინა სასტუმრო “თბილისში” (დღევანდელი “თბილისი მერიოტი”) დაიდეს. 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო “თბილისის ომი”, რომელიც 1991 წლის 6 იანვარს გამსახურდიას და მისი მომხრეების მიერ თბილისის დატოვებით დასრულდა. საომარ დაპირისპირებაში გადამწყვეტი როლი ციხიდან გათავისუფლებულმა “მხდრიონის” ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა და მისი გაერთიანების წევრებმა ითამაშეს. დაიღუპა 100-ზე მეტი და დაიჭრა 600-მდე ადამიანი (ჯანელიძე 2009: 209). ბედის ირონით, თბილისში შეიარაღებულ დაპირისპირებას დროში დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლა – 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ლიდერებმა საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახემ გამოაცხადეს. ამ შეთანხმებას უკვე 21 დეკემბერს კიდევ 8 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შეუერთდა. საბჭოთა კავშირმა არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა.

პოზიტიური და ტრაგიკული მოვლენებით, წინააღდეგობებითა და დინამიკით სავსე გამსახურდიას ეპოქა სამოქალაქო ომით დასრულდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის გარიერაჟზე არსებულმა ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა მარცხი განიცადა. საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ ვერ შეძლო როგორ გარდამავალი პერიოდის მშვიდობიანად, სისხლისდვრის გარეშე დასრულება და ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა.

ზოიად გამსახურდია და ქართული ნაციონალიზმი. “საქართველო ქართველებისთვის?” 1992 წლის იანვარში Sunday Times-ის რედაქტორი მეთიუ კემპბელი ბაქოში დაუკავშირდა უკრნალისტ თომას გოლცს და ზვიად გამსახურდიასთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩასაწერად საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში ჩასვლა დაავალა. უკრნალისტს პრეზიდენტისთვის უნდა ეკითხა, თუ რას გრძნობდა პოსტიდან გადაყენების შემდეგ. რედაქტორსა და კორესპონდენტს შორის დიალოგს თომას გოლცი ასე იხსენებს:

- “უნდა წახვიდე და ის კაცი მოძებნო... რა ქვია? – იკითხა სავარძელში მოკალათებულმა მეთიუმ ლონდონიდან.
- ვის? – კითხვა შეგუბრუნე ოდნავ დაბნეულმა.

- ფაშისტი რომ პყავდათ... ახლახან რომ მოიშორეს, – ამისსნა მან, – შენ არ თქვი, აზერბაიჯანში იყო ჩამოსულიო? BBC-ზე გისმენდით” (გოლცი 2014: 3).

თომას გოლცს BBC-დან იმ მოარული ხმების გადასამოწმებლად დაურეკეს, რომელიც ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებას ეხებოდა. ამ ხმების თანახმად, თბილისიდან გაქცეული გამსახურდია აზერბაიჯანში გადასულა და თან წაუდია სახელმწიფო ხაზინიდან გატაცებული დიდალი ოქრო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხმები ოქროს გატაცების შესახებ დეზინფორმაცია ყოფილა და მიზანმიმართულად ვრცელდებოდა გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით (გოლცი 2014: 3). ზვიად გამსახურდია მართლაც გადავიდა აზერბაიჯანში და რამდენიმე საათის შემდეგ გეზი სომხეთისკენ აიღო. თომას გოლცმა საქართველოს პრეზიდენტის შესახებ მხოლოდ ეს იცოდა, თუმცა დასავლურ მედიაში იმდენად მწირი იყო ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებით, რომ, როგორც თავად ირონიულად აღნიშნავს, უმალ მოიპოვა “მსოფლიო აღიარება”, როგორც საქართველოს შესახებ ყველაზე ინფორმირებულმა ადამიანმა. BBC-თან ინტერვიუს დასრულების შემდეგ გადაცემის წამყვანმა გოლცი ასე მოიხსენია: “ეს იყო თომას გოლცი ბაქოდან, ექსპერტი საქართველოს საკითხებში” (გოლცი 2014: 4). ის, რაც გადმოიცა პოპულარული ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით, უმალ აიტაცა მსოფლიომ. ეს ფაქტი არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორი ზედაპირული და სტერეოტიპული იყო იმ პერიოდის დასავლეთში ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

1991 წლის შემოდგომაზე გამსახურდია ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა ეს იყო მეტწილად ნეგატიური ინფორმაციები. “ავტორიტარი”, “დიქტატორი”, “შეშლილი” – ეს ის ტერმინებია, რომლითაც მაშინ გამსახურდიას დასავლეთში მოიხსენიებდნენ. ეს შეფასებები რადიკალურად განსხვავდებოდა მის მიმართ საბჭოთა პერიოდში არსებული დამოკიდებულებებისგან: იმ პერიოდში გამსახურდიას, როგორც თავდადებულ დისიდენტს, ლამის ვაცლავ ჰაველის გვერდით აყენებდნენ (გოლცი 2014: 6).

შეხედულებამ “ფაშისტ” გამსახურდიასა და დამანგრეველ ქართულ ნაციონალიზმზე დასავლურ პოლიტიკურ, ჟურნალისტურ და აკადემიურ წრეებში ფეხი დრმად მოიკიდა. ამას ხელს უწყობდა კრემლი, თავისი პროპაგანდისტული

მანქანით, საქართველოში არსებული პრეზიდენტის ოპოზიცია და თავად საქართველოს ლიდერიც, თავისი წინააღმდეგობრივი რიტორიკით.

სტივენ ჯონსს მოტანილი აქვს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის სტროუბ ტალბოტის შეხედულება კავკასიის და საქართველოს შესახებ, რომელიც მან 1998 წელს ბუქარესტში სიტყვით გამოსვლისას წარმოთქა. ტალბოტის მოსაზრებით, ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ადგილი აქვს შუასაუკუნეობრივ ბრძოლებს წარმოშობისა და კულტურისთვის. ჯონსი არ ეთანხმება ამ შეხედულებას და თვლის, რომ ეს საკითხის გამარტივებული და სტერეოტიპული ხედვაა. ვეთანხმებით რა ამერიკელ მკვლევარს, მიგვაჩნია, რომ გამსახურდიას ცალსახად რადიკალ ნაციონალისტად, მით უმეტეს, ფაშისტად და დიქტატორად მონათვლა ნაკლებ აკადემიურია და მთლიანად უგულებელყოფს იმ უაღრესად როლ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც გამსახურდიას ეპოქის საქართველოში მიმდინარეობდა. მსგავსი შეხედულებების გავლენას საქართველოშიც განიცდის საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა ნაწილი. მაგალითად, ზოად გამსახურდიას მიეწერება ლოზუნგი “საქართველო ქართველებისთვის”, თუმცა არ არსებობს ფაქტი, თუ სად და როდის თქვა მან ეს ფრაზა.

1991 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობასთან შეხვედრისას, რომელთა უმრავლესობას ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენდნენ, ზოად გამსახურდიამ თავად უარყო ლოზუნგი “საქართველო ქართველებისთვის” და თქვა, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა საკუთარ დამოკიდებულებებს სწორი ახსნა მოუძებნა: “ის, რომ მიყვარს ჩემი ხალხი, არ ნიშნავს იმას, რომ მე მძულს სხვა ხალხები.”<sup>58</sup>

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ 1989 წლის ივნისში გამართული “სახალხო ფრონტის” ყრილობა. ამ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას გამსახურდიამ წარმოთქა ფრაზა “საქართველო არის ქართველების ქვეყანა”, თუმცა ამ ფრაზის კონტექსტიდან ამოგლეჯით განხილვა და მისი ლოზუნგად – “საქართველო ქართველებისთვის” – გასაღება არამართებულია. ეს იყო რადიკალური ეროვნული მოძრაობის კულტინაცია, სულ ორიოდე თვე იყო გასული 9 აპრილის სისხლიანი მოვლენებიდან, საზოგადოება და მისი უკომპრომისო ლიდერები განიცდიდნენ დამოუკიდებლობასთან მიახლოებით

<sup>58</sup> ზოად გამსახურდიას გამოსვლა იხ. ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=72KuwEHRF7s>

გამოწვეულ ძლიერ ქმოციას. ამას ემატებოდა ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული ზრუნვა ქართველების უფლებებზე, რომლებიც, მისი აზრით, საუკუნეების განმავლობაში იჩაგრებოდნენ. მისთვის პრიორიტეტული იყო ქართველ ერი, ამ ტერმინის ეთნიკური გაგებით. მართალია, ეს დამოკიდებულება ცალსახად ეთნიკური ნაცინალიზმის მახასიათებელია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, მოგვიანო პერიოდში მისი შეხედულებები შეიცვალა, მეტი ლოიალურობა და ინკლუზიურობა შეიძინა. როდესაც ვსწავლობთ პერიოდს, რომელიც უკიდურესი ცვალებადობით გამოირჩეოდა, აუცილებელია პროცესების დინამიკაში გაანალიზება. სხვა შემთხვევაში ეპოქის სრულყოფილი სურათის აღდგენა შეუძლებელი იქნება.

ზვიად გამსახურდიას გადაჭარბებულად ნებატიურ შეფასებებს არ ეთანხმება მისი ზოგიერთი მოწინააღმდეგებ. მაგალითად, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც, როგორც თავად ამბობს, გამსახურდიას მოწინააღმდეგებთა რიგებში იყო, 2011 წელს გამოცემულ ნაშრომში ცდილობს დროითი დისტანციიდან, ციფრი გონებით შეაფასოს განვლილი ეპოქა. მისი შეხედულებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დიქტატორად და ფაშისტად მონათვლა ნამდვილად გაზვიადებულია (გაჩეჩილაძე 2011: 330-332).

### **თავი 3. სამოქალაქო ნაციონალიზმის კონტურები (1992-2003)**

#### **3.1. რადიკალიზმიდან სტაბილურობისკენ – საქართველო 1992-1995 წლებში**

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყნის მართვის სადაცები ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომლის შემადგენლობაში სამი ადამიანი შედიოდა – “მხედრიონის” ლიდერი ჯაბა იოსელიანი, ეროვნული გვარდიის სარდალი თენგიზ კიბოვანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. სამხედრო საბჭომ დაითხოვა პარლამენტი და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება. ე. წ. “ტრიუმვირატის” მმართველობის დროს, რომელიც 1992 წლის მარტის დასაწყისამდე გაგრძელდა, საქართველოში გაღრმავდა ქაოსი და სამოქალაქო დაპირისპირება. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული მთავარი ბრალდება იყო ის, რომ მან ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა. სამხედრო საბჭომ სახელმწიფო გადატრიალება დემოკრატიის ლოზუნგით მოახდინა. სამოქალაქო ომისა და მის შემდგომ პერიოდში ჩატარებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრესკონფერენციების დროს სამხედრო საბჭოს წევრები ამბობდნენ, რომ მათ გაათავისუფლეს პრესა და ტელევიზია, გააუქმეს ცენზურა. მათი ფორმულა იყო “ყველას მინუს ერთი” – ანუ ყველას მინუს პრეზიდენტი გამსახურდია. რევოლუციონერების გაცხადებული მიზანი მოსახლეობის კონსოლიდაცია და პოლარიზებული საზოგადოების გაერთიანება იყო (იოსელიანი 2013: 51). მიუხედავად ასეთი მიზნებისა, სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდი განსაკუთრებული დაძაბულობით აღინიშნა. ქვეყანაში, ფაქტობრივად, გრძელდებოდა სამოქალაქო ომი და შეიარაღებულ ფორმირებებს შორის შეტაკებები. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან გაქცეულ პრეზიდენტს უჭერდა მხარს. გამსახურდიას მხარდამჭერები, ძირითადი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეცნიერო იუვნენ კონცენტრირებული, თუმცა დედაქალაქშიც აწყობდნენ მრავალრიცხოვან საპროტესტო დემონსტრაციებს. მათ ჯერ “დაუმორჩილებლობის კომიტეტი” ჩამოაყალიბეს, ხოლო შემდეგ – “საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტი” (ჯანელიძე 2009: 209).

დემოკრატიის ლოზუნგით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ დემოკრატიული წყობილების დამყარება მკაცრი მეთოდებით და “ძლიერი ხელით” გადაწყვიტა. ჯაბა იოსელიანმა საქართველოს ტელევიზიით ამცნო

საზოგადოებას, რომ “დემოკრატიას სიმაგრე ჭირდება და ის ლობიოლია არ არის”, რომ ყველანაირი მიტინგი იკრძალება და ადგილზე დაიხვრიტება ყველა, ვინც ახალ წესებს არ დაემორჩილება. “ჩვენ ვანახებთ, რა არის დემოკრატია” – განაცხადა იოსელიანმა.<sup>59</sup> მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა თებერვლის დასაწყისში, როდესაც თბილისში დაარბიეს გამსახურდიას მომხრეთა მიტინგი და დაიღუპნენ ადამიანები. ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, სამხედრო საბჭომ დასავლეთ საქართველოში “მხედრიონის” რაზმები გაგზავნა, რომლებსაც აქტიურად დაუპირისპირდნენ ექსპრეზიდენტის მომხრე ჯგუფები (ჯანელიძე 2009: 210).

თბილისსა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ბრძოლების პარალელურად, სიტუაცია აირია აფხაზეთში, სადაც გააქტიურდნენ აფხაზი სეპარატისტები. სამხედრო საბჭომ ძალის დემონსტრირება გადაწყვიტა და ავტონომიურ რესპუბლიკაში სამხედრო შენაერთები შეიყვანა. ქართულმა ჯარმა, გენერალ გია ყარყარაშვილის მეთაურობით, დემონსტრაციულად გაიარა მთელი აფხაზეთის ტერიტორია. მას სეპარატისტების მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. თავად ყარყარაშვილმა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ საზღვართან მდინარე ფსოუს წყალი დალია, რითაც სიმბოლურად აჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლება სიტუაციას სრულად აკონტროლებდა.<sup>60</sup> თუმცა, ეს კონტროლი უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე რეალური. ქვეყანაში არ არსებობდა სახელმწიფო ინსტიტუტები. სამხედრო საბჭოს ვითარების კონტროლი არათუ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც უჭირდა.

ახალი ხელისუფლების წინაშე გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია. საერთაშორისო თანამეგობრობა არ აპირებდა ძალადობრივი გზით მოსული, საეჭვო წარსულის მქონე პირებით დაკომპლექტებული ხელისუფლების და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს ცნობას. ამ ვითარებაში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქვეყანაში დაებრუნებინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცპ ყოფილი პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. შევარდნაძის დაბრუნების გაცხადებული მიზანი

<sup>59</sup> ჯაბა იოსელიანის გამოსვლა იხ. ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=C4jk7RuGOkc>

<sup>60</sup> აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და ინტერვიუ გენერალ ყარყარაშვილთან იხ. დოკუმენტურ ფილმში “აფხაზეთის ომი”. <https://www.youtube.com/watch?v=YkBNQu11UH0>

საერთაშორისო იზოლაციის გარდვევა იყო. მას, საკუთარი საერთაშორისო ავტორიტეტით და კავშირებით, უნდა დაეჩქარებინა საქართველოს აღიარება და ურთიერთობები დაემყარებინა დასავლურ სახელმწიფოებთან. არსებული ინფორმაციით, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების ინიციატივა ჯაბა იოსელიანს ეკუთვნოდა. ამას ადასტურებს ოოგორც ედუარდ შევარდნაძე,<sup>61</sup> ასევე თავად ჯაბა იოსელიანი (იოსელიანი 2013: 105). შევარდნაძის დაბრუნებამდე საქართველოს დროებითმა ხელისუფლებამ ადადგინა 1921 წლის კონსტიტუცია. კონსტიტუციის ადდგენის შესახებ მიღებულ დოკუმენტში ჩაიწერა ფრაზა – “თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით”, რაც, ჯაბა იოსელიანის სიტყვით, ხელისუფლებას თავიდან ააცილებდა დღევანდელ ეპოქასთან შეუსაბამობით გამოწვეულ ანაქრონიზმს (იოსელიანი 2013: 106). ასევე, სამხედრო საბჭოს მმართველობის მოკლე პერიოდში მიღებული იქნა ამნისტიის უპრეცედენტო გადაწყვეტილება – ციხეებიდან გაათავისუფლეს პატიმრების 95 პროცენტი. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა ისედაც უკონტროლო ვითარება (იოსელიანი 2013: 108).

ასეთ სიტუაციაში, 1992 წლის 7 მარტს, ქვეყანაში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე. მან აეროპორტშივე მიმართა საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ინტელიგენციას, რომელმაც, “როცა საჭირო გახდა, იარაღი დაიჭირა ხელში იმისათვის, რომ საქართველოსთვის ებრძოლა, რომელიც ადრე გამოაფხიზდა და ადრე გამოაფხიზდა ქართველი ხალხი.”<sup>62</sup> ამ სიტყვით შევარდნაძემ, ფაქტობრივად, მხარდაჭერა გამოუცხადა დემოკრატიის ლოზუნგით მოსულ გადატრიალების ორგანიზატორებს და სცადა ლეგიტიმური საფუძველი შეექმნა ქვეყანაში თავისი დაბრუნებისთვის. ამ საკითხს შევარდნაძე 1992 წლის 9 ოქტომბერს, მეცნიერებათა აკადემიაში გამოსვლის დროსაც შეეხო. მისი სიტყვით, გამსახურდიას რეჟიმის დამხობა იყო “ქართველი ხალხის ისტორიულად მნიშვნელოვანი არჩევანი”, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებისთვის გადაიდგა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში, პროგრესულ ძალებთან ერთად, განსაკუთრებული როლი

<sup>61</sup> ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან იხ. სოფო მოსიძის საავტორო გადაცემაში “ამხედრებულ მემკონებეთა საგა”: <https://www.youtube.com/watch?v=u3q77MWL0HU>

<sup>62</sup> ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა იხ. ლინკზე: <https://www.youtube.com/watch?v=e9z5OJ7mVJ>

შეასრულა საქართველოს ინტელიგენციამ.<sup>63</sup> შევარდნაძემ იკისრა, სათავეში ჩადგომოდა განადგურებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ სამხედრო საბჭო გარდაიქმნა სახელმწიფო საბჭოდ, რომელსაც იგი ჩაუდგა სათავეში. სამოქალაქო ომში ჩაფლულ ქვეყანაში საზოგადოების ძირითადი დაკვეთა სტაბილურობა და წესრიგის აღდგენა იყო. 1980-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლობის იდეისა და რადიკალური ეროვნული მოძრაობის გარშემო გაერთიანებულ მოსახლეობის დიდ ნაწილს იმედები გაუცრუვდა. საქართველოს ისტორიული როლის აღდგენის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მედიატორის ფუნქციის დაბრუნებისა და წამყვან სახელმწიფოდ ქვევის ნაცვლად, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციამ, ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა. სწორედ ამგვარმა ვითარებამ შეუქმნა ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის ხელისუფლებაში დაბრუნებას ლეგიტიმური საფუძველი. ადამიანი, რომელიც გამსახურდიას ეპოქაში საქართველოს მტრების სიას ედგა სათავეში და ყველაზე საძულველ პიროვნებად ითვლებოდა, ქვეყანას მხსნელის რანგში დაუბრუნდა. სტივენ ჯონსი ამ ფაქტს “ისტორიის ირონიას” უწოდებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ასეთი ისტორიის ირონია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ჩვეული რამ არის (ჯონსი 2013: 105).

ედუარდ შევარდნაძემ ზუსტად აუდო ალდო საქართველოში არსებულ განწყობებს და ახალი ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად მესიჯად სიტყვა “სტაბილურობა” აქცია. თუმცა სტაბილურობამდე და წესრიგამდე დიდი დრო იყო – ქვეყანას წინ აფხაზეთის ომი ელოდა, მოსახლეობის ნაწილში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა ჩეჩენეთში გაქცეული ექპრეზიდენტი გამსახურდია, ასევე დიდ და უკონტროლო ძალას წარმოადგენდნენ ჯაბა იოსელიანის “მხედრონი”, რომელიც უკვე თბილისურ “სამმოებად” იყო დაყოფილი, და თენგიზ კიტოვანის ეროვნული გვარდია. საქართველოს ფაქტობრივი მმართველები ძალაუფლების მარტივად დათმობას არ აპირებდნენ. შევარდნაძის ხელისუფლება, მისი დაბრუნების დროს, მიუხედავად ოფიციალური სტატუსისა, მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სტაბილურობის დამყარებამდე მისი უმთავრესი საზრუნავი რეალური ძალაუფლების მოპოვება და ხელისუფლების ცენტრალიზაცია იყო.

<sup>63</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №210-211. 1992.

ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი სამეგრელოში სტუმრობა გახლდათ. საქართველოს ეს რეგიონი ზვიად გამსახურდიას მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს ახალ ხელისუფალს მტრულად შეხვდა. ზუგდიდის 800-მდე ადგილობრივი მცხოვრები ქალაქის მთავარ სტადიონზე დაწვა და შევარდნაძის ვერტმფრენს დაშვების საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ ვერტმფრენი წალენჯიხაში დაეშვა. ამ ფაქტს თავად შევარდნაძე იხსენებს და ამბობს, რომ ეს ყველაფერი სამეგრელოში “მხედრიონის” საქმიანობით იყო გამოწვეული. სამეგრელოს მოსახლეობა მას ამ დაჯგუფების რეგიონიდან გაყვანას სთხოვდა.<sup>64</sup>

შევარდნაძე კარგად აცნობიერებდა, თუ რა მტრულ გარემოში მოუწევდა სტუმრობა. “ჩვენ სამეგრელოში ჩამოვედით, რათა უკეთ გავერკვეთ აქ, საქართველოს ამ ისტორიულ, ტრადიციებით მდიდარ რეგიონში შექმნილ სიტუაციაში. მე ვიცი, რომ ჩვენი შეხვედრები და საუბრები სოფლებსა და საწარმოებში არ იქნება და არ შეიძლება იყოს ადვილი, რადგან საქართველო დღეს გაითიშა რამდენიმე ბანაკად, მმა მმას ეომება, დაუსჯელად მოქმედებენ დამნაშავეთა ჯგუფები, ხალხს არ აქვს ხვალინდელი დღის ელემენტარული რწმენა,” – განაცხადა მან. სახელმწიფო საბჭოს მეთაური ამბობდა, რომ მისი მთავარი მიზანი მშვიდობისა და თანხმობის მიღწევა იყო.<sup>65</sup>

სამშვიდობო ნაბიჯები გადაიდგა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთან დაკავშირებით. 1992 წლის 24 ივნისს სოჭში, დასახლება დაგომისში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას “ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ”. ამ შეთანხმებას ხშირად “დაგომისის ხელშეკრულებასაც” უწოდებენ. შეთანხმების საფუძველზე, იმავე წლის 14 ივნისს, კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალები შევიდნენ, სადაც წამყვან ფუნქციას რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთები ასრულებდნენ. ცხინვალის

<sup>64</sup> ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან იხ. სოჭო მოსიძის საავტორო გადაცემაში “ამხედრებულ მეამბოხეთა საგა” <https://www.youtube.com/watch?v=43mlsI3ZFPU>

<sup>65</sup> გახ. “საქართველოს რესპუბლიკა” № 136. 1992.

რეგიონში ცეცხლი შეწყდა და კონფლიქტი ცივ ფაზაში გადავიდა, თუმცა რეგიონი კვლავ საქართველოს ხელისუფლების იურისდიქტის მიღმა დარჩა.<sup>66</sup>

საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა 1992 წლის ივნისში მოხერხდა, როდესაც ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. ამ ფაქტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო საგანგებო მანიფესტით გამოეხმაურა.<sup>67</sup> საზოგადოებისადმი მიმართვა სახელწოდებით “სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების მიზნით!” საყურადღებო გზავნილებს შეიცავდა. ავტორთა სიტყვით, საქართველოს დამოუკიდებლობა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მისი აღიარებით დაგვირგვინდა, რითაც განხორციელდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება. იზოლაციონიზმის დამდუპველი პოლიტიკის დაძლევით, საქართველომ შეიქმნა არა მხოლოდ სუვერენული უფლებების განხორციელების გარანტიები, არამედ იმ პრინციპების ერთგულების შესახებ განაცხადა, რომლითაც თანამედროვე კაცობრიობა სულდგმულობს. “საქართველო შევიდა ახალ ზნეობრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სივრცეში, სადაც ახალი წესი, ახალი ნორმები, სხვა მოთხოვნები და განზომილებებია.” ამ მიმართვაში სახელმწიფო საბჭო წევრები ამბობდნენ, რომ საქართველო ვერ შედგება როგორც ერთ და დემოკრატიული სახელმწიფო, თუ იგი არ იქნება მოწესრიგებული პოლიტიკური ორგანიზმი. თანამედროვე ცივილიზაციასთან ზიარების გასაღები საქართველოს მთლიანობაშია. შესაბამისად, სახელმწიფოს მშენებლობის ახალ ეტაპზე, ქვეყნის ხელისუფლება ძირითად მიზნად ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებას ისახავდა. “ახალი წესრიგი შინააშლილობის დაძლევას, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას გულისხმობს უსისხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე. ამით საქართველო საბოლოოდ გაემიჯნება წარსულის ყავლგასულ ნორმებსა და ცნობიერებას და თანამედროვე ისტორიის დირსეული შემოქმედი გახდება.”

ამავე მიმართვაში აღნიშნულია, რომ, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოში 31 ივნისი დაწესდა ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისი შერიგების, მშვიდობის დღე.

<sup>66</sup> ინფორმაცია დაგომისის ხელშეკრულების შესახებ იხ. ბმულზე:

<http://www.ghn.ge/print.php?print=111706>

<sup>67</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა” № 147. 1992.

ხელისუფლების კეთილი ნებით, საპატიმროებიდან გათავისუფლდნენ ზოიად გამსახურდიას ის მომხრეები, რომლებიც 1992 წლის 6 იანვრიდან “ჩადიოდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ არ ჩაუდენით სისხლის სამართლის დანაშაული”. ასევე პატიმრობიდან გათავისუფლდნენ ყოფილი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებსაც, მიმართვის ტექსტის მიხედვით, ბრალი ედებოდათ მძიმე დანაშაულში, თუმცა ეს დანაშაული განპირობებული იყო გამსახურდიას “დიქტატორული რეჟიმით”.

მანიფესტი საუბარია იმაზე, რომ სრულიად საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლება იზრუნებდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებისთვის. აღნიშნული მანიფესტის რიტორიკა ახალია იმ მხრივაც, რომ მასში, მართლმადიდებლური ეკლესიის როლთან ერთად, მოხსენიებულია ქვეყნის აღმშენებლობისა და დიალოგის პროცესში სხვა რელიგიური გაერთიანებების როლის მნიშვნელობა.

მანიფესტის ავტორები დოკუმენტს მიმტევებდლობისა და პუმანიზმის აქტად აფასებდნენ და საზოგადოებას მასში გამოთქმული პრინციპების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. მანიფესტს ხელს აწერდა სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

ეს მიმართვა ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფალი ქვეყანაში ახლებური პოლიტიკის გატარებას აპირებდა. მანიფესტი თავისუფალია პათეტიკისგან, ჭარბი ნაციონალისტური და რელიგიური რიტორიკისგან. აქცენტი მშვიდობაზე, სამოქალაქო თანხმობაზე, სტაბილურობასა და წესრიგზე კეთდება. 1992 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, საპროგრამო ხასიათს ატარებდა. იგი გვიჩვენებს ქართული ნაციონალური პროექტის ტრანსფორმაციას. უკვე თვალშისაცემი გახდა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩარჩოებში მოქცევა.

გაეროს მიერ საქართველოს აღიარებას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე პერსონალური მიმართვითაც გამოეხმაურა.<sup>68</sup> შევარდაძის სიტყვით, ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან დასავლეოთა ორნახევარი საუკუნის მანძილზე ორჯერ აქცია ზურგი საქართველოს, არ დაიცვა და ორივე

<sup>68</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №144. 1992.

ეს შემთხვევა ქვეყნისთვის ეროვნული კატასტროფით დასრულდა. ამჯერად “მსოფლიო თანამეგობრობაში დაიჯერა, რომ დავიცავთ გაეროს წესდების დებულებებსა და პრინციპებს, რომ ვესტრაფვით ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები, მშვიდობიანად მოვაგვარებოთ ქართველთა და ოსთა კონფლიქტს, მივადწევთ პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციას, პატივს ვცემთ ადამიანის, ერის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, დავამკვიდრებოთ სამოქალაქო თავისუფლებათა საფუძვლებს.” ედუარდ შევარდნაძე აცხადებდა, რომ გაეროს წევრობა საქართველოს ანიჭებდა საერთაშორისო ურთიერთობის, იდეების, ლირებულებების მსოფლიო გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობის, ადამიანის გონისა და გამოცდილების ყველაზე დიდი მონაგარით გამდიდრების ფართო შესაძლებლობებს.

**ომი აფხაზეთში.** საერთაშორისო წარმატების პარალელურად, ვითარება უკიდურესად გამწვავდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები, რკინიგზისა და საგზაო მაგისტრალების დაცვის მოტივით, აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. ქართულ საჯარისო შენაერთებს აფხაზმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. დაიწყო კ. წ. “აფხაზეთის ომი”, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. როგორც სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სახელმწიფო მძიმე და ხანგრძლივ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაება. აფხაზ სეპარატისტებს ზურგს რუსეთის ფედერაცია უმაგრებდა. რუსეთი აფხაზებს ეხმარებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც – შეიარაღებით, ცოცხალი ძალით, სამხედრო სპეციალისტებით (ჯანელიძე 2009: 212).

ომში საქართველოს წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა: “მთიელ ხალხთა კონფედერაციის” მოწოდებით, რომლის შტაბ-ბინა სოხუმში მდებარეობდა, სეპარატისტთა მხარდასაჭერად აფხაზეთში ასეულობით ჩრდილოკავკასიელი მოხალისე “ბოევიკი” ჩავიდა, რომლებმაც რამდენიმე ბატალიონი შეადგინეს. მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ აფხაზების მხარეს მებრძოლი რუსი კაზაკები და ადგილბრივი სომები ეროვნების მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი (ჯანელიძე 2009: 213).

ომის საწყის ეტაპზე საქართველოს სამთავრობო ძალებმა მოიპოვეს უპირატესობა. გაგრაში გადაისხა დესანტი და კონტროლი დამყარდა მდინარე ფსოუზე – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის აღმინისტრაციულ საზღვარზე. ცენტრალური ხელისუფლების საჯარისო შენაერთებმა დაიკავეს სოხუმი. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება გუდაუთაში გადავიდა. არძინბამ მომხდარი სუვერენული აფხაზეთის ოკუპაციად შეაფასა, უარი თქვა თბილისიდან ჩასულ ოფიციალურ დელეგაციასთან მოლაპარაკებაზე და სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. მიუხედავად მიღწეული სამხედრო წარმატებისა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მძიმე ხარვეზები ჰქონდა – ჯარი არ ექვემდებარებოდა ერთიან სარდლობას, აშკარა იყო პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა. საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებების გზა აირჩია. 1992 წლის 3 სექტემბერს ე. შევარდნაძემ, ბ. ელცინმა და კ. არძინბამ ხელი მოაწერეს სამმხრივ შეთანხმებას, რომელიც ცეცხლის შეწყვეტასა და კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას ითვალისწინებდა. მიუხედავად შეთანხმებისა, აფხაზურმა მხარემ კონტრიერიში წამოიწყო და ოქტომბრის დამდეგს გაგრას დაეუფლა. სეპარატისტულმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს სასაზღვრო ზოლი და რუსეთთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობა მოიპოვეს.

1993 წლის იანვარ-მარტში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოასწორეს მდგომარეობა და აფხაზებს სოხუმის აღების შესაძლებლობა არ მისცეს. ომი გაგრძელდა და პოზიციური ბრძოლების სახე მიიღო.

საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოება არ იყო მზად ამ მასშტაბისა და სიმძიმის საომარი ოპერაციებისთვის. ომში, ძირითადად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ფრონტზე სტიქიურად ჩასული ახალგაზრდობა იბრძოდა, რომელსაც ბრძოლის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა. სამოქალაქო ომგამოვლილი, ქაოსში ჩართული, დეზორგანიზებული საზოგადოების ტერიტორიული მთლიანობის იდეის გარშემო დარაზმვა და საყოველთაო მობილიზაცია არ მოხერხდა. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ჩეჩენეთში მყოფი საქართველოს ექსპრეზიდენტი გამსახურდია, თავის მიმართვებსა და განცხადებებში, ღიად ადანაშაულებდა შევარდნაძის ხელისუფლებას ომის წამოწყებასა და აფხაზი ხალხის განოციდის მცდელობაში. იგი ამ ომს “ხუნტის” და “რუსეთის იმპერიული ძალების”

ერთობლივ ავანტურას უწოდებდა და საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა, არ მიეღო მასში მონაწილეობა.

1992 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა ზეიად გამსახურდიას განცხადება, რომელშიც მან მწვავედ გააკრიტიკა გაეროს გენერალური ასამბლეის 25 სექტემბრის სესიაზე ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა. საკუთარ განცხადებაში ზეიად გამსახურდია ამბობდა, რომ შევარდნაძის “კრიმინალურმა ხუნტამ” გააუქმა საქართველოს კონსტიტუცია და, შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი. ექსპრეზიდენტის შეხედულებით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და მისი თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას მიზანი არის არა საქართველოდან გამოყოფა, არამედ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა ფედერაციულ საწყისებზე. “ხუნტა, რომელმაც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მოაწყო საქართველოს მოსახლეობის გენოციდი, ამჟამად იბრძვის აფხაზეთში საკუთარი ძალაუფლების დასამყარებლად, კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა გასანადგურებლად და ტოტალიტარული დიქტატურის განსამტკიცებლად.” გამსახურდიას განცხადებით, ამაში შევარდნაძის ხელისუფლებას ხელს უშლიდა აფხაზეთის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა, რომლის დამხობის შემთხვევაში “ხუნტა” იოლად მიაღწევდა თავის მიზანს. გამსახურდია მოუწოდებდა აფხაზეთის მოსახლეობას, გაეძევებინა “ხუნტის დამსჯელი რაზმები” და პრობლემა მშვიდობიანი დიალოგის გზით გადაეწყვიტა.<sup>69</sup>

ასევე საინტერესოა გამსახურდიას 1992 წლის 2 სექტემბრის მიმართვა<sup>70</sup> ქართველი და აფხაზი ხალხებისადმი. ამ მიმართვაში ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ “შევარდნაძის ნეოკომუნისტურმა კრიმინალურმა ხუნტამ” მოაწყო სისხლიანი სადამსჯელო ექსპედიცია აფხაზეთში. “ხუნტის ჯარების შეჭრა აფხაზეთში პატრიოტული გრძნობებით კი არ არის გამოწვეული, არამედ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა განადგურების წყურვილით. ე. წ. სახელმწიფო საბჭოს სურს აფხაზეთშიც დაამყაროს ტოტალიტარული დიქტატურა, ვინაიდან იქაური ხელისუფლება არ მიმართავდა რეპრესიებს და ტერორს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა წინააღმდეგ. სოხუმში გამოდიოდა ერთადერთი ოპოზიციური გაზეთი მთელს საქართველოში,

<sup>69</sup> გაზ. “აღდგომა”. №22. 1992.

<sup>70</sup> გაზ. “ეროვნული ფრონტი”. №3. 1992.

თავისუფლად მოქმედებდნენ ხუნტის მოწინააღმდეგ პოლიტიკური ორგანიზაციები.”

ზვიად გამსახურდია აცხადებდა, რომ შევარდნაძის ხუნტის სადამსჯელო ოპერაციებში რუსეთის ჯარი და სამხედრო ტექნიკა მონაწილეობდა, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ეს იყო ერთობლივი ოპერაცია და ყველაფერი შეთანხმებული იყო მეტროპოლიასთან. ამ ყველაფერს კი რუსეთი შევარდნაძის ხელით ახორციელებდა. გამსახურდია მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ “ხუნტისთვის” საყოველთაო გაფიცვა გამოეცხადებინა, დაეგმო და ემხილებინა მისი “კანიბალური პოლიტიკა”, რაც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობასა და ეროვნულ თანხმობას როგორც კავკასიაში, ასევე მთელ მსოფლიოში.

ვფიქრობთ, რომ ზვიად გამსახურდიას აღნიშნული განცხადებები, რომლებიც ნამდვილად არ უწყობდა ხელს ეროვნულ თანხმობას და ტერიტორიული მთლიანობის იდეის გარშემო მოსახლეობის მობილიზაციას, განპირობებული იყო არა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებით, არამედ ედუარდ შევარდნაძის სიძულვილით. გამსახურიას შევარდნაძე მისი ხელისუფლების დამხობის და ქვეყანაში მომხდარი ყველა უბედურების სათავედ მიაჩნდა. ამ ორ პიროვნებას შორის მწვავე დაპირისპირება ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან იღებდა სათავეს. სამოქალაქო ომის დროს ამ კონფრონტაციამ კულმინაციას მიაღწია და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს საზოგადოების პოლარიზაციას. ამას ემატებოდა საზოგადოების დიდ ნაწილში გაჩენილი ნიპილისტური განწყობები, რომელიც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგრადებლობით და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი იმედგაცრუებით იყო გამოწვეული.

აფხაზეთის ომისდროინდელი საქართველოს აბსურდული მდგრადების აღსაწერად, ვფიქრობთ, გამოგვადგება მხატვრული ფილმის “გასეირნება ყარაბაღში 2 – კონფლიქტის ზონა” (რეჟისორი ვანო ბურდული) სიუჟეტი: აფაზეთში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცი სამხედრო დავალების შესასრულებლად თბილისში ჩამოდის. იგი გაოცებულია ქვეყნის დედაქალაქში არსებული მდგრადებლით და საზოგადოების განწყობით. მეომარი ერთ-ერთ თბილისურ წვეულებაზე აღმოჩნდება, სადაც ვერ იჯერებენ, რომ იგი პირდაპირ ფრონტიდან ჩამოვიდა. გაკვირვებული ჯარისკაცი კითხულობს – “თქვენ აქ საერთოდ თუ იცით, ომი რომ არის?”

1993 წლის 27 ივნისს სოჭში ქართულ-რუსულ-აფხაზური ახალი სამმხრივი შეთანხმება გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ქართულმა მხარემ, შეთანხმების საფუძველზე, კონფლიქტის ზონიდან გამოიტანა მძიმე სამხედრო ტექნიკა და ფრონტის ხაზზე მხოლოდ სამეთვალყურეო პუნქტები დატოვა. სეპარატისტებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება და სოხუმზე მასირებული იერიში მიიტანეს (ჯანელიძე 2009: 213). მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩენილი ქალაქის მცველები უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდნენ.

საქართველოს საზოგადოების პოლარიზაცია მთელი სიმძაფრით 1992 წლის სექტემბრის მიწურულს გამოჩნდა. 24 სექტემბერს, როდესაც საომარი მოქმედებები კრიტიკულ ფაზაში შევიდა, ქვეყანაში დაბრუნდა ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან ბინა ქ. ზუგდიდში დაიდო, საქართველოს “კანონიერი ხელისუფლება” აღდგენილად გამოაცხადა, მოსახლეობას მისი მხარდაჭერისა და შევარდნაძის “ხუნტის” წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა. მან ასევე განაცხადა, რომ ყველა სამხედრო შენაერთი, მათ შორის, ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილები მის განკარგულებაში უნდა გადმოსულიყვნენ და მისი ხელმძღვანელობით ებრძოლათ აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ. გამსახურდიას სიტყვით, ვინც მათ ამ საქმეში ხელს შეუშლიდა, გამოცხადდებოდა საქართველოს მოდალატედ. გამსახურდიამ შევარდნაძის ხელისუფლება უკანონოდ გამოაცხადა და დაიწყო ბრძოლა ძალაუფლების ხელახლა მოსაპოვებლად.<sup>71</sup> კრიტიკულ პერიოდში, როდესაც საქართველოს საზოგადოებას ერთიანობა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ბრძოლა არა სოხუმის გადასარჩენად, არამედ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად დაიწყო.

ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ინტერნეტ-ჟურნალ [www.experti.ge](http://www.experti.ge)-ს დამფუძნებელი დავით გამცემლიძე. მისი შეხედულებით, რასაკვირველია, ზვიად გამსახურდიას სურდა რევანში და ხელისუფლებაში დაბრუნება. მას უნდოდა საქართველოს პრეზიდენტობა და აფხაზეთს იგი განიხილავდა საქართველოს ნაწილად, ეს მას უჭირავდა არასოდეს დაუყენებია, მაგრამ მისმა დაბრუნებამ იმ მომენტში, როდესაც წყდებოდა სოხუმის ბედი, ობიექტურად შეასრულა

<sup>71</sup> მასალა ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით და ზუგდიდში მისი სიტყვით გამოსვლა იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “სოხუმის უკანასკნელი დღე” <https://www.youtube.com/watch?v=D3kBqJ1JNdc>

მადესტაბილიზებელი ფაქტორის როლი იმიტომ, რომ კვლავ შეიცვალა საზოგადოების განწყობა – სამამულო ომის განწყობა შეიცვალა სამოქალაქო ომის განწყობით.<sup>72</sup> აფხაზეთის ფრონტზე გამსახურდიას მომხრე სამხედრო პირებმა ექსპრეზიდენტს გამოუცხადეს მხარდაჭერა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა ტელეფონით ამაოდ სთხოვდა დახმარებას გამსახურდიას მომხრე გენერალ ლოთი ქობალიას.<sup>73</sup> მისი მოწოდება, რომ იმ დროს საქართველოს ბეჭი წყდებოდა და ერთად უნდა დამდგარიყვნენ, ამაო გამოდგა.

საბოლოოდ, 1992 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს ქალაქში დარჩენილი ჟიული შარტავა და მისი გარემოცვის წევრები. აფხაზებმა შეტევა განაგრძეს და თვის ბოლოს მდინარე ენგურამდე – ზუგდიდისა და გალის ადმინისტრაციულ საზღვრამდე – მიაღწიეს. აფხაზეთის კონფლიქტს საქართველოს ათასობით მოქალაქე შეეწირა. რეგიონი დატოვა 300 ათასამდე მცხოვრებმა (ძირითადად, ეთნიკურმა ქართველებმა). რეგიონში რადიკალურად შეიცვალა ეთნიკური სურათი (ჯანელიძე 2009: 214). ასევე სერიოზული ზიანი მიადგა აფხაზი ეთნოსის გენოფონდს. აფხაზეთის ომში საქართველოს ახალბედა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ კიდევ ერთხელ განიცადა მწვავე მარცხი.

ხელისუფლებისთვის ბრძოლა აფხაზეთში კონფლიქტის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ გაგრძელდა. თბილისში დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ მარცხი ღალატს დააბრალა, რითაც წარუმატებლობა პირდაპირ დააკავშირა ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვლასთან. თავის მხრივ, ექპრეზიდენტი საკუთარ პოზიციებს ამაგრებდა და აცხადებდა, რომ აფხაზეთის დაკარგვას არ დაუშვებდა, რომ რეგიონი შევარნაძემ ჩააბარა მტერს და ის არის საქართველოს მოღალატე. გამსახურდიამ პირობა დადო, რომ სოხუმს დაიბრუნებდა, თუმცა მისი პირობა პირობად დარჩა. <sup>74</sup> აფხაზეთში ვითარება აღარ შეცვლილა.

ზვიად გამსახურდიას მომხრე სამხედრო ნაწილებმა, აფხაზეთში ომის ნაცვლად, გეზი დედაქალაქისკენ აიღეს. ლოთი ქობალიას რაზებმა 2

<sup>72</sup> ინტერვიუ დავით გამცემლიძესთან იხ. იქვე.

<sup>73</sup> ჟიული შარტავას სატელეფონო საუბარი იხ. იქვე.

<sup>74</sup> ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ოჩამჩირის სამხედრო შტაბში იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეები”

<http://rustavi2.com/ka/video/7954?v=2>

ოქტომბერს ქ. ფოთი დაიკავეს. აფხაზეთის ომში მარცხის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების მომხერე საჯარისო შენაერთები დეზორგანიზებული იყო. შევარნაძის ხელისუფლებას რაიმე გზით უნდა შეეჩერებინა ზვიად გამსახურდიას თბილისისკენ სვლა. სახელმწიფოს მეთაური აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დედაქალაქში გააქტიურდნენ ზვიად გამსახურდიას მომხერები და პერმანენტული აქციების მოწყობა დაიწყეს. ჯაბა იოსელიანის სიტყვით, თბილისში პანიკა დაიწყო და შევარდნაძემ მას სთხოვა ძალაუფლების ხელში აღება.<sup>75</sup> შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჯაბა იოსელიანი ჩაუდგა. 4 ოქტომბერს პირველი შეტაკებები გაიმართა ექსპრეზიდენტის მომხერე ჯარისკაცებსა და თბილისიდან ჩასულ რაზმებს შორის, თუმცა ლოთი ქობალიას შენაერთებმა სამტრედიის აღებაც მოახერხეს. საქართველოს სახელმწიფო ორად გაყოფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ედუარდ შევარდნაძის და ჯაბა იოსელიანის სიტყვით, კრემლში არსებობდა გეგმა, რომლის მიხედვით დასავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე) ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება უნდა გავრცელებულიყო, ხოლო, აღმოსავლეთ საქართველო ედუარდ შევარდნაძეს უნდა ემართა.<sup>76</sup>

ამ ყველაფრის ფონზე, შევარნაძის ხელისუფლებამ მიიღო ბორის ელცინის შემოთავაზება და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანდა. შევარდნაძის ამ ნაკლებად პოლულარულმა გადაწყვეტილებამ სამოქალაქო ომის ბედი მის სასარგებლოდ შეატრიალა. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება გამსახურდიას წინააღმდეგ, რომელიც სამშობლოს დალატის მუხლით კვალიფიცირდებოდა. საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ცენტრალური ხელისუფლების ძალებმა მძიმე შეიარაღება მიიღეს, ფოთს მოადგა რუსეთის სამხედრო ფლოტი ადმირალ ბალტინის მეთაურობით. ზვიად გამსახურდიას მომხერები დაიფანგნენ, ხოლო თავად ექსპრეზიდენტმა 1993 წლის 31 დეკემბერს სიცოცხლე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში დაასრულა, ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა.<sup>77</sup>

<sup>75</sup> ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან იხ. იქვე.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> იქვე.

აფხაზეთში შეიარაღებულმა კონფლიქტმა და შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მთელი სიმწვავით აჩვენა საქართველოს საზოგადოებაში არსებული პრობლემები. მოსახლეობის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის იდეის გარშემო გაერთიანება პოლიტიკური ელიტის გახლეჩილობის გამო არ მოხერხდა. ხელისუფლებისთვის მიმდინარე სამოქალაქო ომა, რომელიც შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ მცირე ხნით პასიურ ფაზაში გადავიდა, აფხაზეთის კონფლიქტის დროს მთელი სიმძაფრით იფეთქა და ლოგიკური გაგრძელება პპოვა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდიდან არსებული პოლარიზაცია ჯერ კიდევ დაუძლეველ პრობლემად და საქართველოს ახალი ხელისუფლების უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვება ედუარდ შევარდნაძეს პრაგმატულმა პოლიტიკამ მოუტანა. ბრიტანელი მკვლევარი ჯონათან უითლი (Jonathan Wheatley) აღნიშნავს, რომ, 1989-1991 წლებისგან განხვავებით, როდესაც პროცესების მიმდინარეობას 9 აპრილის ტრაგედიით გამოწვეული ემოციური ფონი განსაზღვრავდა, 1992-1995 წლების საქართველო საჭადრაკო დაფას დაემსგავსა. საჭადრაკო პარტიაში გამარჯვება იმ მოთამაშეს დარჩებოდა, რომელსაც უკეთესი სტრატეგიის შემუშავება შეეძლო. რეალური თამაშის მსგავსად, ამ ეპოქის საქართველოშიც იყო მომენტები, როდესაც პარტიის მონაწილეების სვლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და მათი ავტორების გამარჯვებას თუ დამარცხებას განსაზღვრავდა. უითლის შეხედულებით, საბოლოო გამარჯვება ყველაზე დიდ ტაქტიკოსს ედუარდ შევარდნაძეს დარჩა (Wheatley 2005: 67).

აფხაზეთის კონფლიქტის დასრულებით და ზეიად გამსახურდიას დამარცხებით საქართველოში სამოქალაქო ომის ხანგრძლივი ეტაპი დამთავრდა. ექსპრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, არსებულ ხელისუფლებას და მის მეთაურს აღარ ჰყავდა ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, რომელიც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კანონიერ ხელისუფლად ითვლებოდა და შევარდნაძის ლეგიტიმურობას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად აფხაზეთში მარცხის შედეგად შერყეული პოზიციებისა, 1993 წლის ბოლოდან ედუარდ შევარნაძეს თავისი ნაციონალური პროექტის განხორციელებისთვის, რომელიც ძალაუფლების ცენტრალიზაციას, სტაბილურობას, წესრიგსა და სამოქალაქო კონსოლიდაციას გულისხმობდა, უკეთესი პირობები შეექმნა.

**ძალაუფლების ცენტრალიზაცია. ქაოსიდან სამოქალაქო კონსოლიდაციის გენერატორის აღმდინარეობისას, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, ცდილობდა ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციას და ფორმალური მმართველობის დაწესებას. ყველაზე მწვავე პრობლემა მშვიდობის დამყარება იყო. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას, ფაქტობრივად, საგელე მეთაურები და მათი შეიარაღებული ფორმირებები მართავდნენ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ექსპრეზიდენტის მომხრეების სახით, ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებდა, შერიგება პრიორიტეტული მნიშვნელობის მატარებელი გახდა. საჭირო იყო ეფექტური საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება, რაც სტაბილურობის ერთგვარ გარანტიას შექმნიდა.**

აფხაზეთის ომის გარიურაუზე, 1992 წლის 11 ოქტომბერს, ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. არჩევნების ჩატარების აუცილებლობას და მთავრობის სასწრაფოდ ფორმირებას შევარდნაძე მარტივი მიზეზით ხსნიდა – ქვეყანას არ ჰყავდა ლეგიტიმური ხელისუფლება. ახალი პარლამენტისა და მთავრობის ფორმირებამდე ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმაცია საქართველოდან გაქცეულ ზოიად გამსახურდიას და მისი უზენაესი საბჭოს წევრებს პქონდათ. ეს ფაქტი ედუარდ შევარდნაძის მიერ ქვენის მართვის კანონიერებას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა. მით უმეტეს, რომ გროზნოში მყოფი საქართველოს ექპრეზიდენტი, საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებისადმი გაგზავნილ მრავალრიცხოვან მიმართვებში, მუდმივად ამ საკითხზე აპელირებდა და საკუთარ თავს ერთადერთ კანონიერ ხელისუფალს უწოდებდა. ამასთან ერთად, სახელმწიფო საბჭოს მეთაურს ძალაუფლების განხორციელებისთვის ოფიციალური ინსტიტუტები და სტრუქტურები სჭირდებოდა. პარლამენტისა და მთავრობის ფორმირებამდე მისი ძალაუფლება უფრო ფიქტიური იყო, ვიდრე რეალური, ეს უკანასკნელი კი იმ ხალხის ხელში იყო, ვინც გამსახურდია ძალისმიერი მეთოდებით დაამხო და საკუთარ დაქვემდებარებაში ჰყავდა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები.

1991 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები, თავისი მრავალპარტიულობით, უპრეცედენტო იყო საქართველოს ისტორიაში. არჩევნებში მონაწილეობდა 36 პოლიტიკური გაერთიანება თუ საარჩევნო ბლოკი, საიდანაც 2 %-იანი საარჩევნო

ბარიერი 24-მა პარტიამ გადალახა.<sup>78</sup> ქვეყანამ უკიდურესად მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო მიიღო. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას მიეცა, მათ შორის, ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტიკურ გაერთიანებებსაც, თუმცა ექპრეზიდენტმა საკუთარ მომხრეებს და საქართველოს მთელ მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა. 1992 წლის 7 სექტემბერს მან განცხადება გააკეთა გროზნოში, რომლის მიხედვით, “ხუნტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არჩევნების ჩატარების შესახებ არ აქვს არანაირი იურიდიული ძალა. არჩევნების ჩატარება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელსაც არ მოუხსნია უფლებამოსილება და აგრძელებს ფუნქციონირებას.”<sup>79</sup>

ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა ვერც ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ვერ დააგროვა. 225 ადგილიდან ყველაზე მეტი – 29 მანდატი – მოიპოვა ედუარდ შევარდნაძესთან ასოცირებულმა ბლოკმა “შშვიდობა”, რომელიც 7 პარტიისგან შედგებოდა. ვფიქრობთ, თავად ამ ბლოკის დასახელებაც მიგვანიშნებს იმ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ დაისახა. თავად შევარდნაძე კენჭს დამოუკიდებლად იყრიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. რონალდ გრიგორ სუნი უცნაურობად აფასებს იმ ფაქტს, რომ ედუარდ შევარდნაძეს ხალხმა დაახლოებით ისეთივე მანდატი მიანიჭა, როგორიც წელიწადნახევრით ადრე – ზვიად გამსახურდიას: შევარდნაძეს ამომრჩეველთა 89%-მა დაუჭირა მხარი (Suny 1994: 330). ვფიქრობთ, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო დაპირისპირებებით და შეიარაღებული კონფლიქტებით დაღლილი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შევარდნაძეში მშვიდობისა და წესრიგის მთავარ გარანტორს ხედავდა.

პარლამენტში მრავლად მოხვდნენ ყოფილი კომუნისტური ელიტის წარმომადგენლები, მაგალითად, მცხეთის მაჟორიტარი გახდა ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ ფიგურად ითვლებოდა. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ქართველი კომუნისტების ნაწილი ხელისუფლებაში დაბრუნდა (Suny

<sup>78</sup> ინფორმაცია არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდზე: <http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>

<sup>79</sup> გახ. “აღდგომა”. 1992. №17.

1994: 330). მიუხედავად მრავალპარტიულობისა, არჩევნების შედეგებმა სათანადოდ ვერ ასახა საქართველოს ეთნიკური სიჭრელე და უმცირესობებისა და დომინანტი ეთნიკური ჯგუფის თანაფარდობა. საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების მხოლოდ 7 წარმომადგენელი მოხვდა – ორი აფხაზი, ორი ხომეხი, ორი ებრაელი და ერთი ბერძენი. სტივენ ჯონსი ამ ფაქტს პარტიული სის სისტემით ხსნის, რომელიც უპირატესობას დომინანტ ეთნიკურ ჯგუფს ანიჭებდა. უმცირესობებისთვის არ იყო გათვალისწინებული სპეციალური კვოტა. ასევე, ავტორის აზრით, ეს განაპირობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან ბოიკოტმა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებისთვის გამოიყო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციები. აფხაზური ენა განისაზღვრა როგორც ოფიციალურ საპარლამენტო ენა (ჯონსი 2013: 123).

არჩევნების ჩატარებას ედუარდ შევარდნაძე რადიოინტერვიუში გამოეხმაურა.<sup>80</sup> მან განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევმებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მომავლისთვის, რადგან ქვეყნის ხელისუფლება ლეგიტიმური და ინსტიტუციური გახდა. მისი შეხედულებით, რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა, ამ არჩევნების მნიშვნელობა მით უფრო გაიზრდებოდა. სამოქალაქო ომის შემდეგ მოკლე დროში ჩამოყალიბებულმა მრავალპარტიულმა პარლამენტმა საკანონმდებლო ორგანოში მწვავე დაპირისპირების ატმოსფერო შექმნა. შევარნაძე პარლამენტის წევრებს მოუწოდებდა, რომ პაექრობა შურისძიებაში არ გადაზრდილიყო. “ჩვენ ახლა არა გართ მზად იმისათვის, რომ ვქექოთ ერთმანეთის განვლილი გზა... არ მინდა წინა პარლამენტის (იგულისხმება უზენაესი საბჭო – ი. ჩ.) მსგავსი რამ მოხდეს. ჩვენ ახლა სწორ გზას ვადგავართ და ამ გზას არ უნდა გადავუხვიოთ,” – განაცხადა შევარდნაძემ.

ამავე ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა პოზიტიური ურთიერთობების მნიშვნელობას. შევარდნაძის განცხადებით, ეროვნებათაშორის ურთიერთობებში ყოველი დადებითი და პოზიტიური ფაქტი უნდა გამოვიყენოთ, რათა უზრუნველვყოთ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება.

<sup>80</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. № 245. 1992.

დაკომპლექტების შემდეგ ახალმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო “კანონი ხელისუფლების შესახებ”. ამ კანონის მიღებას შევარდნაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან კანონი მას აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევდა.<sup>81</sup> პარლამენტს მიენიჭა უფლება, აერჩია და გადაეყენებინა სახელმწიფოს მეთაური ხმათა ორი მესამედით. მას ასევე მიეცა უფლება, დაეთხოვა მთავრობა, დაენიშნა ახალი არჩევნები. ზოდად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს შემდეგ ეს პარლამენტი, დემოკრატიული მმართველობის თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო (ჯონსი 2013: 124).

საქართველოს პარლამენტმა ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაურად აირჩია, ანუ იგი ერთდღოულად მართავდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. შევარდნაძეს, როგორც ქვეყნის მეთაურს, ექსკლუზიური უფლებები მიენიჭა – მან ჩამოაყალიბა მთავრობა, პასუხისმგებელი გახდა საგარეო ურთიერთობებზე, ნიშნავდა უმაღლეს სამხედრო პერსონალს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს რეგიონებში (გუბერნატორებს). პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და ცენტრალიზაციის გზაზე 1992 წელი უმნიშვნელოვანები იყო. სახელისუფლებო რეფორმებისა და საკანონმდებლო აქტების პარალელურად, აფხაზეთის რეგიონში ომი მიმდინარეობდა. მიუხდავად ურთულები პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარებისა, საქართველოს ახალი ხელისუფალი თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ამცირებდა ნახევრად ფორმალური და ნახევრად გასამხედროებული შენაერთების (მაგალითად, როგორიც იყო “მხედრიონი”) გავლენას და ძალაუფლებას ოფიციალური სტრუქტურების ხელში აქცევდა.

ამ პერიოდის ქართული ნაციონალური პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, ძალაუფლების ცენტრალიზაციასთან ერთად, სამოქალაქო ნაციონალიზმის ტენდენციის გაძლიერებაა. 1992 წლის 18 სექტემბერს თბილისის კინოს სახლში მუშაობა დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებულმა ქურთული კულტურის ცენტრის პირველმა კონგრესმა. ამ ფაქტს გამოეხმაურა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და კონგრესს მისასალმებელი წერილი გაუგზავნა.<sup>82</sup> შევარდნაძის განცხადებით, კონგრესის ჩატარების ფაქტი ზეიმი იყო როგორც ქართველი და

<sup>81</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 221. 1992.

<sup>82</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №176. 1992.

ქურთი ხალხებისთვის, ასევე საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევდა, რომ ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარებისა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ფონზე. “სახელმწიფო საბჭომ და მთავრობამ გადაწყვიტეს, ერთი წუთითაც არ შეანელონ კულტურის სიცოცხლისუნარიანობა... ზრუნვა ქართულ კულტურაზე იმავდროულად გულისხმობს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის კულტურაზე ზრუნვას. მე კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ქურთი ხალხი საქართველოში თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ჭირსა და ლხინში ყოველთვის ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ხალხების გვერდით იდგა. ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობითა და მშვიდობიანი ხასიათით.”

საყურადღებოა ედუარდ შევარდნაძის სიტყვა გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე ნიუ-იორკში, 1992 წლის 25 სექტემბერს.<sup>83</sup> სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობისადმი მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს. ერთი მხრივ, აშკარაა ყოფილი კომუნისტი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის რიტორიკის ტრანსფორმაცია – მისი გზავნილები მკვეთრად ანტიკომუნისტური და, შეიძლება ითქვას, ნაციონალისტური ელფერის მატარებელია. მეორე მხრივ, შევარდნაძე ხაზს უსვამს სამოქალაქო ნაციონალიზმის ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლების მნიშვნელობას, როგორებიცაა თანასწორობა, ტოლერანტობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე და სხვა.

საქართველოს ლიდერი ქვეყანაში მომხდარ ყველა უბედურებას საბჭოთა წარსულს და იმპერიულ მემკვიდრეობას უკავშირებს: საქართველო გახდა “ყველა იმ უბედურებისა და წინააღმდეგობის შესაფარი, რომლებიც იმპერიამ ჩაიმკვიდრა თავის გენეტიკურ კოდში და რომლებიც ახლაც კი, მისი დაღუპვის შემდეგ, გვაზანზარებს”. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო ძალის გამოყენებით იყო შეყვანილი საბჭოთა კავშირში. “ამ ძალის სულისხამდგმელს კი წარმოადგენდა იდეოლოგია, რომელიც კლასობრივ ბრძოლას მსხვერპლად სწირავდა საკაცობრიო დირებულებებსა და ეროვნულ

<sup>83</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №196. 1992.

მიზნებს. ამ იდეოლოგიის სულისკვეთებით გაუფასურებული იყო ისტორიულად დამკვიდრებული საზღვრებისა და ტერიტორიების მთლიანობა, ხდებოდა მათი გადაკეთება და გადანაწილება “პროლეტარული ინტერნაციონალიზმის” ორიენტირებით”. შევარდნაძის სიტყვით, ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებების საფუძველი საბჭოთა კავშირის “სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური” და “ადმინისტრაციულ-ტერიტორიული” მოწყობის სტრუქტურაში იყო. მისი შეხედულებით, სწორედ ეს სტრუქტურა განაპირობებდა რესპუბლიკებს შორის უკმაყოფილების, მტრობისა და პოტენციური დაპირისპირებების ჩანასახს. “ჩვენს მომავალს ჯერ კიდევ როდის უდებდნენ დაყოვნებული მოქმედების ბომბებს. სანამ იდეოლოგიისა და რეპრესიული იძულების ძალაუფლება ამ ნაირგვარ ერთობას ადუდებდა – ბომბები სდუმდნენ. მაგრამ როგორც კი ეს ძალაუფლება აღიკვეთა – მათ იფეთქეს,” – განაცხადა ელუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელის სიტყვით, საქართველომ ორჯერ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: პირველად – როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი და მეორედ – 1921 წელს, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებულ საქართველოს “შეიარაღებული ინტერვენცია დაატეხა ბოლშევიზმა და ძალით ამოაყოფინა თავი უნიტარულ სახელმწიფოში”.

გაეროს ასამბლეაზე გამოსვლისას შევარდნაძე აქტიურად დაუპირისპირდა იმ სახელმწიფოს და იდეოლოგიას, რომლის სამსახურშიც თავად იყო მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე. ვფიქრობთ, ეს ტრანსფორმაცია იმ პრაგმატიული პოლიტიკის ნაწილად უნდა განვიხილოთ, რომლის განხორციელებაც საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო. სამოქალაქო ომისა და პოლიტიკური კრიზისის დროს დასავლური სახელმწიფოების მხარდაჭერის სურვილი, დემოკრატი მმართველის იმიჯის განმტკიცება და ახალი გეოპოლიტიკური რეალობა მას თუნდაც საკუთარ წარსულთან დაპირისპირებისკენ უბიძგებდა. მით უმეტეს, რომ შევარდნაძის ავტორიტეტი დასავლეთში პირდაპირ იყო დაკავშირებული “პერესტროიკის” შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში დაწყებულ დემოკრატიულ გარდაქმნებთან. ამ ხაზის გაგრძელება და გაძლიერება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ისეთი საერთაშორისო გარანტიების შექმნას, რომელიც შევარდნაძის ძალაუფლებას ლეგიტიმურ საფუძველს შეუქმნიდა.

საქართველოს ლიდერი შეეცადა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ქვეყნის სრულყოფილი პორტფეტის დახატვას. ამისთვის მან, მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, სადაც ხაზი გაუსვა ენასა და რელიგიას, როგორც ქართველების იდენტობის ძირითად მარკერებს, აქცენტი გააკეთა მრავალფეროვნებაზე და კულტურათაშორის ურთერთობებზე. მან ეს მოცემულობა წარმოადგინა, როგორც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი.

“ხალხების, იდეების, კულტურების მოძრაობაში ოდითგან ჩართული საქართველო თავისი ყოფიერების კანონად ამკვიდრებდა რასობრივ და რელიგიურ შემწყნარებლობას. მძლავრი გარეშე ძალების მოსაგერიებლად მებრძოლ საქართველოს არასოდეს ჰქონია არც ქსენოფობია და არც რელიგიური ფანატიზმი. მის დედაქალაქ თბილისში, ერთ კვადრატულ კილომეტრ ფართობზე, თქვენ გვერდიგვერდ ნახავთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, სომხურ გრიგორიანულ ტაძარს, მაჭმადიანურ მეჩეთს, ებრაულ სინაგოგასა და ლუთერანულ კირხეს. IV საუკუნიდან ქრისტინულმა საქართველომ ზოგიერთ თავის დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პროვინციაში ისლამი იწამა და არ იყო მათ შორის შუღლი და მტრობა, არ იყო ისეთი ვითარება, ვინმესთვის არ დაენებებინათ, რომ ეცხოვრა საკუთარი წარმოდგენებითა და ტრადიციებით”.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო მხარს დაუჭერდა ახალ ევროპულ ინსტიტუტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კონფლიქტების აღკვეთას და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, თუმცა, ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა ეთნიკური ქართველების უფლებების შეზღუდვას. ეს ფაქტი, მისი სიტყვით, არღვევდა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. “შეუწყნარებელია ერთი პრინციპის აბსოლუტიზება მეორის საზიანოდ. დანაშაულებრივია, ერთნი აღწევდნენ თვითგამორკვევას და ამ დროს არ იმჩნევდნენ, რომ მათ გვერდით საერთო ტერიტორიაზე საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ ხალხები, რომელთა ფიზიკური განდევნა შეუძლებელია”. შევარდნაძის შეხედულებით, ნებისმიერი ნორმა და კატეგორია უნდა განიზომებოდეს თანასწორუფლებიანობის პერსპექტივიდან, განურჩევლად ამა თუ იმ ერის, ეთნიკური, ენობრივი თუ კონფესიური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობისა. ასეთი მიდგომა მოითხოვს არა მარტო ეროვნული უმცირესობების, არამედ იმ მოქალაქეების უფლებების

დაცვასაც, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ. “სხვაგვარად შეიძლება წავაწყდეთ აპარტეიდის მოდერნიზებულ ფორმას და ეთნოდიქტატურას”. ამ უკანასკნელის მაგალითად შევარდნაძემ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დაასახელა და ამით დაუპირისპირდა გამსახურდიას პერიოდში მიღებულ კანონს, რომელიც აფხაზეთის უზენაეს საბჭოში უპირატესობას ეთნიკურ აფხაზებს ანიჭებდა. “ჩვენს წინაშეა სამართლის ანგარებით მანიპულირების კლასიკური მაგალითი. დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიხედვით, მოსახლეობის 18%-ის შემადგენელი ერთი ეროვნების ამომრჩევლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში გზავნიან უფრო მეტ დეპუტატს, ვიდრე მეორე ეროვნებისა, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. შელახულია სხვა ეროვნული ჯგუფების უფლებებიც. ერთი აფხაზი დეპუტატის ასარჩევად საკმარისია სამჯერ ნაკლები ხმების რაოდენობა, ვიდრე ერთი ქართველი დეპუტატის ასარჩევად,” – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარებ. მისი სიტყვით, სწორედ ასეთი სამართლებრივი ექსტრემიზმი იწვევდა სეპარატიზმის გაღვივებას და კონფრონტაციას. შევადნაძის განცხადებით, საქართველო მხარს დაუჭერდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის დეკლარაციას, მაგრამ, ამასთან ერთად, მოითხოვდა, რომ დეკლარაციის პროექტში გათვალისწინებული ყოფილიყო უმცირესობათა პასუხისმგებლობების წილიც, რაც ხელს შეუწყობდა სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებას.

ადნიშნულ მიმართვაში შევარდნაძე ასევე ხაზს უსვამდა საქართველოს სურვილს – განეხორციელებინა გაწონასწორებული პოლიტიკა. ეს გულისხმობდა ქვეყნის შიგნით – დემოკრატიულ გარდაქმნებს, ეროვნულ შერიგებას, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას, ხოლო ქვეყნის გარეთ – რეგიონის ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას, მსოფლიო გაერთიანებებთან თანამშრომლობას. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგიონის ქვეყნებთან – თურქეთთან, ირანთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ასევე უკრაინასთან – მეგობრულ ურთიერთობებს. შევარდნაძე რევერანსებს არ იშურებდა არც რუსეთის მიმართ, რომელმაც, მისი სიტყვით, ხელი შეუწყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას, არაერთგზის აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისი საზღვრების ურდვევობა და ჩაება მეორე კონფლიქტის – აფხაზეთის

კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში. მისი შეხედულებით, საქართველოსთვის საფრთხეს რუსეთის რევანშისტული ძალები წარმოადგენდნენ, რომლებიც ხელს უშლიდნენ როგორც რუსეთის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას, ასევე საქართველოს სტაბილურ განვითარებას.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს ლიდერის ეს გამოსვლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში მშვიდობის, სტაბილურობის, თანხმობის, ტოლერანტობის გამომხატველ რიტორიკა ერთგვარად გაზავებულია მკაცრი და პრინციპული გზავნილებით, როგორიცაა, მაგალითად, აქცენტი საკანონმდებლო დონეზე უმრავლესობის უფლებების დარღვევაზე. ეს ვაქტი, ძირითადად, აფხაზეთის ომით იყო განპირობებული, რაც შევარდნაძეს მეტი ნაციონალისტური რიტორიკისკენ უბიძგებდა.

1992-1995 წლების ქართული ნაციონალური პროექტის მნიშვნელოვანი ელემენტია შევარდნაძისული ე. წ. ბალანსის პოლიტიკა, რომელიც ამ პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს. ეს მიმართულება გულისხმობდა, ერთი მხრივ, დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოებას და, მეორე მხრივ, რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. საგარეო ასპარეზზე ასეთი წინააღმდეგობრივი პოლიტიკა შეგვიძლია ავხსნათ ქვეყნის შეგნით არსებული ვითარებით. ეს იყო პრაგმატული პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანი ხელისუფლების ცენტრალიზაცია და ძალაუფლების შენარჩუნება/განმტკიცება იყო. როგორც დავინახეთ, ყველაზე მწვავე კრიზისის დროს – 1993 წლის ოქტომბერში – შევარდნაძემ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშიც კი შეიყვანა, რამაც მისი ხელისუფლების შენარჩუნებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა. ასევე დასავლურ პოლიტიკურ და საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაცია აუცილებლად გულისხმობდა. სამოქალაქო, ზომიერი ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას და ინკლუზიურ ნაციონალურ პროექტს

1992 წლის 8 დეკემბრის რადიოინტერვიუში<sup>84</sup> შევარდნაძე ამბობდა, რომ საქართველოს უველავერი უნდა ედონა აფხაზეთის ომის ღირსეულად დასამთავრებლად. “ამ დასკვნამდე მისვლა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო, რადგან ყოველთვის კომპრომისის და შერიგების მკვეთრად გამოხატულ პოზიციაზე

<sup>84</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. № 250. 1992.

ვიდექი და ვდგავარ. მაგრამ ახლა, ძალით თავსმოხვეულ ამ ომში, ჩვენი ანალიზით, ამის ყველა შანსი ამოწურულია. უნდა გავაკეთოთ ის, რაზეც საქართველოში ამჟამად ყველა ოჯახი, ყველა მოქალაქე ოცნებობს და ბოლო მოვულოთ ასეთ ვითარებას უმოკლესი გზით, თუნდაც იგი ყველაზე ეკლიანი იყოს.” შევარდნაძის სიტყვით, საქართველოს თავად უნდა გადაეწყვიტა საკუთარი ბედი, დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. იგი ამბობდა, რომ ეს არ ნიშნავდა აფხაზების განადგურებას, პირიქით, აფხაზეთს ნამდვილი და ქმედითი ავტონომია უნდა პქონოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემას ეფექტურად გადაწყვეტდა. ამ ინტერვიუში შევარდნაძე პასუხისმგებლობასაც იღებდა აფხაზეთში ქართული ჯარის შესვლაზე და ამ ფაქტს ლეგიტიმურს და საფუძვლიანს უწოდებდა. შევარდნაძის ასეთი გზავნილები, გარკვეულწილად, ტერიტორიული მთლიანობის იდეის გარშემო საზოგადოების მობილიზაციასაც ემსახურებოდა. ნაციონალისტური და ეროვნული ინტერესების მკაცრი დაცვისკენ მიმართული რიტორიკით იგი ცდილობდა, ამ ომში საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა მოეპოვებინა. შევარდნაძე საუბრობდა იმაზე, რომ ქვეყანას საკმარისი სამხედრო პოტენციალი პქონდა კონფლიქტის ეფექტურად გადასაწყვეტად. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც დავინახეთ, იგი მაინც წავიდა კომპრომისზე და რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმები გააფორმა, რამაც თავისი წვლილი შეიტანა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს მარცხში.

სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისა და უმცირესობათა ინტეგრაციის მნიშვნელობას ესმება ხაზი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურის მოხსენებაში, რომელიც მან 1992 წლის 9 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების წინ, მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა.<sup>85</sup> ედუარდ შევარდნაძის სიტყვით, მისი, როგორც პარლამენტის თავჯდომარეობის კანდიდატის ძირითადი გზავნილები იყო თავისუფლება, დემოკრატია, კონსტიტუცია, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნისა და მოქმედების თავისუფლება, ის პრინციპები, რასაც გაერო და ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური მრწამსი და კულტურა აღიარებს. ყოველივე ამ სიკეთეს იგი ჰქილებოდა მოსახლეობის ყველა ჯგუფს,

<sup>85</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. № 210-211. 1992.

საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებს. მისი სიტყვით, საშინაო პოლიტიკაში უმთავრესი იყო დემოკრატიული გარდაქმნები, ეროვნული კონსენსუსი და შერიგება, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება, პიროვნების თავისუფლება, ეროვნული უმცირესობების მიმართ ევროსათათბიროს ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება. იგი ელოდებოდა გაეროს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობის გახსნას საქართველოში, რომელიც საიმედო ინსტრუმენტი იქნებოდა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების სამართლიანი მოწესრიგების საქმეში. შევარდნაძე ასევე პირდებოდა მოსახლეობას, რომ უმცირესობათა უფლებები მომავალ პარლამენტში კონსტიტუციურად იქნებოდა გარანტირებული (ამ დაპირების შესრულება სრულყოფილად არ მოხერხდა). იგი მოუწოდებდა მეცნიერებათა აკადემიას, რომ დაარსებულიყო ეროვნული უმცირესობების და ავტონომიური ერთეულების პრობლემათა შემსწავლელი ცენტრი. “მე მივმართავ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს, მოვუწოდებ მათ თანამშრომლობის, ძმობისა და მეგობრობისკენ. არჩევის შემთხვევაში, პარლამენტიც და მისი თავმჯდომარეც იძლევიან მათი უფლებების დაცვის სრულ გარანტიებს,” – განაცხადა შევარდნაძემ. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ განსაცდელის უამს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ყოველთვის გვერდით ედგნენ ქართველებს და მათთან ერთად იარაღით ხელში იცავდნენ საქართველოს ინტერესებს.

საზოგადოების ერთიანობისა და ეროვნული თანხმობის იდეა კიდევ ერთხელ გაჟღერდა საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 13 იანვრის სხდომაზე.<sup>86</sup> სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ახალ პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ როგორც ყოფილი დისიდენტები, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, ასევე ყოფილი კომუნისტები და ისინი ერთად შრომობდნენ ახალი ქვეყნის აშენებისთვის. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე ნგრევის ამოცანა იდგა. მისი სიტყვით, ეს მოძრაობა დღესაც გრძელდება, თუმცა ახლა მას აღმშენებლობის მისია აკისრია. “ამ ურთულეს და უძნელეს პირობებში ყველანი უნდა გავერთიანდეთ ერთიანი საქართველოსთვის და ჩვენი პლატფორმები ხელს არ

<sup>86</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №7. 1993.

უნდა გვიშლიდნენ ამ მიზნის განხორციელებაში,” – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით ტრანსფორმაციას, ასევე ხელისუფლების ცენტრალიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1993 წლის 21 ნოემბერს პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს მოქალაქეთა კავშირის” დაფუძნებამ.<sup>87</sup> ეს ორგანიზაცია, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა, დომინანტ ძალად იქცა, რომელიც თითქმის მთელი შემდგომი ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს. დამფუძნებელ კრებაზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ “მოქალაქეთა კავშირი” საქართველოს რესპუბლიკის ყველა რეგიონის, ეროვნების, ფენის, კონფესიის წარმომადგენელს გააერთიანებდა. ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატორთა განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო პარტიის შექმნა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც არსებობდა მწვავე დაპირისპირება ექსპრეზიდენტის მომხრეებთან. ოფიციალური განცხადების მიხედვით, “მოქალაქეთა კავშირი” დაარსდა, როგორც რადიკალური, დესტრუქციული გაერთიანებების ალტერნატიული ძალა. მისი მთელი ძალისხმევა შერიგებისა და სამოქალაქო კონსოლიდაციისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარედ აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მოქალაქეთა კავშირი პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა იდგა. იგი არ იყო პარტიული გაერთიანება, ამ ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობით. “ჩვენი თავი მიგვაჩნია საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი, დემოკრატიული მოძრაობის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისთვის, ჩვენი სამშობლოს ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მემკვიდრეებად.” სახელმწიფოს მეთაურის სიტყვით, ორგანიზაცია ორიენტაციას იღებდა ზოგადსაკაცობრიო დირექტებებზე, შესაბამისად, მის საქმიანობას საფუძვლად დაედებოდა პიროვნების უფლებების, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლებების დაცვის პრინციპი. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ “მოქალაქეთა კავშირი” შეიქმნა ერთაშორის მშვიდობის საკეთილდღეოდ, რაც ხელს შეუწყობდა აფხაზებთან,

<sup>87</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №251. 1993.

ოსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანებთან, რუსებთან მშვიდობიან და მეგობრულ თანაცხოვრებას.

“მოქალაქეთა კავშირის” დამფუძნებელ ყრილობაზე სახელმწიფოს მეთაურის სიტყვის კიდევ ერთი საყურადღებო მომენტია აქცენტი მომავალზე. შევარდნაძის განცხადებით, ეს იყო მომავლის კავშირი, რომელსაც ასპარეზზე უნდა გამოეყვანა პოლიტიკოსთა ახალი თაობა, ვისაც შესწევდა ნგრევის შეჩერებისა და აღმშენებლობის ძალა. მისი სიტყვით, სწორედ ნგრევამ გამოიყვანა პოლიტიკურ ავანსცენაზე ბევრი დესტრუქციული და რადიკალური მიმართულების ორგანიზაცია. ახალი პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელ კრებაზე გაედერებული იდეების ნაწილი აისახა საქართველოს რეალობაში – სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ასპარეზიდან თანდათან გაქრნენ რადიკალური მიმართულების გაერთიანებები, წინა წამოიწია პოლიტიკური ელიტის ახალმა თაობამ, რომლის ბირთვი უკვე 2000-იანი წლების დასაწყისიდან შევარდნაძის ოპოზიციად იქცა. თუმცა მანამდე, 1990-იან წლებში, ისინი შევარდნაძის უპირობო მხარდაჭერებად ითვლებოდნენ და საქართველოს იმუამინდელი ლიდერი სტაბილურობისა და კეთილდღეობის მთავარ გარანტიად მიაჩნდათ.

თავად ორგანიზაციის დასახელება – “მოქალაქეთა კავშირი” – მიუთითებდა სახელისუფლებო ელიტის პრიორიტეტებზე. პოლიტიკურ დისკურსში საბაზისოდ იქცა მოქალაქეობის ცნება, რაც განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

“საქართველოს მოქალაქეთა კავშირი” 1993 წლის შემოდგომაზე დაფუძნდა – სულ მცირე ხნის დასრულებული იყო აფხაზეთის ომი, ჯერ კიდევ სამეგრელოში მყოფი ექსპრეზიდენტი გამსახურდია საკუთარი ძალაუფლების აღდგენას ცდილობდა. ცეცხლის აღში გახვეული ქვეყანა და მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წესრიგს და სიმშვიდეს ითხოვდა. შევარდნაძე, საკუთარ მემუარებში, თავს მეხანძრეს ადარებს, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეს აწყდება და ალმოდებულ ქალაქში ცეცხლის ჩაქრობას ცდილობს. “მოქალაქეთა კავშირმა” თავისი პოლიტიკური კურსის უმთავრეს გზავნილად სიტყვა “სტაბილურობა” აქცია, რითაც, ვფიქრობთ, სწორად უპასუხა მაშინდელი ქართული საზოგადოების განწყობებს.

1994 წლიდან შეგვიძლია დავინახოთ სტაბილიზაციის გარკვეული ნიშნები, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საქართველოს საერთაშორისო კავშირების გაღრმავებასთან. ამ პერიოდიდან თბილისში და ქვეყნის სხვა ქალაქებში უკვე იმართებოდა მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიებები. მაგალითად, 1994 წლის შემოდგომაზე თბილისში გაიმართა გაეროს ბაგშვია ფონდ “იუნისეფის” დიდი კონფერენცია, იმავე პერიოდში ჩატარდა “ბისეკის” (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) გარემოს დაცვის კონფერენცია და ამ ორანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.<sup>88</sup> ქვეყანა ნელა, მაგრამ მაინც იძენდა გარკვეულ საერთაშორისო ფუნქციას, რაც მისი აღიარების და ხელისუფლების ფორმალიზაციის თანმხლებ პროცესად უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად ადნიშნულისა, საქართველოში ჯერ კიდევ “მოდაში” იყო რადიკალური ქუჩის აქციები და შიმშილობები. მსგავს ფაქტებს გამოეხმაურა შევარდნაძე 1994 წლის ნოემბერში მიცემულ ტრადიციულ რადიოინტერვიუში.<sup>89</sup> მისი სიტყვით, ყველა ადამიანს აქვს არა მარტო ჭამის, არამედ შიმშილობის უფლებაც, თუმცა შიმშილობებმა, მიტინგურმა აზროვნებამ და მოქმედებამ იმ მასშტაბებით, როგორითაც ეს წინა პერიოდში იყო, ქვეყანას უამრავი უბედურება მოუტანა. “ქუჩური ფსიქოლოგია, არასტაბილურობის კერების გაჩენა და გაჩადება (ჩვენ ამის დიდი სპეციალისტები ვართ), ძალიან ძვირად, აუნაზღაურებლად ძვირად დაუჯდა საქართველოს. ძალიან ძვირად დაგვიჯდა ჩვენ პროვინციული ფაშიზმი.” შევარდნაძე ამბობდა, რომ გარკვეული ძალები კვლავ ცდილობდნენ საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ ქუჩის პოლიტიკა. ეს ის ძალები იყვნენ, რომლებიც ვერ გადაეჩვინე “ქუჩა-ქუჩა წანწალს” პოლიტიკური მიზნებით, თუმცა, მისი აზრით, ამას საზოგადოება გადაეჩვია, რადგან ახალ რეალობაში უწევდა ცხოვრება. “საქართველოს მოქალაქენი ის აღარ არიან, რაც რამდენიმე წლის წინათ იყვნენ. გავიდა ის დრო, გავიარეთ ის ეტაპი და სულ სხვა ხალხთან, სულ სხვა მოქალაქეებთან გვაქვს საქმე. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ადამიანები დღეს მხარს უჭერენ სტაბილურობას, ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებას, თუნდაც, სრულიად უმნიშვნელოს,” – აცხადებდა საქართველოს ლიდერი.

<sup>88</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №172. 1994.

<sup>89</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №194. 1994.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს მომავალთან, სამოქალაქო კონსოლიდაციასთან დაკავშირებით, საყურადღებო „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ I ყრილობა (1994 წლის 22 მარტი).<sup>90</sup> ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარემ წარმოადგინა გეგმა, რომელიც სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტებს სახავდა. ამ გეგმის მიხედვით, „მოქალაქეთა კავშირი“ მიზნად ისახავდა დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი, სუვერენული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. შევარდნაძის პროგნოზით, ამის მიღწევა 2000 წლისთვის იქნებოდა შესაძლებელი. ხელისუფლება აპირებდა კარდინალური საკანონმდებლო რეფორმების გატარებას, რომელთაგან უმთავრესი იყო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება. ეს კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციას უნდა დაფუძნებოდა, თუმცა ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაზრისით რადიკალური ცვლილებები უნდა მომხდარიყო. სახელმწიფოს მეთაურის შეხედულებით, დიდ გარდაქმნას არ საჭიროებდა 1921 წლის კონსტიტუციის ნორმათა ის ნაწილი, რომელიც პიროვნების უფლებრივ სტატუსს ეხებოდა. მისი სიტყვით, ეს ნორმები სრულად შეესაბამებოდნენ თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ქართველი ერი“, გამსახურდიას ეპოქის მსგავსად, ამ პერიოდშიც ეთნიკურ შინაარსს ატარებდა. მომავალი კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმულია, რომ საკონსტიტუციო რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს „ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის“ კონსოლიდაციას, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაწყდეს ევროპული და მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

წარმოდგენილ გეგმაში ხაზი აქვს გასმული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რომელიც ასევე 2000 წლისთვის უნდა დასრულებულიყო. ხელისუფლება მიზნად ისახავდა პლურალისტური საზოგადოების, ქმედითუნარიანი, მყარი, მრავალპარტიული სისტემის შექმნას, პოლიტიკური კულტურის „ცივილიზებული ქვეყნების დონემდე აწევას“, პროვინციალიზმის, საზოგადოების ავადმყოფური პოლარიზაციის დაძლევას, პარტიული დაქუცმაცებულობის გადალახვას. ამ მიზნის მიღწევისა და ქვეყნის

<sup>90</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 43. 1994.

სტაბილურობის მთავარი გარანტი თავად “საქართველოს მოქალაქეთა კავშირი” უნდა ყოფილიყო, რომელიც არაერთ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებდა.

აღნიშნულ ყრილობაზე წარმოდგენილი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროექტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც დროში ზუსტად გაწერილ და მომავალზე მკაფიოდ ორიენტირებულ ერთ-ერთ პირველ დოკუმენტს წარმოადგენს. დასახულია კონკრეტული ვადაც – ეს ყველაფერი 2000 წლისთვის უნდა ყოფილიყო მიღწეული. სხვა საკითხია, რამდენად შეძლო საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ ამ მიზნის განხორციელება, თუმცა თავად გეგმა და მისი ძირითადი მიმართულებები საყურადღებო ინფორმაციას იძლევა იმ პერიოდის ქართული ნაციონალური პროექტის თავისებურებათა შესახებ.

1995 წლიდან კიდევ უფრო ძლიერდება რიტორიკა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. ამ მხრივ საინტერესოა ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი მარნეულში<sup>91</sup>, სადაც იგი შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და ყვავილებით შეამკო შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის ძეგლები. სახელმწიფოს მეთაურმა შეახსენა მარნეულელ აზერბაიჯანელებს, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი უფლებები და თავისუფლებები კონსტიტუციურადაა დაკანონებული. “დარწმუნებული ვარ, რომ ისევე როგორც დღემდე, მომავალშიც მთელ ამ მხარეში ძმურად და მეგობრულად იცხოვრებენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, რუსები, ყველა ერისა და ეროვნების შვილები, რომ ჩვენი მეგობრობა მაგალითი იქნება მთელი კავკასიისთვის, განსაკუთრებით ჩვენი რეგიონისთვის,” – აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა მარნეულელებს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ისინი პატივს სცემდნენ საქართველოს სახელმწიფოს ენას და აღუთქვა, რომ ხელისუფლება თავის თავზე აიღებდა ახალგაზრდა თაობებისათვის ქართული ენის სწავლების ორგანიზებას. მან პირობა მისცა შეკრებილებს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც პატივისცემით მოეპყრობოდა აზერბაიჯანულ ენას, კულტურასა და ტრადიციებს, რომ მათთვის გარანტირებული და უზრუნველყოფილი იქნებოდა სწავლება მშობლიურ ენაზე,

<sup>91</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №147. 1995.

ლია იქნებოდა უმაღლესი სასწავლებლების კარი როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. “დავამყაროთ მშვიდობა ჩვენს სახელმწიფოში და ერთად მივაღწიოთ მშვიდობასა და სტაბილურობას მთლიანად ამიერკავკასიაში,” – განაცხადა შევარდნაძემ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ შევარდნაძე იმავე დღეს გაემგზავრა მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში, სადაც სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ. სახელმწიფოს მეთაურმა სომხებს მოუწოდა, ჩართულიყვნენ საქართველოში დაწყებულ აღმშენებლობით პროცესებში და ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად ეგრძნოთ თავი.

1995 წლის მარტში თბილისში, მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით, ჩატარდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის პირველი ფორუმი. ფორუმს ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაური და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ფორუმის მიმდინარეობისას ხაზის გაესვა საქართველოს ქართველი და არაქართველი მოქალაქეების მშვიდობიანი თანაცხოვრების და თანასწორუფლებიანობის მნიშვნელობას. ამ ფაქტს ედუარდ შევარდნაძე ინტერვიუშიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს ფორუმი ნიშნავდა სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა შორის ახალი ურთიერთობების მშენებლობის დაწყებას. “ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ბედნიერი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას, თუ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა სამშობლო გახდება,” – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა. მან ხაზი გაუსვა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის, ადამიანთა უფლებების დაცვის, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის, ერთიანობასა და მთლიანობაზე ზრუნვის მნიშვნელობას. მხოლოდ ამ გზით იქნებოდა შესაძლებელი იმ მანკიერებების გადალახვა, რომელიც ბოლო წლებისთვის იყო დამახასიათებელი.<sup>92</sup>

იმავე პერიოდში, 1995 წლის 13 ივნისს, თბილისში გაიმართა ფორუმი “კულტურათა დიალოგი სოლიდარობისთვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად”.<sup>93</sup> ფორუმზე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც ხაზი გაუსვა ტოლერანტობის სწავლების მნიშვნელობას

<sup>92</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №30. 1995.

<sup>93</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა”. №83. 1995.

მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში. მან ისაუბრა საქართველოზე, მის წარსულსა და აწმუნზე, ქვეყანა წარმოადგინა როგორც ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ადგილი, სადაც ერთმანეთს ერწყმოდნენ კულტურები და რელიგიები. სხვათა შორის, ამ მხრივ, შევარდნაძე ეხმიანებოდა და აგრძელებდა მისი წინამორბედის, ზეიად გამსახურდის იდეებს საქართველოს ისტორიულ ფუნქციასთან დაკავშირებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, რიტორიკა გაცილებით დაბალანსებული და რაციონალური იყო. სახელმწიფოს მეთაურის შეხედულებით, პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებული დესტრუქციული პროცესები სწორედ შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ნაკლებობამ გამოიწვია. ამის მაგალითად მას თბილისი და გადამწვარი რუსთაველის პროსპექტი მოჰყავდა. მისი სიტყვით, ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც საქართველოს ისტორიულ სიმდიდრეს წარმოადგენდა, დღეს კონფლიქტების, ეთნოწმენდისა და გენოციდის წყაროდ იქცა. 300 000-მდე საქართველოს მოქალაქე გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან, ათასობით დახვრიტებს და აწამეს. შევარდნაძე გამოთქვამდა იმედს, რომ კულტურებს შორის დიალოგი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეოდა.

1995 წელი საქართველოს კონსტიტუციის მიღების წელია, შესაბამისად, აქტიური დებატები მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტს აგვისტოში უნდა მიეღო. საინტერესოა საკონსტიტუციო კომისიის 1995 წლის 29 მაისის სხდომა<sup>94</sup>, რომლის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან და სტატუსთან დაკავშირებით. კომისიის წევრები ეჭვავეშ არ აყენებდნენ იმ ფაქტს, რომ უმცირესობათა საკითხები კონსტიტუციაში სათანადოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა განსხვავებული იყო დამოკიდებულება ამ საკითხების ასახვის გზებისადმი. კომისიის წევრების ნაწილი ფიქრობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი, უპირველესად, საქართველოს მოქალაქეა, ხოლო შემდეგ – ქართველი, ოსი, აფხაზი, სომეხი და ა. შ. ამ პოზიციის მომხრები ფიქრობდნენ, რომ

<sup>94</sup> გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №60. 1995.

კონსტიტუციაში უმცირესობებისთვის ცალკე მუხლის დათმობა, შეიძლებოდა, მათი ერთგვარი შეურაცხყოფა ყოფილიყო.

არსებობდა მეორე პოზიცია, რომლის მომხრეები თვლიდნენ, რომ უნდა შენარჩუნებულიყო 1921 წლის კონსტიტუციის სტანდარტი და უმცირესობათა საკითხი ცალკე ყოფილიყო გატანილი. ედუარდ შევარდნაძის სიტყვით, ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული დებულებები კონსტიტუციაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა ასახულიყო, თუმცა შესაძლებელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის გამოყენებაც. სახელმწიფოს მეთაურმა საკუთარი გამოსვლისას კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფდა თითოეული მოქალაქის თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი “ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა”. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ეს კეთდებოდა არა საერთაშორისო სამართლის ნორმებისთვის ხარჯის გადასახდელად, არამედ ეს იყო ქართველების თანდაყოლილი თვისება, რომელიც “ჩვენ სისხლში გვიზის და ჩვენი მრწამსია”.

“სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს ეროვნულ, ენობრივ თუ რელიგიურ უმცირესობათა უფლება – თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის და ჩარევის გარეშე განავითარონ თავისი კულტურა, ისარგებლონ დედა-ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ, რისთვისაც მრავალეროვან ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებში კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გამოყოფილი სახსრების ნაწილი უნდა მოხმარდეს ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას.” – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

მიუხედავად უმცირესობათა უფლებების განუხრელი მხარდაჭერისა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმცირისობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. შევარდნაძის სიტყვით, ამ პრინციპის დაცვა აუცილებელია იმ მწარე გამოცდილების საფუძველზე, რომელიც საქართველოში არსებობდა. იგი გულისხმობდა აფხაზეთის კონფლიქტს, სადაც, მისი აზრით, უმცირესობისთვის მინიჭებულმა გადაჭარბებულმა უფლებებმა უმრავლესობა დააზარალა და საქართველოს მთლიანობის დარღვევა გამოიწვია.

**სამოქალაქო ომის რეციდივები.** მიუხედავად სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებისა სამოქალაქო კონსოლიდაციისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიმართულებით, მშვიდობისა და შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოში არსებული რეალური ვითარება კვლავ კონფრონტაციული და ფეთქებადსაშიში იყო. აფხაზეთის ომის დასრულებისა და ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, დაპირისპირების ავანსცენად თბილისი იქცა. მკვლელობები, ტერაქტები, “საძმოებად” დაყოფილ შეიარაღებულ ფორმირებებს შორის კონფლიქტები დედაქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ექსპერტი დავით გამცემლიდე 1993-1995 წლების პერიოდს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს უწოდებს, რადგან ამ დროს სრულდება სამოქალაქო ომი და იწყება ბრძოლა ხელისუფლების კონსოლიდაციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის.<sup>95</sup> ამ პერიოდიდან ძველი მოკავშირები მტრებად იქცნენ. ხელისუფლებას ჩამოშორნენ გამსახურდიას დამხობის ორგანიზატორები, ყოფილი სამხედრო საბჭოს წევრები, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. დაპირისპირება გადრმავდა ედუარდ შევადნაძესა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მის მთავარ დასაყრდენ ჯაბა იოსელიანს შორის. აფხაზეთში ხანგრძლივი ომის შემდეგ დედაქალაქში დაბრუნებული იოსელიანი და მისი გადარჩენილი თანამებრძოლები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ხელისუფლების კონსოლიდაციის გზაზე დამდგარ შევარდნაძეს ძალაუფლებაში მოცილე აღარ სჭირდებოდა. სახელმწიფოს მეთაურს მოწინააღმდეგები საკუთარ მთავრობაშიც გაუჩდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ 1993 წლიდან, სამოქალაქო ომის შემდეგ, საქართველომ თანდათან დაიწყო პროდასავლური კურსის განხორციელება. ამ ტენდენციას დაუპირისპირდა ხელისუფლების ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით ისინი, ვინც შევარდნაძემ რუსეთის ხელისუფლების რეკომენდაციით დანიშნა (მაგალითად, ასეთები იყვნენ თავდაცვის მინისტრი გარდიკო ნადიბაიძე და უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე).

ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლების კონსოლიდაციისთვის ბრძოლიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა. ამ წელს საქართველოში დასრულდა

<sup>95</sup> ინტერვიუ დავით გამცემლიდესთან იხ. ომია ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “განგსტერული საქართველო” <https://www.youtube.com/watch?v=ioTmNY7ZTVk>

ნახევრად გასამხედროებული, არაფორმალური გაერთიანებების ძალაუფლების პერიოდი, რომლებიც პროცესებს ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან აკონტროლებდნენ. ზოგიერთი იმდროინდელი პოლიტიკოსის შეხედულებით, ეს არ იყო ბრძოლა მხოლოდ ძალაუფლებისთვის, ეს იყო ბრძოლა საქართველოს არჩევანისთვის, თუ რა გზით წავიდოდა იგი – დასავლურ პოლიტიკურ კურსს აირჩევდა თუ რუსულს. ვახტანგ რჩეულიშვილი ამბობს, რომ ეს იყო რუსეთის და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირების კონკრეტული გამოხატულება თბილისში, რადგან ედუარდ შევარდნაძე ამ პერიოდიდან მკვეთრად ირჩევს პროდასავლურ, კონკრეტულად, პროამერიკულ კურსს.<sup>96</sup>

### 3.1.1. ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებები – კანონი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუცია

1992-1995 წლებში ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო ფუნდამენტურმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. მთავარი აქტები, რომლებმაც, ერთი მხრივ, ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო იდენტობის დისკურსის გაძლიერება განაპირობეს, არის კანონი მოქალაქეობის შესახებ და საქართველოს კონსტიტუცია.

ზოიად გამსახურდიას პოლიტიკური კოალიციის “მრგვალი მაგიდია – თავისუფალი საქართველოს” ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან, მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება აქტიური დისკუსიის საგანი გახდა. თავდაპირველად გამსახურდია რადიკალურ პოზიციაზე იდგა და საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ითხოვდა. მიუხედავად ამისა, 1991 წლის ივნისში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ლიბერალური ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ზოიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი, როდესაც ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა უკვე შეიძინა გარკვეული სამოქალაქო მახასიათებლები და ეს ტენდენცია მიღებულ კანონშიც აისახა. უზენაესმა საბჭომ კანონი კი მიიღო, მაგრამ იმუამინდელი ხელისუფლება მმართველობის ბოლო თვეებს ითვლიდა და მისი რეალური ამოქმედება აღარ მოხერხდა.

<sup>96</sup> ინტერვიუ ვახტანგ რჩეულიშვილთან იხ. იქვე.

სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დამდგარმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ 1993 წლის 25 მარტს ხელახლა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ.<sup>97</sup> კანონის მიღებისას, რომელიც ცალსახად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭა საქართველოს ყველა მაცხოვრებელს. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ლიბერალიზმის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმა მოქალაქეობის შესახებ გაუსწრო ბევრ ეკროპულ დემოკრატულ სახელმწიფოს (Jones 2006: 260).

მოქალაქეობა მიენიჭა საქართველოს ყველა მცხოვრებს, რომელიც კანონის მიღების დროისთვის, ანუ 1993 წლის მარტისთვის, ქვეყანაში ცხოვრობდა. კანონში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები. სახელმწიფომ განაცხადა, რომ დაიცავდა თავისი მოქალაქეების უფლებებს როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ეს კანონი, დღევანდელი პერსპექტივიდანაც, ცალსახად ინკლუზიურია, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეობის მიღების მსურველებს არანაირ სპეციალურ მოთხოვნებს არ უყენებს. სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მყოფ ქვეყანაში მსგავსი კანონი ნამდვილად შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკვანძო ხასიათის დოკუმენტი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა სამოქალაქო ქართული ნაციონალური პროექტის შემდგომი განვითარება. სამოქალაქო ნაციონალიზმის განსაზღვრისას მოქალაქეობის ცნებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ მოქალაქის ლოიალურობა

<sup>97</sup> კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ იხ. ბმულზე:  
<http://mra.gov.ge/res/docs/2013110412031013274.pdf>

სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დამკვირებული ფასეულობების მიმართ არის ის ფუნდამენტი, რომელსაც სამოქალაქო იდენტობა უნდა დაეფუძნოს.

მეორე უმნიშვნელვანესი აქტი, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ქართული ნაციონალური პროექტის ინკლუზიური, სამოქალაქო ბუნება, არის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია.<sup>98</sup>

კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება, დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციას დაეფუძნა, რითაც ხაზი გაესვა 1918-1921 წლების დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მემკვიდრეობითობას და სახელმწიფოებრიობის ერთგვარ უწყვეტობას. ასევე ხაზი გაესვა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარდა. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა ასევე დადასტურდა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით. კონსტიტუციით სახელი შეეცვალა საქართველოს რესპუბლიკას და ეწოდა საქართველო. ქვეყნის სახელმწიფო ენად განისაზღვრა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური.

ზოდად გამსახურდიას მმართველობის პერიოდიდან მუდმივად მიმდინარეობდა აქტიური დებატები იმასთან დაკავშირებით, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადებულიყო. ზემოთ განვიხილეთ გამსახურდიას არაერთი საჯაროდ გამოთქმული მოსაზრება თუ მიმართვა, სადაც იგი ლიად აფიქსირებდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სურვილს. 1995 წლის კონსტიტუციამ ზღვარი დაუდო ამ თემის სახელმწიფო დონეზე განხილვას და ოფიციალურ ქართულ ნაციონალურ პროექტს საბოლოოდ მისცა სეკულარული ხასიათი. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, თუმცა, ამავე დროს, აღიარა საქართველოს სამოციქულო ავტოკუფალური მართლმადიდებლური რელიგიის

<sup>98</sup> საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია იხ. ბმულზე:  
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში, აღიარებულ იქნა აგრეთვე სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპი.

მოქალაქეობის შესახებ კანონის მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციაც აღიარებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, განურჩევლად რასობრივი, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა. კონსტიტუციის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ასევე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაქანით როგორც საჯაროდ, ასევე პირად ცხოვრებაში. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციითაა გარანტირებული. სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაეწია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის.

1995 წლის კონსტიტუციით შემოღებული იქნა პრეზიდენტის პოსტი და ქვეყანა განისაზღვრა, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა. საქართველოს პრეზიდენტის მიენიჭა სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება. იგი გახდა ქვენის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. პრეზიდენტის პოსტის შემოღებით, შევარდნაძის ხელისუფლებამ დაასრულა ძალაუფლების ცენტრალიზაცია და კონსოლიდაცია.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც საკონტიტუციო კომისიის წევრებს შორის არსებობდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ცალკე თავად არსებობა-არარსებობის საკითხზე. საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით, 1921 წლის კონსტიტუციისგან<sup>99</sup> განსხვავებით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში სპეციალური მუხლი არ აქვს დათმობილი უმცირესობათა უფლება-მოვალეობებს. ცალკეულ თავებში ვხვდებით დებულებებს, რომ

<sup>99</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია იხ. ბმულზე: <http://constcommission.ge/1921>

საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია, განურჩევლად სხვადასხვა სახის მიკუთვნებულობებისა. ეს ფაქტი ცალსახად მიუთითებს შესასწავლი პერიოდის ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ხასიათზე. ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფომ დაადასტურა საკუთარი მოქალაქეების საყოველთაო თანასწორობა და ცალკე არ გამოყო ამა თუ იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის განსაკუთრებული უფლება-მოვალეობანი.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, მოქალაქეობის საკითხმა 1995 წლის კონსტიტუციაშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა. შესაბამისად, 1995 წლიდან საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა საბოლოოდ გადავიდა სამოქალაქო ნაციონალიზმის რელსებზე. ამ ორმა ფუნდამენტურმა საკანონმდებლო აქტმა ზღვარი დაუდო “ოფიციალური ნაციონალიზმის” წინააღმდეგობრიობას. საქართველოს საზოგადოება უკვე ახალ რეალობაში განაგრძობდა ცხოვრებას.

### **3.2. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ – საქართველო 1995-2003 წლებში**

1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველოში დაინიშნა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც იმავე წლის 5 ნოემბერს ჩატარდა. მოსახლეობამ ერთდროულად აირჩია ქვეყნის პრეზიდენტი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება პქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 000 მხარდაჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც საქართველოს პარლამენტში პყავდა წარმომადგენელი კონსტიტუციის მიღების დღისთვის. პროპორციული სისტემის მიხედვით არჩევნები ტარდებოდა ერთიანი პარტიული სიით. პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება პქონდა, მაჟორიტარულ ოლქში წარედგინა დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც მის პარტიულ სიაში არ იყო. აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის გამო, არჩევნები არ დანიშნულა, ამიტომ აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსიღება გაუგრძელდა. აფხაზეთის წარმომადგენლობა შედგებოდა 12 დეპუტატისგან. კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანახმად, პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით. არჩევნებში 53 პოლიტიკური გაერთიანება და პარტია მონაწილეობდა, თუმცა 5%-იანი ბარიერი მხოლოდ სამმა მათგანმა გადალახა. ყველაზე მეტი, ამომრჩეველთა ხმების 23% მოიპოვა “საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა”, “ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ” 8%, ხოლო ასლან აბაშიძის “აღორძინების კავშირმა” 7%-მდე მიიღო.

შევარდნაძის პოლიტიკურმა ბლოკმა “მოქალაქეთა კავშირმა”, მართალია, ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვა, თუმცა მან საქართველოს პარლამენტში 90 სადეპუტატო მანდატი მიიღო, ასევე ამ გაერთიანებამ შეძლო საკანონმდებლო ორგანოში 18 მაჟორიტარის გაყვანა.

ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს ახალ პარლამენტში მნიშვნელოვანი დასაყრდენი პყავდა. მან დამაჯერებლად გაიმარჯვა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, მიიღო რა ამომრჩეველთა ხმების 74%. მის გარდა, საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ 5 კანდიდატი მონაწილეობდა, რომელთაგან ყველაზე მეტი – ხმების 16% - ყოფილ კომუნისტ ფუნქციონერს ჯუმბერ პატიაშვილს ერგო. არჩევნებში ასევე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

წევრი და “რუსთაველის საზოგადოების” თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე, თუმცა მან მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია.<sup>100</sup> საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ედუარდ შევარდნაძემ საბოლოოდ განიმტკიცა ძალაუფლება.

1995 წლის 26 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია. საინაუგურაციო სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ამ დღის ისტორიულობას, მისი სიტყვით, ეს იყო საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედების, შესაბამისად, ქართული სახელმწიფოებრიობის ზეიმი, საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, თავისუფლების დღესასწაული.

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა წარსულთან კავშირსა და ისტორიის უწყვეტობაზე – “ეს არა მარტო თანამედროვე საქართველოს დღესასწაულია, ეს ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ერეკლე მეორის საქართველოს ზეიმიც გახლავთ.” შევარდნაძემ განაცხადა, რომ ინაუგურაციაზე მისვლამდე მთაწმინდის პანთეონში იმყოფებოდა, სადაც პატივი მიაგო დიდი წინაპრების ხსოვნას. ამ აქტით, რომელიც, მისი სიტყვით, ტრადიციად უნდა ქცეულიყო, შევარდნაძემ სიმბოლურად გამოხატა, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყო “ისტორიულ დროთა კავშირის” სიმბოლო (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 29).

ედუარდ შევარდნაძის საინაუგურაციო სიტყვა რელიგიურ რიტორიკასაც შეიცავდა. ინაუგურაციის წინ პრეზიდენტი, კათალიკოს-პატრიარქთან ერთად, სვეტიცხოველს ესტუმრა. შევარდნაძის სიტყვით, ეს ვიზიტი დატვირთული იყო “ღვთაებრივი შინაარსით”, ეს იყო პრეზიდენტის ღმერთთან ლაპარაკი, თუ როგორ წარუდგვს ერს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტმა ილია ჭავჭავაძის ციტირებით საკუთარი თავი “თერგდალეულებთან” დააკავშირა, რომლებიც, მისი სიტყვით, ქართველი ერის “მამამთავრები” იყვნენ. ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა საქართველოს ეკლესიის მნიშვნელობას, თუმცა განაცხადა, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია და მან სახელმწიფოს მხარდამხარ, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად უნდა იზრუნოს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაზე.

<sup>100</sup> ინფორმაცია არჩევნებისა და მისი შედეგების შესახებ იხ. ბმულზე: <http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>

შევარდნაძემ განაცხადა, რომ იქნებოდა საქართველოს მოქალაქეების საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი და აღნიშნა, რომ ადამიანური განზომილება სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლესი კრიტერიუმია.

პრეზიდენტმა მისი მმართველობის ერთ-ერთ ძირითად მიზნად, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება გამოაცხადა. შევარდნაძის შეხედულებით, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოგვარების გარეშე. კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილ პრეზიდენტის სახელმწიფო პროგრამას უნდა უზრუნველყო ყველა ეთნიკური, ეროვნული, ენობრივი უმცირესობის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან კონსტრუქციული ურთიერთობების, პლურალიზმის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დანერგვას (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 34).

პრეზიდენტს საკუთარ მიმართვაში დიად არ გაუკეთებია აქცენტი ქვეყნის საგარემო პოლიტიკურ კურსზე. იგი ზოგადი გზავნილებით შემოიფარგლა, მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას დემოკრატიული წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისკენ, პოსტსაბჭოთა განვითარებადი ქვეყნების დახმარებისკენ, საერთაშორისო სივრცეში მათი დირსეული ინტეგრაციის მიზნით, აგრეთვე ტერორიზმის, აგრესიული სეპარატიზმისა და ექსტრემისტული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. შევარდნაძემ განაცხადა, რომ უახლოეს წლებში კიდევ უფრო ამაღლდებოდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სუვერენული ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 37).

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, შევარდნაძის სიტყვაში მკაფიო განცხადება არ გაკეთებულა, სახელმწიფოს მოწყობის ის მოდელი, რომელზეც პრეზიდენტი საუბრობდა, თავისთავად გულისხმობდა დასავლურ ორიენტაციას და ევროპულ სისტემასთან ადაპტაციას. “სამართლებრივი სახელმწიფო, დია სამოქალაქო საზოგადოება, სოციალურად ორიენტირებული საბაზოო ეკონომიკა, დემოკრატია, სუვერენიტეტი, თავისუფლება, კონსიტიტუციისა და კანონის უზენაესობა – აი, ჩვენი მთავარი

მიზნები და ამოცანები,” – განაცხადა შევარდნაძემ (საქართველოს პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვები 2007: 38).

### 3.2.1. ადაპტაცია დასავლურ სამყაროსთან

აფხაზეთის ომის დროს ნათლად გამოჩნდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ბუნდოვანი ხასიათი. სახელმწიფოს იმუამინდელი მეთაური, ერთი მხრივ, ღიად უწოდებდა ამ ომს საქართველო-რუსეთს შორის დაპირისპირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებებით დაკანონა რუსეთის, როგორც შუამავლის როლი ქვეყანაში არსებულ ეთნოპოლიტიკურ კოფლიქტებში. სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთი საჯარისო შენაერთების ყოფნას ლეგალური საფუძველი შეექმნა (კერესელიძე 2012: 22). როგორც 1992-1995 წლებში მიმდინარე პროცესების ანალიზის დროს დავინახეთ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ხშირად საუბრობდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაზე.

1994 წელს გაფორმდა ჩარჩო-ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს დოკუმენტი მოიწონა და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. ანტირუსული განწყობების ფონზე, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაც ამ პოლიტიკის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. მაშინ ეს ფაქტი ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთის დაბრუნების რეალური პერსპექტივის შენარჩუნებით ახსნა.

მიუხედავად პოლიტიკის წინააღმდეგობრიობისა და ბუნდოვანებისა, იგი სავსებით ლოგიკურად შეგვიძლია ავხსნათ, თუ გავიხსენებთ 1992-1993 წლებში საქართველოში არსებულ ვითარებას. ქვეყნის დანაწევრებისა და ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის ქვეშ მყოფი ედუარდ შევარდნაძე მისთვის ჩვეული ლავირების პრაგმატულ პოლიტიკას ატარებდა. მას შემდეგ, რაც მან შეინარჩუნა და განიმტკიცა ხელისუფლება, თანდათან შეცვალა საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტი დასავლეთის სასარგებლოდ. ძალაუფლების ფორმალიზაციისა და გამყარების პროცესი 1995 წლის კონსტიტუციითა და არჩევნებით დასრულდა. შევარდნაძის კურსის ცვლა, ერთი მხრივ, რუსეთის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში არსებული პრორუსული ძალების

უკმაყოფილებას იწვევდა. ერთ-ერთი ვერსიით, 1995 წელს შევარდნაძის ლიკვიდაცია სწორედ პროდასავლური კურსის გამო სურდათ.

1996 წლიდან პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი უკვე მკვეთრად იხრება დასავლეთისკენ. ურთიერთობები გაძლიერდა დასავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1996 წელს დაიწყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) კონტაქტების გაღრმავება პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის მეშვეობით. 1999 წლიდან, რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გაუარესდა. საქართველო გამოვიდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. ჩეჩნეთის მეორე ომის დროს საომარ მოქმედებებს გამოქვეყლი ლტოლვილები პანკისის ხეობას მოადგნენ. ჩეჩენი მებრძოლების მფარველობის საბაბით, რუსეთის სამხედრო ავიაციამ რამდენჯერმე დაარღვია საქართველოს საპატიო სივრცე (კერძებულიძე 2012: 23). რუსეთთან გართულებული ურთიერთობების ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 2002 წლიდან აშშ-მ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად საქართველოში დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის განხორციელება. 1999 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩაერთნენ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში.

1999 წელს ეუთოს სტამბულის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, რომელიც წლების შემდეგ, მაგრამ მაინც შესრულდა.

საქართველო გაწევრიანდა რეგიონული და ეკონომიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციებში – ეუთოში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ბისეკი), მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციაში. ქვეყანას რეგულარ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

1993 წლიდან დასავლეთს მზარდი ინტერესი გაუჩნდა კასპიის ზღვის აუზის ნავთობის რესურსებისადმი. დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან დაიწყო გაცნობითი ვიზიტები; შემუშავდა საერთაშორისო სტრატეგიული მნიშვნელობის გნერგოპროექტები. მაგალითად, 1993 წელს მრავალმხრივი შეთანხმების

ხელმოწერით ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შეიმუშავა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) პროგრამა, რომელსაც საქართველოც შეუერთდა. საქართველო ასევე გახდა ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ძირითადი მილსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტების ნაწილი (კერძელიძე 2012: 24).

დასავლური ინტეგრაციის გზაზე პრაქტიკული ნაბიჯების პარალელურად, 1996 წლიდან გამდიერდა პროდასავლური რიტორიკა. 1996 წლის აპრილში საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. პრეზიდენტი შევარდნაძის მიერ ლუქსემბურგში წარმოთქმული სიტყვა საყურადღებო გზავნილებს შეიცავდა.<sup>101</sup>

პრეზიდენტი შეთანხმებაზე ხელმოწერას ისტორიულს უწოდებდა, რადგან ჩვენი წინაპრები გამუდმებით ეძებდნენ გზებს ევროპასთან დასაახლოებლად. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მათი ნაფიქრალი უკვე რეალურ კონტურებს იძენდა – გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით. შევარდნაძის სიტყვით, ევროპასთან დაახლოება ქართველი მოდვაწებისთვის არასოდეს ყოფილა უბრალო ახირება, ისინი ნათლად აცნობიერებდნენ იმ აუცილებელ ჭეშმარიტებას, რომ სწორედ ევროპაში ჩაისახა და განვითარდა პიროვნების ის პარადიგმა, რომლის მიხედვით, ადამიანთა მოდგმა უნდა გათავისუფლებულიყო მისივე ხელით შემქნილი ბორკილებისგან. “დღევანდელი ევროპის კავშირი ცივილიზებული ინტეგრაციის მაგალითს წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით გზას უკვალავს დანარჩენ მსოფლიოს, მათ შორის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას”. შევარდნაძე თვლიდა, რომ ევროინტეგრაცია არ ეწინაღმდეგებოდა დსტ-ს ინტერესებს, პირიქით, იგი ხელს იწყობდა ამ ორგანიზაციის შემდგომ წინსვლას.

შევარდნაძე მიიჩნევდა, რომ ევროპული სტრუქტურების ურთიერთობას ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი რამეს შეეძლო, შეუქცევადი გაეხადა დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, ხელი შეეწყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, ეს, პირველ რიგში, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება იყო.

<sup>101</sup> გვ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №76. 1996.

პრეზიდენტი გმაყოფილებას გამოთქვამდა ევროპის მზარდი ინტერესით კავკასიის სახელმწიფოების მიმართ, რასაც ევროკავშირი საქმით ადასტურებდა. მან მადლობა გადაუხადა ევროპულ სახელმწიფოებს საკვები პროდუქტებით მომარაგების პროგრამებისთვის, რომელმაც ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა. შევარდნაძე იმედოვნებდა, რომ დაიწყებოდა ევროპა-ამერიკა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტი, რომელსაც მან საუკუნის პროექტი უწოდა. მისი განხორციელების შემთხვევაში, კავკასია აღიდგენდა თავის ისტორიულ ფუნქციას – გახდებოდა კონტინენტებისა და ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდი.

საქართველოს ამოსვლა სამოქალაქო ომის ჭაობიდან და სახელმწიფოებრიობის გზაზე დადგომა შევარდნაძემ პირდაპირ დაუკავშირა ევროკავშირის ძალისხმევასა და დახმარებას. “საქართველომ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამოიარა ჯოჯოხეთი. ეს იყო ყველას ომი ყველას წინააღმდეგ, კრიმინალური ბანდების თარეში, რომლებმაც ქვეყანა გავლენის სფეროებად დაყვეს”. პრეზიდენტის სიტყვით, ცოტაც – და ქვეყანა საბოლოოდ იქცეოდა კრიმინალურ სახელმწიფო. სწორედ მაშინ, 1992 წლის ზაფხულში, ევროკავშირმა მიიღო საქართველოს დახმარების ისტორიული გადაწყვეტილება, რამაც შესაძლებელი გახადა თვისებრივი ცვლილებები ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. აილაგმა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და დამყარდა წესრიგი.

1999 წლის 12 იანვრის რადიოინტერვიუში<sup>102</sup> საქართველოს პრეზიდენტმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან საქართველოს დასავლური ინტეგრაცია, მისი საერთაშორისო ფუნქცია და ქვეყანაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება. “აბრეშუმის გზის” პროექტზე საუბრისას მან განაცხადა, რომ კონფლიქტების მოგვარებით რუსეთიც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რადგან ამ შემთხვევაში იგი უშუალოდ ჩაერთვებოდა პროექტის განხორციელებაში და უმოკლესი გზით დაუკავშირდებოდა სამხრეთის ბაზრებს. “აღორძინებულ “აბრეშუმის გზას” მე მეგობრობისა და სტაბილურობის ხიდსაც დავარქევდი,” – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან ასევე ისაუბრა აფხაზეთის კონფლიქტზე და თქვა, რომ ევროპული უშიშროების პრინციპები შეუთავსებელია ისეთ კონფლიქტებთან, როგორიც

<sup>102</sup> გამ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №9. 1998.

აფხაზეთში განვითარდა, რამდენადაც არსებობს მისი უფრო ფართო არეალზე გავრცელების საფრთხე. შევარდნაძის სიტყვით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან ასევე შეუთაგსებელია ეთნოწმენდა, ეს კი აფხაზეთის რეალობაა, რომელიც აღიარებულია ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტბზე. “ნურავის დაავიწყდება სოხუმშიც და თბილისშიც, რომ ჩვენ ევროპული სივრცის ნაწილი ვართ, რაც დიდ პასუხიმგებლობას გვაკისრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უპირობო აღიარების თვალსაზრისით,” – განაცხადა მან.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა. ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ პოსტსაბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად, რომელიც მან ევროინტეგრაციის მიმართულებით გადადგა. ევროსაბჭოს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ წარმოთქვა ისტორიული სიტყვები – “მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი”, რომელიც შემდგომი პერიოდის საქართველოს ერთგვარ ლოზუნგად იქცა დასავლური ინტეგრაციის გზაზე. ჟვანიამ აღნიშნა, რომ საგარეო-პოლიტიკური კურსი ევროპისკენ არ იყო მხოლოდ პრეზიდენტის ახირება, “ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, რადგან სამშობლოს მომავალს ვუკავშირებოთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში,” – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ (სონდულაშვილი 2014: 9).

დასავლურ საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1999 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი, რომლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი გრაფა (Reisner 2010: 158). ამ ფაქტმა ქვეყნის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მრავალეთნიკური შეფერილობისა, ქართველთა უმრავლესობას მაიც ეთნონაციონალური საზოგადოების სწამს, რაც ამ კანონის მიღებით გამოწვეული პროტესტით დადასტურდა (ჯონსი 2013: 205).

განსაკუთრებით აქტიურობდა პარლამენტის საიმიგრაციო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება იქნებოდა ქარის წისქვილებთან ბრძოლა,

რომელიც ქართველ ერს ახალი საფრთხის წინაშე დააყენებდა: “გაივლის რამდენიმე წელიწადი და აღარ გვეცოდინება, ჩვენთან მცხოვრებ 80 ერსა და ეროვნებას შორის ქართველობა კვლავ უმრავლესობა არის თუ არა. აქედან გამომდინარე, თუ არ გვეცოდინება, რომ უმრავლესობას წარმოვადგენთ, სახელმწიფოს სახელწოდების – საქართველო – დატოვება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გვეტყვიან – თუ არ ხართ უმრავლესობა, რატომ უნდა ერქვას ამ ქვეყანას საქართველო?”<sup>103</sup> შარაძე ეროვნების აღმნიშვნელი რეპოზიტორის ამოდებას ადარებდა საქართველოს გასვლას “კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონზე” (ჯონსი 2013: 31).

მიუხედავად წინააღმდეგობისა, კანონი მაინც მიიღეს, რაც, უდაოდ, წინგადადმული ნაბიჯი იყო ევროინტეგრაციისა და დასავლურ სისტემასთან ადაპტაციის გზაზე.

1999 და 2000 წლებში საქართველოში კვლავ გაიმართა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. 1999 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში “მოქალაქეთა კავშირმა” ხმათა 42% მიიღო (85 მანდატი), ამას დაემატა მაჟორიტარული არჩევნების წესით გასული 46 დეპუტატი; შევარდნაძეს კვლავ ჰყავდა საიმედო დასაყრდენი საქართველოს პარლამენტში. საკანონმდებლო ორგანოში 51 ადგილი (25%) მოიპოვა ბლოკმა “საქართველოს აღორძინება”, ასევე ბარიერი გადალახა პოლიტიკურმა გაერთიანებამ “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” (7%).

2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძემ კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვა – ოფიციალური მონაცემებით, მას ამომრჩეველთა თითქმის 80%-მა დაუჭირა მხარი.<sup>104</sup>

იმავე წლის 30 აპრილის გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია. შევარდნაძემ საკუთარი სიტყვა, 1995 წლის საინაუგურაციო სიტყვის მსგავსად, კვლავ რელიგიური რიტორიკით დაიწყო. ინაუგურაციის დღე, 30 აპრილი, დაემთხვა აღდგომის დღესასწაულს. პრეზიდენტმა ეს ფაქტი “ღვთის ნიშნად” მიიჩნია, რომელმაც მიგვანიშნა, რომ “ჩვენ ყველანი შემოვბრუნდით დმერთისკენ, უზენაესის ნებით, ჩვენი

<sup>103</sup> ინტერვიუ გურამ შარაძესთან იხ. ბმულზე: <https://guramsharadze.wordpress.com/devnili/erovnebis-rekviziti/>

<sup>104</sup> ინფორმაცია არჩევნების შესახებ იხ. ბმულზე: <http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>

სახელმწიფოც აღსდგა და აღმავლობის გზას დაადგა”. შევარდნაძის სიტყვით, არჩევნებს და ხალხის წინაშე ფიცის დადებას საკრალური მნიშვნელობა პქონდა, რადგან იმ წელს ქრისტეს დაბადებიდან 2000, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წელი შესრულდა. შევარდნაძემ განვლილ 5 წელს უწოდა განსაკუთრებული ეტაპი სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვან ისტორიაში (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 39).

ედუარდ შევარდნაძემ 1995 წელს დასახული მიზნების დიდი ნაწილი შესრულებულად გამოაცხადა. მისი სიტყვით, ისტორიულად უმოკლეს ვადაში – 4-5 წელიწადში – აშენდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო. მან ამ ფაქტს ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვება უწოდა და განაცხადა, რომ პროცესი შეუქცევადია და მას ვედარაფერი შეაჩერებს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა მართლწესრიგის და კანონიერების დამყარებას, რამაც სტაბილურობა მოიტანა (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 41).

ასევე მიღწეულად გამოცხადდა 1995 წელს დასახული კიდევ ერთი მიზანი – სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რადგან, შევარდნაძის სიტყვით, ქვეყანაში უკვე შემქნილი იყო სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები.

საკუთარ გამოსვლაში პრეზიდენტმა საქართველოს წარმატება ევროინტეგრაციის გზაზე განვლილი 5 წლის მუშაობასთან დააკავშირა: “დემოკრატიული მშენებლობის, პოლიტიკური ცივილიზაციისა და კულტურის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში მოპოვებული წარმატებების შედეგად გავხდით ევროსაბჭოს წევრი,” – განაცხადა მან (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 42).

შევარდნაძემ ასევე ხაზი გაუსვა ეროვნული შერიგების მიმართულებით მიღწეულ წარმატებებს. პრეზიდენტის მიერ გამოცემული შენდობის საპრეზიდენტო აქტები და დოკუმენტები, რომლის შედეგად ციხეები დატოვეს “მხედრიონელებმა” და ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებმა, მისი სიტყვით, ამაზე მიუთითებდა. “5 წლის წინ ჩვენ საქმე გვქონდა ეროვნულ შეურიგებლობასთან, გაბზარულ ეროვნულ ცნობიერებასთან. მინდა მოგახსენოთ, რომ დიდი სამუშაო შესრულდა ეროვნული შერიგების, თანხმობისა და კონსესუსის მიღწევის თვალსაზრისით,” – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შევარდნაძემ ასევე პირობა დადო, რომ განუხრელად დაიცავდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. მისი სიტყვით, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სპექტრი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. შესაბამისად, საჭირო იყო ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების უკეთ გათვალისწინება ყოველდღიურ პოლიტიკაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. პრეზიდენტი ასევე პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან კონსტრუქციულ ურთიერთობებს (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 46).

შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დიდ საერთაშორისო პროექტებს: ბაქო-თბილისი-ჯეიპანის, ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენებს, ტრანსკასპიურ გაზსადენებს, რომლებიც ახალ პერსპექტივებს უქმნიდა 21-ე საუკუნის საქართველოს.

საინაუგურაციო სიტყვაში ხაზი გაესვა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს: ევროპასთან, პირველ რიგში, ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონიმიკური და კულტურული თანამშრომლობის გადრმავებას, ევროატლანტიკური კავშირის სახელმწიფოებთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაციას (საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 2007: 50).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1995 წლიდან დასავლური პოლიტიკური კურსის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამოქალაქო ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებას. დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისკენ სწრაფვა და ამ მიმართულებით მიღწეული კონკრეტული შედეგები, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპის სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა თავისთავად მოითხოვდა სახელმწიფოს დასავლური სტანდარტის შესაბამისად მოწყობას და სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულების ინტენსიფიკაციას.

საგარეო პოლიტიკური წარმატებების პარალელურად, საქართველოში კვლავ რთული სოციალური და ეკონომიკური პროცესები მიმდინარებდა. კვლავ არსებობდა სამოქალაქო დაპირისპირების რეციდივები, რომლებიც დროგამოშვებით იჩენდა თავს. ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები პერიოდულ საპროტესტო გამოსვლებს აწყობდნენ და “კანონიერი

ხელისუფლების” ადდგენას მოითხოვდნენ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს 1998 წელს მომხდარი ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი.

9 თებერვალს ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც გამსახურდიას გვარდიის პოლკოვნიკი გოჩა ესებუა და ყოფილი ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე ხელმძღვანელობნენ, თავს დაესხა ედუარდ შევარდნაძის ესკორტს. შევარდნაძეს ამჯერადაც გაუმართლა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თავდამსხმელებმა 5 თვიანი საბრძოლო მომზადება ჩეჩენეთში გაიარეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ამ თავდასხმაშიც რუსეთის კვალი ერია.<sup>105</sup>

მეორე შემთხვევა იმავე წლის 19 ოქტომბერს მოხდა. შუალამისას სენაკის სამხედრო ბრიგადიდან თბილისისკენ ტანკების კოლონა და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი დაიძრა. ამბოხებულებს თავდაცვის სამინისტროს სენაკის ბრიგადის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი რევაზ ასმავა და სპეცდანიშნულების რაზმ “სატურნის” შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი აკაკი ელიავა მეთაურობდნენ. ორივე მათგანი ზვიად გამსახურდიას ერთგული სამხედრო პირი იყო. დასავლეთ საქართველოში მცირე მასშტაბის შეტაკებებიც გაიმართა, თუმცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო მეამბოხეების დროული განეიტრალება.<sup>106</sup>

მსგავსი ფაქტები მიუთითებდა, რომ ქვეყნის შიგნით ვითარება სახარბიელო არ იყო. ამას ემატებოდა რთული ეკონიმიკური პრობლემები – 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველო კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის ჭაობში ჩაეფლო. ამას თავად პრეზიდენტი შევარდნაძეც აცნობიერებდა. 2000 წლის აპრილის საინაუგურაციო სიტყვაში მან თქვა, რომ “ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია ანგრევს სახელმწიფოს”, მის წინააღმდეგ ბრძოლა უდიდესი ეროვნული და პოლიტიკური საქმეა. “ეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხია,” – განაცხადა პრეზიდენტმა და გამოთქვა ინიციატივა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის საფუძველზე გაძლიერებულიყო. თუმცა ინიციატივა ინიციატივად დარჩა. რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე თანდათან გაიზარდა შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ საზოგადოების

<sup>105</sup> მასალები 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის შესახებ იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “გამსახურდიას სახელით” <http://www.myvideo.ge/v/732288>

<sup>106</sup> მასალების 1998 წლის 19 ოქტომბრის ამბოხების შესახებ იხ. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “გამსახურდიას უკანასკნელი მეომრები” <https://www.youtube.com/watch?v=MxSFpk5MPvU>

უკმაყოფილება. 2000-იანი წლებიდან მისმა ხელისუფლებამ რდვევა დაიწყო. ოპოზიციაში გადავიდნენ შევარდნაძის ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფრთის ლიდერები – ყოფილი იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, ყოფილი და მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარეები ზურაბ უვანია და ნინო ბურჯანაძე.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კვლავ შევარდნაძის მხარდამჭერმა ბლოკმა “ახალი საქართველოსთვის” გაიმარჯვა. არჩევნების გაყალბების მოტივით, ოპოზიციამ საპროტესტო აქციები წამოიწყო და შეძლო საზოგადოების მასობრივი მხარჭერის მოპოვება. ყველაფერი 2003 წლის 23 ნოემბერს “ვარდების” უსისხლო რევოლუციით დასრულდა. 75 წლის ედუარდ შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა, საქართველო კი პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ახალ ეტაპზე გადავიდა.

## დასკვნა

ნაციონალიზმის პერიოდის ტრადიცია, რომელიც ამ სფეროს კლასიკოსმა ავტორებმა (ბენედიქტ ანდერსონი, ერნესტ გელნერი და სხვები) შექმნეს, ამ ფენომენის იმპერიულ სივრცეებში შესწავლას გულისხმობს. დეკოლონიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ, მკვლევრებმა დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორია ერებისა და საზოგადოებების მომავალი მას შემდეგ, რაც მიაღწევენ ნაციონალიზმის ძირითად მიზანს – დამოუკიდებელს პოლიტიკური ერთეულის ფორმირებას. ამ მიმართულებით კვლევითი პროცესი განსაკუთრებით “ციფი ომის” დასრულებისა და კომუნიზმის დამარცხების შემდეგ გაიშალა. 1990-იანი წლებიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ე. წ. “სოციალისტური ბლოკის” ტერიტორიაზე ბევრი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და დამოუკიდებლობის მოსურნე პოლიტიკური სუბიექტის გაჩენას თან სდევდა სისხლისმდვრელი კონფლიქტები, ეთნოწმენდა, გენოციდი. ამ მოვლენებში “ბრალი” ნაციონალიზმს დაედო, რამაც მის მიმართ ინტერესის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ერების, ნაციონალიზმის, ნაციონალური პროექტების ჩამოყალიბებისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება 1990-იან წლებამდეც არსებობდა, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში საკითხმა კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი სადისერტაციო გამოკვლევის ერთ-ერთ ძირითად სირთულეს სწორედ მეთოდოლოგიურ მიდგომათა მრავალფეროვნება და წინააღმდეგობრივი ხასიათი წარმოადგენდა. კვლევის საწყის ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო რელევანტური თეორიული საფუძვლის განსაზღვრა, რაც მრავალფეროვან ემპირიულ მასალაში ორიენტაციის, სხვადასხვა ტიპის წყაროებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისა და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის აღდგენის საშუალებას მოგვცემდა. ჩვენი გამოკვლევა ემყარება ოფიციალური დოკუმენტების, ინტერვიუების, საჯარო გამოსვლების, მიმართვების, დოკუმენტური (და არა მარტო) ფილმების, ტელეგადაცემების, მემუარული ლიტერატურის, სამეცნიერო გამოცემების ანალიზს, რის საფუძველზე ვცადეთ პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკის შესწავლა.

გამოკვლევის პირველ ნაწილში ძირითადი ყურადღება ეთმობა ქართული ნაციონალიზმის ფორმირებასა და განვითარებას იმპერიულ სივრცეებში –

როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა კავშირის დროს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო იქნ ის თეორიული მიდგომები, რომლებიც კოლონიური საზოგადოებების ნაციონალურ პროექტებს სწავლობს. ნაციონალიზმის კვლევების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე გამოიყო სამი ძირითადი თეორიული მიდგომა – პრიმორდიალიზმი, ეთნოსიმბოლიზმი და მოდერნიზმი. პირველი მათგანი ერებისა და ნაციონალიზმის საფუძვლებს ადრეულ ისტორიულ პერიოდებში ეძებს და მიიჩნევს, რომ ინდივიდები იმთავითვე კონკრეტული ნაციონალური მიკუთვნებულობის მატარებლები არიან. რაც შეეხება ეთნოსიმბოლიზმსა და მოდერნიზმს, ისინი ნაციონალიზმისა და ერების ფორმირებას მოდერნულ, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე პროცესად წარმოგვიდგენს.

აღნიშნულ თეორიულ პარადიგმათა კონტრასტულობა, გაკვეულწილად, საქართველოს აკადემიურ წრეებშიც არის ასახული. ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი პრიმორდიალისტია, თუმცა თავად პრიმორდიალიზმს, როგორც თეორიულ მიდგომას, არ იყენებს. არსებობს მკვლევართა მეორე, შედარებით მცირე ჯგუფი, რომელიც ქართული ნაციონალიზმისა და ქართველი ერის სათავეებს, ამ ტერმინთა მოდერნული გაგებით, მე-19 საუკუნეში ეძებს.

ვფიქრობთ, ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის, მათი განვითარების თავისებურებების, ნაციონალური პროექტების დინამიკისა და ტრანსფორმაციის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები კონკრეტული თეორიული მიდგომის ფარგლებშია ღირებული, რომელიც საკითხის შესწავლისათვის ერთგვაურ ჩარჩოსა და გარკვეულ პირობებს აწესებს. ჩვენი შეხედულებით, ქართველი ერისა და ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება/განვითარების ახსნა ყველაზე უკეთ მოდერნისტულ და ეთნოსიმბოლისტურ თეორიათა საფუძველზე შეიძლება. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მიდგომათა ერთ-ერთი ცენტრალური დებულება, რომლიც მიხედვით ნაციონალიზმი კონსტრუირებული ფენომენია – ის ელიტების მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტების რეალიზების შედეგია.

ჩვენს მიერ არჩეული თეორიის ფარგლებში, ქართული ნაციონალიზმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბებულ ფენომენად უნდა განვიხილოთ. პირველი ქართული ნაციონალური პროექტის ავტორი “თერგდალეულთა”

სახელით ცნობილი ქართველი ინტელექტუალების თაობაა, რომელიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე 1860-იანი წლებიდან გამოვიდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შეიქმნა ის ობიექტური რეალობა, რომელმაც სათავე დაუდო ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. მოდერნული ქართული ნაციონალური ცნობიერების შექმნა მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესების ერთობლიობის შედეგია. ამ რეალობამ მისცა შესაძლებლობა ქართველ ინტელექტუალებს, შეექმნათ პირველი ქართული ნაციონალური პროექტი და გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები მის განსახორციელებლად. მართალია, ჩვენი კვლევის ობიექტი არ ყოფილა მე-19 საუკუნის საქართველოში განვითარებული პროცესები, მაგრამ ქართულ ნაციონალური პროექტის კვლევისას გვერდს ვერ ავუკლიდით მისი ჩამოყალიბების სათავეებს.

ჩვენი ასევე შევეხეთ 1970-იან წლებში განვითარებულ პროცესებს. ეს ეპოქა წინ უსწრებს ძირითად საკვლევ პერიოდს და ჩვენთვის საინტერესო იმდენად, რამდენადაც ეთნიკური ქართული ნაციონალიზმი, რომელმაც თავის აპოგეას 1980-იანი წლების ბოლოს მიაღწია, სათავეს 1970-იან წლების დისიდენტურ მოძრაობაში იდებს.

საქართველოში არაფორმალური მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1975 წლის შემდეგ. ამ წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გაფორმდა ფუნდამენტური საერთაშორისო დოკუმენტი, რომლესაც საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ, დასავლეთთან ეკონომიკური კავშირების სანაცვლოდ, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება აიღო. შეთანხმების გაფორმებას საქართველოში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველოში ჩამოყალიბებული “ჰელსინკის ჯგუფი” (მოგვიანებით “ჰელსინკის კავშირი”) სათავეში ჩაუდგნენ ეროვნული მოძრაობის მომავალი ლიდერები – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები. ამ ჰერიოდის დისიდენტური მოძრაობა არ იყო იმდენად ძლიერი, რომ საბჭოთა სახელმწიფოსთვის სერიოზული პრობლემები შექმნა, თუმცა მისი არსებობა კომუნიზმის იდეოლოგებს მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნიდა. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ ქართველი დისიდენტები, მიუხედავად იმისა, რომ “ჰელსინკის ჯგუფის” შექმნის მიზანი ადამიანის უფლებების დაცვა

იყო, აქცენტს მაინც ეროვნული თავისუფლების მიღწევაზე აკეთებდნენ. ამაზე 1977-1978 წლებში დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციების დასახელებებიც მეტყველებს – “რესპუბლიკური პარტია”, “საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი”, “საქართველოს ეროვნული გათავისუფლების ორგანიზაცია” და სხვ.

თუ რონალდ გრიგორ სუნის დავესეხებით, დისიდენტური მოძრაობის შემთხვევაში, საქმე გვქოდა არაორთოდოქსულ, არაოფიციალურ ნაციონალიზმთან, რომელიც არ იყო ძლიერი და გავლენიანი, თუმცა მაინც აჩვენებდა საზოგადოების მცირე ნაწილში მიმდინარე პროცესებს (Suny 1994: 314). დისიდენტური მოძრაობის პარალელურად, 1970-1980-იან წლებში, საზოგადოების ძირითად ნაწილში თანდათან გაძატონდა ე.წ. “ოფიციალური ნაციონალიზმი”, ნაციონალისტური განწყობები, რომელთა გამოვლენა არ იზღუდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ. ეს პერიოდი ქართული კულტურისა და სპორტის განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. ხელოვნების ესა თუ ის სფერო (თეატრი, კინო), ქართული მწერლობა, სპორტის სახეობები (ფეხბურთი, ჭიდაობა და სხვ.) დიდ წარმატებებს აღწევს. იდეოლოგიური წესის პირობებში, როდესაც ნაციონალიზმის ყოველგვარი პოლიტიკური გამოვლინება მკაცრად იყო შეზღუდული, ქართველი ხალხის ნაციონალისტური მისწრაფებები სწორედ აღნიშნულ სფეროებში ვლინდებოდა. წარმატებები განიხილებოდა, როგორც ქართული საზოგადოების ეროვნული მიღწევები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეპოქაში რადიკალური დისიდენტური მოძრაობა და სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონალიზებული “ოფიციალური” ნაციონალიზმი პარმონიულად თანაარსებობდა. აღნიშნულის საიდუსტრიაციოდ გამოგვადგება 1978 წლის აპრილში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული მოვლენები, ასევე ქართველი ინტელიგენციის ნაწილის პროტესტი, რომელიც იმავე პერიოდში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვის მცდელობამ გამოიწვია.

1970-1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმი კულტურული ნაციონალიზმის ფორმით ჩამოყალიბდა. ბრიტანელი მკვლევრის ჯონ პათჩინსონის შეხედულებით, კულტურული ნაციონალიზმი ეროვნული საზოგადოებების ჩამოყალიბებას ემსახურება. იგი თვლის, რომ კულტურული ნაციონალიზმი, რომელიც ეთნოისტორიული გამოღვიძებით, მშობლიურ ენაზე ზრუნვით, ლიტერატურული, სპორტული თუ სხვა სახის აქტივობებით

ხასიათდება, როგორც წესი, წინ უსწრებს პოლიტიკურ ნაციონალიზმს. მისი მიზანი მორალური საზოგადოების (moral community) ფორმირება და პოლიტიკური მოძრაობისთვის ნიადაგის შემზადებაა (Hutchinson 2013: 75).

1970-1980-იანი წლების საქართველოში განვითარებული პროცესები, გარკვეული თავისებურებებით, მაგრამ მაინც ნათლად თავსდება ჰათჩინსონის მიერ შემოთავაზებულ მოდელში. ამ ეპოქის ქართული ნაციონალიზმი, დიდწილად, კულტურული ფენომენია, რომელმაც სათავე დაუდო შემდგომში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესს.

1987 წლიდან, საბჭოთა კავშირში “პერესტროიკის” (გარდაქმნა) პროცესის დაწყების შემდეგ, საქართველოში დისიდენტური მოძრაობა ნელ-ნელა გამოვიდა არალეგალური მდგომარეობიდან და ანტისაბჭოთა პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში დაიწყო. დასაწყისში ეროვნული მოძრაობა არ ატარებდა მკაფიოდ პოლიტიკურ ხასიათს. ქართველი არაფორმალების პროტესტი, ძირითადად, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ იყო მიმართული. ეროვნული მოძრაობის მესვეურთა ქმედებები ხშირად წარმატებით მთავრდებოდა, ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ქართული ნაციონალიზმის რადიკალური გზით განვითარებას და მას ქუჩის აქციებისა და დემონსტრაციების ფორმა მისცა. ამავე დროს, წარმატებულმა ქუჩის საპროტესტო აქციებმა ქართულ საზოგადოებაში გამარჯვებულის სინდრომის გაჩენა გამოიწვია. ეროვნული მოძრაობის სადავეები მთლიანად აღმოჩნდა რადიკალურად განწყობული ლიდერების ხელში, რომელთათვის პოლიტიკური მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება შეურიგებლობა, მანიფესტაციები, შიმშილობები და მსგავსი სახის აქტივობები გახდა. 1980-იანი წლების მიწურულს ქართულ ეროვნული მოძრაობა ემოციურ ფენომენად იქცა, რომელიც ქუჩიდან იმართებოდა. რადიკალი ლიდერების რიტორიკას, მიღგომებსა და გადაწყვეტილებებს დიდწილად განსაზღვრავდა არა რაციონალიზმი, არამედ ქუჩებში და მიტინგებზე არსებული ემოციური ფონი.

1988 წლის გაზაფხულიდან საპროტესტო მიტინგებზე უკვე გაისმა მოწოდებები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის მიერ მრავალ ათასიანი მშვიდობიანი დემონტრაციის დარბევამ, რომელსაც მსხვერპლი მოყვა, საქართველო საბჭოთა კაგშირიდან პოლიტიკური ემანსიპაციის პროცესში მოწინავე ქვეყნად აქცია.

1980-იანი წლების ბოლოდან ქართული ნაციონალიზმის გაძლიერებამ და ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესის ფონზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს სწრაფი ნაბიჯებით სვლა დამოუკიდებლობისკენ. კომუნისტური ხელისუფლება თანდათან კარგავდა რეალურ ძალაუფლებას და გადაწყვეტილებებს ეროვნული მოძრაობის კარნახით იღებდა. ნაციონალიზმის მკვეთრმა აღმასვლამ და ნაციონალისტური რიტორიკის გაბატონებამ საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ელიტას მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად შეუზღუდა და ეროვნული მოძრაობის რელსებზე გადაიყვანა. საბოლოოდ, საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტიის დამარცხებით და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

მიუხედავად დამოუკიდებლობის გზაზე მიღწეული წარმატებებისა, მრავალეთნიკურ სახელმწიფოში შიდა სტაბილურობის შენარჩუნება არ მოხერხდა. ქართულ ეთნიკურ ნაციონალიზმს კონფლიქტურად განყობილი უმცირესობების მხრიდან დაუპირისპირდა ასევე რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი. ზეიად გამსახურდიას და მისი პოლიტიკური გაერთიანების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და სამოქალაქო მოხასიათებლები შეიძინა. მიუხედავად ამისა, პოსტსაბჭოთა ეპოქის დასაწყისის ქართული ნაციონალიზმი, ბევრი ფაქტორის ზეგავლენით, მაინც ეთნიკური ფორმით განვითარდა. ამას ხელს უწყობდა ძლიერი ემოციური ფონი, ხანგრძლივი წყვეტა სახელმწიფოებრიობის ტრადიციაში, პოლიტიკურ ლიდერთა გამოუცდელობა; მრავალრიცხოვან მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ხშირად ისმოდა მრავალეთნიკური საქართველოს სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი მოწოდებები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გარე ძალა, რომელიც საქართველოში მიმდინარე ირაციონალურ პროცესს რაციონალურად მართავდა და ხელს უწყობდა ქვეყნის დეზინტეგრაციასა და სამოქალაქო დაპირისპირებას.

ქართული ნაციონალიზმი, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, უკვე სუვერენული სახელმწიფოს პირობებში, უფრო დეზინტეგრაციული მუხტის მატარებელი აღმოჩნდა, ვიდრე

გამაერთიანებელის. ქვეყანა ქაოსში, მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისში მოიცვა. ათწლეულების განმავლობაში რეპრესირებულმა და ჩარჩოებში მოქცეულმა ქართულმა ნაციონალიზმმა მთელი ძალით იფეთქა. იდენტობის კრიზისის, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისა და საკუთარი თავის ძიების ეპოქაში პროცესების რადიკალიზაცია, გარკვეულწილად, ობიექტური რეალობაა. ელიტის რადიკალიზმი და შეურიგებლობა სრულად ასახავდა საზოგადოების დიდ ნაწილში არსებულ განწყობებს.

ჩვენი შეხედულებით, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს საქართველოში სიძულვილის ენა და სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობა ბატონობდა, მცდარია. გამსახურდიას დამოუკიდებულებები წინააღმდეგობრივი იყო და ნაკლებად პქონდა ერთგვაროვანი ხასიათი. მისი რიტორიკა, ერთი მხრივ, მიმართული იყო ქართველთა უფლებების დაცვისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდა სხვა ჯგუფებთან პოზიტიური ურთიერთობების აუცილებლობას. ეს უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით 1991 წლიდან გაძლიერდა. დაჩაგრული ქართველი ეთნოსის უფლებების აღდგენაზე გადაჭარბებული საუბარი, არასტაბილურ და მოწყვლად გარემოში, არაქართველებში შიშს და ქართული ნაციონალური პროექტის მიმართ უნდობლობას ბადებდა. რა თქმა უნდა, ამ მახრივ გამსახურდიას ნაციონალიზმი ეთნიკური ნაციონალიზმი იყო, თუმცა არა ცალსახად მიმართული სხვათა უფლებების შეზღუდვისა და ჩაგვრისკენ.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელიც 1992-2003 წლებს მოიცავს, შევისწავლეთ ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ეპოქაში.

1992 წლის მარტში საქართველოში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა და სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა. მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში, რომლითაც შევარდნაძის მმართველობის საწყისი პერიოდი აღინიშნა (აფხაზეთის ომი, დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასთან), სახელმწიფოს მეთაურის უმთავრესი საზრუნავი მშვიდობის დამყარება და შერიგების პოლიტიკის განხორციელება გახდა. „სტაბილურობა“ შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული ნაციონალური პროექტის უმთავრესი გზავნილი იყო. მისი

ხელმძღვანელობით დაიწყო დერადიკალიზაციის პროცესი და ქართული ნაციონალიზმი აქტიური იდეოლოგიური მოძრაობიდან ერთგვარ პასიურ ფაზაში გადავიდა. ნაციონალისტურად განწყობილი რადიკალური გაერთიანებები თანდათან გაქრნენ პოლიტიკური სცენიდან. ქაოსით, არასტაბილურობით, ეკონომიკური კრიზისით, სოციალური დეზინტეგრაციით, კრიმინალთა თარეშით მოცულ ქვეყანაში შევარდნაძეს ასეთი პოლიტიკის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები შეექმნა. ადამიანი, რომელიც გამსახურდიას ეპოქაში საქართველოს მტრების სიას ედგა სათავეში და ყველაზე საძულველ პიროვნებად ითვლებოდა, ქვეყანას მხსნელის რანგში დაუბრუნდა.

ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების არსებობისთვის ლეგალური და კონსტიტუციური საფუძვლების შექმნა. 1993 წლის მარტში მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საქართველოს ყველა მცხოვრებისთვის მოქალაქეობის მინიჭებას სპეციფიკური მოთხოვნების (როგორიცაა, მაგალითად, ქართული ენის ცოდნა) გარეშე ითვალისწინებდა. ამავე პერიოდში მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეთა საჯარო გაერთიანებების შესახებ, კანონი დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესახებ, რაც უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო. მოქალაქეებს, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობდნენ, სასამართლოებში თარჯიმის გამოყენების უფლება მიეცათ. თუმცა, ამასთან ერთად, სეპარატიზმის გადვივების თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალა რეგიონული პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება. ყველა პარტიას საერთო ნაციონალური ხასიათი უნდა ჰქონოდა. საქართველომ ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ეუთოსა და გაეროს კონვენციების რატიფიცირება მოახდინა. ამასთან ერთად, რატიფიცირდა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია.

აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას, 1992-1993 წლებში, საქართველოს ლიდერის რიტორიკა გარკვეულ ნაციონალისტურ ელფერს ატარებდა. სამოქალაქო თანხმობისა და შერიგებისკენ მიმართულ გზავნილებთან ერთად, ედუარდ შევარდნაძე, მისი წინამორბედის მსგავსად, ხშირად საუბრობდა აფხაზეთში ქართველთა უფლებების შეზღუდვაზე, ეთნიკური აფხაზების არაკანონიერ პრივილეგიებზე. იგი ცდილობდა საზოგადოების მობილიზებას

ტერიტორიული მთლიანობის იდეის გარშემო. თუმცა, მოსახლეობის პოლარიზაციის გამო, ეს არ მოხერხდა.

აფხაზეთში ომის დასრულებისა და ზეიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა საბოლოოდ მიიღო სამოქალაქო ფორმა. მოქალაქეობა, შერიგება, ტოლერანტობა სახელისუფლებო რიტორიკის ძირითადი გზავნილები გახდა.

1993 წელს შევარდნაძის ინიციატივით დაფუძნდა გაერთიანება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც შემდგომი ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ძლიერი პოლტიკური პარტია გახდა. ახალი გაერთიანების მიერ დეკლარირებული იყო სამოქალაქო ლირებულები, რაც მისი სახელწოდებიდანაც ჩანდა. მის ყველა წევრს, მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა, თანაბარი უფლებებით უნდა ესარგებლა. 1995 წელს სახელმწიფომ მიიღო კონსტიტუცია, რითაც კიდევ უფრო გაამყარა სამოქალაქო კონსოლიდაციის საფუძვლები.

ჩვენი აზრით, 1990-აინი წლების შუა ხანებიდან სამოქალაქო ქართული ნაციონალური პროექტის ფორმირებზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა გავლენა. ნაციონალიზმის უმთავრესი მიზნის მიღწევის შემდეგ, რაც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდა, საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. არსებული სახელმწიფოს შენარჩუნება, განმტკიცება, მისი ერთიანობა და შეკავშირება ეთნიკურობის უკანა პლანზე გადაწევას და სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას იწვევს. აღნიშნულმა ტენდენციებმა, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შემცირებას დომინანტ ეთნოსსა და ნაციონალურ უმცირესობებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, შეანელა ნაციონალური მობილიზაციის პროცესი და ქართული ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგიური მოძრაობა, ერთგვარ სტატიკურ ფაზაში გადაიყვანა. სახელისუფლებო ელიტის უმთავრესი გზავნილი – „სტაბილურობა“ – ნათლად მიგვანიშნებს დინამიკის შენელებაზე. ამავე პერიოდში, ოფიციალურ დონეზე, შეგვიძლია ვისაუბროთ, ქართველისთვის, როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის მატარებლისთვის, კატეგორიის „ჩვენ“ გაფართოებაზე, მისი აღქმა უფრო მასშტაბურად ხდება. ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანია 1999 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის

მიხედვით, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის დამადასტურებელი გრაფა.

სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირებისა და დერადიკალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სახელისუფლებო ელიტის ცვლილება. საბჭოთა წარსულმა და პრაგმატულმა მიდგომამ ედუარდ შევარდნაძეს ძველი საბჭოთა ნომენკლატურის გარკვეული ფორმით „გაცოცხლებისა“ და ხელისუფლებაში დაბრუნებისკენ უბიძგა. საბჭოთა პარტიული მოხელეები ახალი ხელისუფლების პირობებში საკვანძო პოსტებზე მოგვევლინნენ და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ნაციონალისტური რიტორიკის შენელებას. მათთან ერთად, წამყვან პოზიციაზე აღმოჩნდა პროდასავლურად განწყობილი ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ჯგუფი (მომავალი „ვარდების რევოლუციონერები“), რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შევარდნაძის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი იყო. საბოლოოდ, პოლიტიკოსთა ამ ორ ჯგუფს შორის შეუთანხმებლობამ ქვეყანაში რევოლუციური პროცესები განაპირობა.

როდესაც სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე. მიუხედავად რუსეთის ნეგატიური როლისა პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში განვითარებულ პროცესებში და სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებაში, პრობლემებისადმი რაციონალურმა დამოკიდებულებამ და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ზრუნვამ ედუარდ შევარდნაძეს პრორუსული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგა. 1993 წლის ბოლოს საქართველო შევიდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ (დსთ), 1994 წელს გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. რუსეთის რეკომენდაციით ინიშნებოდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები.

ხელისუფლების განმტკიცებისა და ზოიად გამსახურდიას საბოლოოდ დამარცხების შემდეგ (რაშიც რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა), შევარდნაძემ საგარეო პოლიტიკური კურსი თანდათან შეცვალა დასავლეთის სასარგებლოდ. 1996 წლიდან იწყება ნატოსთან კონტაქტების გადრმავება ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შემუშავებით. საქართველო ჩაერთო ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

ქართულმა საჯარისო შენაერთებმა 1999 წლიდან მონაწილეობა დაიწყეს კოსოვოს მისიაში. საერთაშორისო აღიარების შემდეგ, საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი და მალევე შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. 1999 წელს ქვეყანა ევროპის საბჭოში შევიდა, სადაც პარლამენტის იმუამინდელმა თავჯდომარებმ ზურაბ უგანიამ წარმოთქვა ცნობილი სიტყვები „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.

პროდასავლურმა კურსმა, ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესმა დერადიკალიზაციასა და სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას შეუწყო ხელი. ევროატლანტიკური ინტეგრაცია გულისხმობდა დასავლური ფასეულობების აღიარებას როგორც რიტორიკის, ასევე საკანონმდებლო დონეზე, რამაც, თავის მხრივ, სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას შეუქმნა საფუძველი. ამ თვალსაზრისით საინტერესო პარალელი ივლება ბალტიისპირეთში, კერძოდ, ლიტვაში 1990-იანი წლების შუა სანებში განვითარებულ მოვლენებთან. ნაციონალიზმის მკვლევარი ტერი კლარკი აღნიშნავს, რომ დასავლურმა პოლიტიკურმა გექტორმა, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ მისწრაფებამ ლიტვა ეთნოპოლიტიკურ დაპირისპირებებს აარიდა და იქ სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება განაპირობა (Clark 2006: 162).

დერადიკალიზაციისა და სტაბილიზაციის პროცესში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების უკანასკნელი წლები სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლით, სტაგნაციით და მძიმე ეკონომიკური პრობლემებით აღინიშნა. სტაბილურობა დეგრადაციაში გადაიზარდა, სახელმწიფო კორუფციის ჭაობში აღმოჩნდა. მმართველ გუნდს პროდასავლური ახალგაზრდული ფრთა გამოეყო, რომელიც ძლიერ ოპოზიციურ დაჯგუფებად და ხელისუფლების ძირითად ალტერნატივად იქცა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ გზით მშვიდობიანად შეიცვალა.

სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ გეგმვენებინა ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის პვლევებში არსებული აქტუალური საკითხები, მიმდინარე თეორიული დებატები, ამ ფონზე გაგვეაზრებინა პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტის ძირითადი თავისებურებები და მისი დინამიკა. მე-20

საუკუნის 80-იანი წლებიდან 2003 წლამდე საქართველოში ნაციონალიზმის განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა. საქართველოს შემთხვევა ნაციონალიზმის ფენომენის წინააღმდეგობრიობის და მისი არაერთგვაროვანი ბუნების ნათელი მაგალითია. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ნაციონალიზმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში, საზოგადოების კონსოლიდაციასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მეორე მხრივ კი, უკვე დამოუკიდებელ ქვეყანაში სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაციის ერთ-ერთ ხელისშემწყობლად იქცა.

მოგვიანო პერიოდში, სახელისუფლებო ელიტამ ინკლუზიური ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების გზით სცადა მშვიდობისა და თანხმობის მიღწევა, საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების სტაბილური არსებობის უზრუნველყოფა. კვიქრობთ, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ შეძლო სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებისთვის ლეგალური საფუძვლის შექმნა და ზოგიერთი მიმართულებით ხელშესახებ წარმატებასაც მიაღწია. მიუხედავად ამისა, მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების პირობებში, ნაციონალური პროექტის პრაქტიკული განხორციელების გზაზე ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ მოხერხდა.

პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური პროექტის კვლევისას ნათლად გამოჩნდა, რომ მის ფორმასა და ტიპზე დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი, სტაბილურობა და უსაფრთხოება. ნაციონალიზმი რთული ფენომენია, რომელიც ინტერდისციპლინურ შესწავლას მოითხოვს, შესაბამისად, ნაშრომში განხილული საკითხები შემდგომ კოპლექსურ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

### **სამეცნიერო ლიტერატურა**

- 1) ანდერსონი, პ. წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ, თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, 2003
- 2) აფრასიძე, დ. „სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი? კრებ. ქართველი ერის დაბადება, „ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009
- 3) გამსახურდია, ზ. საქართველოს სულიერი მისია, თბილისი, “განათლება”, 1990
- 4) გაჩეჩილაძე, რ. ჩემი მეოცე საუკუნე, II ტომი, თბილისი, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, 2011
- 5) გელნერი, ე. ერები და ნაციონალიზმი. თბილისი, “ნეკერი”, 2003
- 6) გოლცი, ტ. საქართველო: ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში. თბილისი, “არტანუჯი”, 2014
- 7) გვერდწითელი, გ. (შემდგ.) სტატიების კრებული “9 აპრილი”, თბილისი, “მერანი”, 1990;
- 8) დავითაშვილი, ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, 2003
- 9) იოსელიანი, ჯ. სამი განზომილება, თბილისი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2013
- 10) კერესელიძე, ნ. “საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში 1991-2013 წლებში”, ქურნ. “ცივილიზაციური ძიებანი”, თბილისი, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2012
- 11) მაცაბერიძე, მ. (რედ.) საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები, თბილისი, “ახალი აზრი”, 2007
- 12) მჭედლიძე, გ. ისტორია უდისტანციო (მდელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები), ქუთაისი, 1999
- 13) ნოდია, გ. “საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები”, სახელმწიფოსა და უსაფრთხოება: საქართველო “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, თბილისი, “MIT Press”, 2006

- 14) ნოდია, გ. „ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი“, კრებ. ქართველი ერის დაბადება, „ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009
- 15) პატიაშვილი, ჯ. 23 წლის შემდეგ, თბილისი, „პალიტრა L“, 2013
- 16) სალუაშვილი, მ. მრგვალი მაგიდის ისტორია, თბილისი 1996
- 17) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №11, 1988.
- 18) სმითი, ა. დ. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბილისი „არტანუჯი“, 2004
- 19) სონდულაშვილი ა. “9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია”. თბილისი, „მეცნიერება“, 1999
- 20) სონდულაშვილი, ნ. საქართველო და დასავლეთი: ურთიერთობის ძირითადი შტრიხები 1991-2000, თბილისი, “უნივერსალი”, 2014
- 21) შევარდნაძე, ე. ფიქრი წარსულსა და მომავალზე. თბილისი, „პალიტრა L“, 2006
- 22) შველიძე, დ. პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992). თბილისი, „უნივერსალი“, 2008
- 23) ჩხარტიშვილი, მ. მანია, ქ. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, თბილისი, “ინტელექტი”, 2011
- 24) ჯანელიძე, ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, „უნივერსალი“, 2009
- 25) ჯონსი, ს. სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის გეროპული გზა (1883-1917), თბილისი, „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2007
- 26) ჯონსი, სტ. საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ, თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, 2013
- 27) ჰეჩტერი, მ. ნაციონალიზმის შეჩერება, თბილისი, “სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი”, 2007
- 28) ჰობსბაუმი, ე. ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან, თბილისი, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა“, 2012
- 29) Bagehot, W. Physics and Politics, New York, “Cosimo Classic”, 1972

- 30) Barrington W. L. "Nationalism & Independence", After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states, Michigan, „The University of Michigan Press“, 2006
- 31) Bremmer, I. „The Post-Soviet Nations After Independence“, Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states, Michigan, „The University of Michigan Press“, 2006
- 32) Brubaker, R. Ethnicity without Groups, Cambridge, "Harvard University Press", 2006
- 33) Brubaker, R. Nationalism Reframed: Nationhood and National Question Reframed in the New Europe, Cambridge, "Cambridge University Press", 1996
- 34) Connor, W. Ethnonationalism: The Quest for Understanding, Princeton, "Princeton University Press", 1993
- 35) Dieckhoff, A. Jaffrelot, C. Revisiting Nationalism: Theories and Processes, London, „Palgrave Macmillan“, 2005
- 36) Greenfeld, Liah. Nationalism: Five Roads to Modernity, Cambridge, "Harvard University Press", 1993
- 37) Hobsbawm, E. Ranger, T. (eds) The invention of Tradition, Cambridge, „Cambridge University Press“, 1983
- 38) Hroch, M. Social Precondition of National Revival in Europe, New York, „Columbia University Press“, 2000
- 39) Hutchinson, J. „Cultural Nationalism“, Oxford Handbook of the History of Nationalism, Oxford, „Oxford University Press“, 2013
- 40) Jones, St. „Georgia: Nationalism from Under the Rubble“, Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states, Michigan, „The University of Michigan Press“, 2006
- 41) Jorgensen, M. Phillips. J. L. Discourse Analysis as Theory and Method, London, "Sage publication", 2002
- 42) Reisner, O. Between State and Nation Building - The Debate about 'Ethnicity' in Georgian Citizens' ID Cards. In Exploring the Caucasus in the 21st Century: Essays on Culture, History and Politics in a Dynamic Context. Françoise Companjen, László Marácz, Lia Versteegh (eds.). Amsterdam: Pallas Publication, 2010
- 43) Sabanadze, N. „Georgia's Ethnic Diversity: A Challenge to State-building“, The Making of Modern Georgia: 1918-2012, Oxford, „Routledge“, 2014

- 44) Sabanadze, N. Globalization and Nationalism: the Cases of Georgia and the Basque Country, Budapest, „CEU Press“, 2010
- Suny, G. R. The Making of Georgian Nation, Bloomington, „Indiana University Press“, 1994
- 45) Wheatley, J. Georgia from National Awakening to Rose Revolution. USA, „Ashgate“, 2005

**წყაროები:**

- 46) ქურნალი “ივერია”. №12. 1881.
- 47) გაზ. “ახალი საქართველო”. № 2-3. 1990.
- 48) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 3. 1990.
- 49) გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”. № 52. 1990.
- 50) გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”. № 123. 1990.
- 51) გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”. № 125. 1990.
- 52) გაზ. “აღდგომა”. № 17. 1992.
- 53) გაზ. “აღდგომა”. № 22. 1992.
- 54) გაზ. “ეროვნული ფრონტი”. № 3. 1992.
- 55) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 2. 1990.
- 56) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 61. 1991.
- 57) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 62-63. 1991.
- 58) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 124-125. 1991.
- 59) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 130. 1991.
- 60) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №70, 1991.
- 61) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. №99-100. 1991.
- 62) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 136. 1992.
- 63) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა” №144. 1992.
- 64) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 147. 1992.
- 65) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 176. 1992.
- 66) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 196. 1992.
- 67) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 210-211. 1992.
- 68) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 221. 1992.
- 69) გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. № 245. 1992.

- 70) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 250. 1992.
- 71) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 7. 1993.
- 72) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 251. 1993.
- 73) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 172. 1994.
- 74) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა” № 43. 1994.
- 75) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 194. 1994.
- 76) გაზ „საქართველოს რესპუბლიკა”. № 24. 1995.
- 77) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 30. 1995.
- 78) გაზ „საქართველოს რესპუბლიკა”. № 60. 1995.
- 79) გაზ. საქართველოს რესპუბლიკა”. № 83. 1995.
- 80) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 147. 1995.
- 81) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 76. 1996.
- 82) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”. № 9. 1998.

#### **დოკუმენტური ფილმები**

- 83) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი “სამოცდაათიანელები”:  
<http://www.myvideo.ge/v/2003210>
- 84) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “9 აპრილიდან 9 აპრილამდე”:  
<https://www.youtube.com/watch?v=OKRiXsPfx0o>
- 85) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი “სოხუმის უკანასკნელი დღე”  
<https://www.youtube.com/watch?v=D3kBgJ1JNdc>
- 86) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი “ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეები” <http://rustavi2.com/ka/video/7954?v=2>
- 87) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი “გამსახურდიას სახელით”  
<http://www.myvideo.ge/v/732288>
- 88) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში “გამსახურდიას უკანასკნელი მეომრები” <https://www.youtube.com/watch?v=MxSFpksMPvU>
- 89) თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი “განგსტერული საქართველო”  
<https://www.youtube.com/watch?v=ioTmNY7ZTVk>
- 90) სოფო მოსიძის საავტორი გადაცემა “მოწყვიტე წამი”:  
<https://www.youtube.com/watch?v=mVvTq4Cq84o>

91) სოფო მოსიძის საავტორო გადაცემა “ამხედრებულ მეამბოხეთა საგა”:

<https://www.youtube.com/watch?v=u3q77MWL0HU>

92) დოკუმენტური ფილმი “აფხაზეთის ომი”.

<https://www.youtube.com/watch?v=YkBNQu11UH0>

### ელექტრონული რესურსები

93) ზვიად გამსახურდიას მიმართვა <https://www.youtube.com/watch?v=gG4ZNR5hgLI>

94) ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

[https://www.youtube.com/watch?v=Wq\\_LTL9CcxM](https://www.youtube.com/watch?v=Wq_LTL9CcxM)

95) ზვიად გამსახურდიას გამოსვლა “სახალხო ფრონტის” ყრილობაზე

<https://www.youtube.com/watch?v=VFrs6iBDmlA>

96) ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

<https://www.youtube.com/watch?v=72KuwEHRF7s>

97) ჯაბა იოსელიანის მიმართვა <https://www.youtube.com/watch?v=C4jk7RuGOkc>

98) ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა <https://www.youtube.com/watch?v=e9z5OJ7mVJ>

99) ვიდეომასალა “დირსების სასამართლო

<https://www.youtube.com/watch?v=A7v6zHKQ3bc>

100) ზურაბ ჭავჭავაძის გამოსვლა

<https://www.youtube.com/watch?v=KLkaCNjennI>

101) ინტერვიუ ზურაბ ჭავჭავაძესთან

<http://geoindependence.net/2014/11/22/%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%AD%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A3/>

102) გაზეთი “24 საათი”, 2010 წლის 30 მაისი

<http://www.24hours.ge/weekend/story/6911-shavlego>

103) ინფორმაცია ლიხნის თავყრილობის შესახებ

<http://experti.ge/kartuli7.htm>

104) ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდი:

<http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>

- 105) განონი “აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” იხ.: <http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/10/47.pdf>
- 106) ინფორმაცია დაგომისის ხელშეკრულების შესახებ:  
<http://www.ghn.ge/print.php?print=111706>
- 107) განონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ  
<http://mra.gov.ge/res/docs/2013110412031013274.pdf>
- 108) საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია  
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
- 109) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია <http://constcommission.ge/1921>
- 110) ინტერვიუ გურამ შარაძესთან იხ. ბმულზე:  
<https://guramsharadze.wordpress.com/devnili/erovnebis-rekviziti/>